დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 22 - 28 ივლისი
N31 1549
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



## ტრამპის მაგინებელი ბოკუჩავები ტრამპის ყრილობაზე ჩაეთრნენ! 3

**ზალიკო ბერგერი:**

## ნაცსექტის ბოსების ცოლები თვითმფრი- ნავებსაც იძახებდნენ და ცნობილ მამაკაცებსაც! 8



## ეს რა ჩაიცვი, სიმონ?!



6

# ადე, ხელი გაანძრიეთ! 25



**ბიძინა ივანიშვილი:**

## სწორედ გლობალური ომის პარტიის მფარველობის შედეგია, რომ ამ ბოროტებასთან დღემდე გვიწევს ბრძოლა! 2

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არის რეფერენდუმი ომსა და მშვიდობას შორის!

**გოგა ხაინდრავა:**



4

## რაც აშშ-ში ხდება, ეს არის დემოკრატიის სრული ჩასვრა!



17 18

## ტრამპის პირველი გამოსვლა მისი ვერმოკვლის შემდეგ

**ირაკლი გოგავა:**

## წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ ტრამპის გამარჯვება გარდაუვალია! 14



## სიკვდილზე გამარჯვებული



19

„ჭუმბერ ლეჟავამ შეძლო, დაემტკიცებინა, რომ ადამიანს, უფლის შეწევნით, სასწაულების მოხდენა შეუძლია!“

# გენერალ პავლოვის დახვრეტა 15

**ლაზარე ჯორბენაძე:**



## ქვანიას მკვლელობის მომენტში ყველაფერი მოიფიქრა ორმა საშინელმა ადამიანმა – ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა! 10



## რა უთხრა ჯორჯ ბუშმა ივერი ფრანგიშვილს ქართველების შესახებ?



24

**ოთარ ფირცხალავა:**



## ვინც დღეს რუსოფობიას ავლენს, საქართველოს პირწავარდნილი მტერია! 12

# ჩვენ გვჭირდება განსაკუთრებულად მყარი, საკონსტიტუციო უმრავლესობის ტოლფასი გამარჯვება იმისთვის, რომ საბოლოოდ დავასრულოთ ომის პარტია და ლიბერალური ფაშიზმი საქართველოში!



## ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიისა და ახალი ცენტრალური ოფისის გახსნაზე

საკმარისია, გადავდგათ ერთი არასწორი ნაბიჯი და საახალწლოდ, ტრადიციული ფოიერვერკის ნაცვლად, ლომჯარიას ფოიერვერკს მივიღებთ!

**ბიძინა ივანიშვილი**

ქართველი ხალხის უპრეცედენტო ერთიანობის წყალობით, 2012 წელს დავამარცხეთ სისხლიანი რეჟიმი და ვფიქრობდით, რომ ნაციონალური მოძრაობა ვეღარასოდეს განაცხადებდა პრეტენზიას ხელისუფლებაში დაბრუნებაზე. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მათ ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული და **წარმოადგენდნენ იმ გლობალური გავლენის მქონე ძალის აგენტურას,** რომელსაც დღეს **გლობალურ ომის პარტიად** მოვიხსენიებთ. სწორედ **გლობალური ომის პარტიის** მფარველობის შედეგია, რომ ამ ბოროტებასთან დღემდე გვიწევს ბრძოლა.

ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ 2012 წლიდან დღემდე უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. ეს ბრძოლა 2016, 2020 და 2021 წლებშიც საქართველოს და მისი სუვერენიტეტის გამარჯვებით დასრულდა. **წინასწარ დაგეგმილი მცდელობის მიუხედავად, ნაციონალურ მოძრაობას და მის მფარველებს, საბოლოოდ, სამივე შემთხვევაში არჩევნების შედეგების აღიარება მოუწიათ.**

საქართველო ანალოგიური მოცემულობით ხვდება **26 ოქტომბრის არჩევნებსაც.** 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებშიც საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს იმ ძალებზე, რომლებიც გასული 4 წლის მანძილზე საქართველოში არეულობის შემოტანას და ქვეყნის ომში ჩათრევას გამალებით ცდილობდნენ.

### კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ აგენტურაზე, გაიმარჯვებს მშვიდობის პარტია ომის პარტიაზე.

**კოლექტიური ნაციონალური მოძრაობისა და მისი მფარველებისთვის ესაა ბოლო გაბრძოლება საქართველოში არეულობის შემოსატანად და მეორე ფრონტის გასახსნელად** *(ტაში)*. **„ქართული ოცნებისთვის“ ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოში მშვიდობის საბოლოოდ განსამტკიცებლად, გარედან ხელოვნურად თავს მოხვეული რადიკალიზმისა და პოლარიზაციის დასასრულებლად, სიმშვიდის, სტაბილურობისა და ეკონომიკური წინსვლის შესანარჩუნებლად, ეროვნული ღირსების დასაცავად და, ამ ყველაფრის შედეგად, საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესანარჩუნებლად.**

წლევანდელი არჩევნები ერთი რამით არის გამორჩეული. ქართველი ამომრჩეველი არასოდეს ყოფილა ასეთი გათვითცნობიერებული იმ პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რომლებიც საქართველოში და საქართველოს გარშემო ამ წლების განმავლობაში ვითარდებოდა. ასეთ პირობებში დღეს ქართველი ხალხისთვის არჩევანის გაკეთება კიდევ უფრო მარტივია. **ამ ყველაფრის შედეგიცაა, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ 2012 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი, რეკორდული მხარდაჭერა აქვს და მას მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი უცხადებს ნდობას** *(ტაში)*.

**ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს მოსახლეობა 26 ოქტომბრის არჩევნებსაც უშეცდომოდ ჩაატარებს და „ქართული ოცნება“ საქართველოს პარლამენტში მორიგ ჯერზე მანდატების უმრავლესობას მიიღებს** *(ტაში)*. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს არ არის საკმარისი. ჩვენ გვჭირდება განსაკუთრებულად მყარი, **საკონსტიტუციო უმრავლესობის ტოლფასი გამარჯვება** იმისთვის, რომ საბოლოოდ დავასრულოთ **ომის პარტია** *(ტაში)*, **აგენტურა, რადიკალიზმი, პოლარიზაცია და ლიბერალური ფაშიზმი** საქართველოში; იმისთვის, რომ საქართველომ შეუქცევადად განაგრძოს მშვიდობიანი განვითარება, ეკონომიკური წინსვლა და მიაღწიოს ევროპული სტანდარტების კეთილდღეობას, რაც ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელი პირობაა.

ქვეყნის შეუქცევადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, **კოლექტიურმა ნაციონალურმა მოძრაობამ სრულად აგოს პასუხი ქართული საზოგადოებისა და კანონის წინაშე. არჩევნების შემდეგ მათ მოუწევთ პასუხისგება ყველა იმ დანაშაულისთვის, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩაიდინეს** *(ტაში)*, **განსაკუთრებით, 2008 წელს დაკვეთის შესრულებისა და ქვეყნის ომში ჩართვის გამო, რაც ჩვენს ქვეყანას ორი ისტორიული რეგიონის დროებით დაკარგვად დაუჯდა** *(ტაში)*.

### კონტროლი დავკარგეთ 125 დასახლებულ პუნქტზე, გარდაიცვალა 412 ჩვენი მოქალაქე, დაიჭრა და დასახიჩრდა 2 ათასამდე ადამიანი, ხოლო ომის შედეგად 26 000 ჩვენი თანამემამულე

### საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. სწორედ ამისთვის გვჭირდება ჩვენ მაქსიმალური სახალხო ლეგიტიმაცია.

დღეს საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ჩვენი ქვეყნის გაწირვის რისკზე წავიდეს. **საკმარისია, გადავდგათ ერთი არასწორი ნაბიჯი და საახალწლოდ, ტრადიციული ფოიერვერკის ნაცვლად, ლომჯარიას ფოიერვერკს მივიღებთ** *(ტაში)*. იმისთვის, რომ ასეთი კრიტიკული არჩევანის წინაშე აღარასდროს დავდგეთ, **აუცილებელია, საბოლოოდ დავამშვიდოთ ჩვენი ქვეყანა, დავასრულოთ აგენტურა, რადიკალიზმი და პოლარიზაცია,** რის შემდეგაც ჩვენი ქვეყანა სწრაფი ტემპით განაგრძობს წინსვლასა და განვითარებას.

სამწუხაროდ, კონკრეტული ძალები კვლავაც არ იშლიან ფიქრს **მეორე ფრონტზე,** რამაც, მათი გათვლით, პირველ ფრონტზე არსებული რთული მოცემულობა უნდა შეცვალოს. **სწორედ მეორე ფრონტის ლობირების შედეგია ის უპრეცედენტო ზეწოლა, რომელიც საქართველოზე უკვე რამდენიმე წელია, ხორციელდება და უკრაინაში ომის დაწყების დღიდან განსაკუთრებულად გააქტიურდა.**

**გლობალური ომის პარტია** სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენით დღევანდელ ამერიკულ და ევროპულ ბიუროკრატიაზე, რაც ქართულ საზოგადოებაში ქმნის აღქმას, რომ საქართველოს კონფლიქტი ამერიკის სახელმწიფოსთან და ევროკავშირთან აქვს. თუმცა, **როგორც კი უკრაინაში ომი დასრულდება, ინტერესები შეიცვლება და ეს აღქმაც მყისიერად გაქრება.**

**გლობალური ომის პარტიის** სურვილი ცხადია. რადგან დარწმუნდნენ, რომ ომში არ ჩავერთვებით და საქართველოს უკრაინის ბედის გაზიარებისთვის ვერ გავწირავთ, **მათ აქვთ ბოლო მცდელობა, ხელისუფლებაში დააბრუნონ აგენტურა, უსამშობლო ადამიანების ერთობა, კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა,** რომელიც ამ ნაბიჯს დავალების მიღებისთანავე გადადგამს. სწორედ ამიტომ ლობირებენ ისინი ძველ და ახალ ნაციონალურ მოძრაობას — **სააკაშვილს, გვარამიას, ზურაბიშვილს, ხაზარაძეს, გახარიას, ბოკერიას და სხვა უსამშობლო პოლიტიკოსებს,** რომლებიც ნებისმიერი დავალების შესრულებაზე მოაწერენ ხელს *(ტაში)*. **„ან იომებთ, ან წახვალთ!“** — ეს არის ყოვლად მიუღებელი დამოკიდებულება, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა **26 ოქტომბერს** სათანადო პასუხს გასცემს *(ტაში)*.

ყველასათვის ცხადია, რომ ომ-

# სწორედ გლობალური ომის პარტიის მფარველობის შედეგია, რომ ამ ბოროტებასთან დღემდე გვიწევს ბრძოლა!

## კვირგვინოსნები



**მიხეილ სააკაშვილი**

*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



**ელისა სააკაშვილი**

*მიხეილ სააკაშვილის შვილი*

**ალისას,** რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გახდა 4 წლის, ახალი საყვარელი საქმიანობა გაუჩნდა — სულ ეძებს და უმეგობრდება ახალ ბავშვებს და დამეგობრებიდან ცოტა ხანში აუცილებელ რიტუალად ამკვიდრებს — **„მოდი, ერთად ვილოცოთ, რომ მამაჩემი მალე გამოვიდეს!“** საოცრებაა ისიც, რომ არცერთი ბავშვი უარს არ ეუბნება და არიან ასე საერთო პირჯვრის წერაში და ბუტბუტში.

**ირაკლი კობახიძე**

*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**პარტიის დაფუძნებიდან 12 წლისთავზე** „ქართულ ოცნებას“ ექნება საკუთარი, თანამედროვე ოფისი, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ, **სულ მცირე, 12 წელიწადი არცერთი არჩევნების წაგებას არ ვაპირებთ.**

„XNEWS.GE“

**ირაკლი ღარიბაშვილი**

*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



„ქართული ოცნება“ წარმოადგენს **ერთადერთ, უალტერნატივო ძალას საქართველოში,** რომელიც არის **მშვიდობის, კეთილდღეობისა და ევროპული მომავლის გარანტი!**

„რეზონანსი“

**მამუკა მდინარაძე**

*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*



ქართველმა ხალხმა უნდა შეძლოს, რომ **ნაცობა, როგორც აგენტურული, ბნელი და სისხლიანი იდეოლოგია,** საბოლოოდ დამთავრდეს და გასამართლდეს.

„იმედინიუსი“



ში ჩართვის შემთხვევაში საქართველო უკრაინაზე მძიმე შედეგსაც კი მიიღებს. ამ შედეგის თავიდან აცილება არის უპირველესი ამოცანა, რომელიც 26 ოქტომბერს „ქართული ოცნების" მორიგი გამარჯვებით საბოლოოდ გადაიჭრება.

**გადასატანი გვრჩება, მაქსიმუმ, ერთი წელიწადი, რის შემდეგაც ფუნდამენტურად შეიცვლება როგორც გლობალური და რეგიონული პოლიტიკური ინტერესები, ისე ინტერესები კონკრეტულად საქართველოს მიმართ.**

## უკრაინაში მიმდინარე ომი, ყველაზე გვიან, ერთ წელიწადში დასრულდება, ხოლო, თუ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ, ომი იანვარშიც კი შეიძლება დასრულდეს.

შესაბამისად, მთავარია, ეს მცირე დროც მოვიგოთ და **როგორც კი ომი დასრულდება, ამერიკასთან და ევროპასთან ყველა გაუგებრობა დაუყოვნებლივ წარსულს ჩაბარდება და საქართველო გლობალური პოლიტიკის მოთამაშეებისთვის სრულიად განსხვავებული ინტერესის საგანი გახდება** *(ტაში)*.

საქართველო თანმიმდევრულად ვითარდება, მათ შორის, ძლიერდება მისი სტრატეგიული ეკონომიკური დატვირთვა. ისტორიულად საქართველო ერთმანეთს აკავშირებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ევროპასა და აზიას. ვაკეთებთ მაქსიმუმს იმისთვის, რომ გამოვკვეთოთ საქართველოს როლი შუა დერეფნის პროექტში. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩინეთის ხელისუფლებას, რომელმაც საქართველოს მიმართ განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოხატა *(ტაში)*. **ეს არის შედეგი, რომლისთვისაც „ქართული ოცნების" გუნდი და პირადად მე წლების მანძილზე ვქმნიდით საფუძველს.**

აქვე მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩინეთთან ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავება არ არის ალტერნატივა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან თანამშრომლობისთვის. პირიქით, ეს არის შემავსებელი ფაქტორი იმ საერთო თანამშრომლობისთვის, რომელიც მომდევნო წლების განმავლობაში უნდა გაღრმავდეს. იმისთვის, რომ საქართველომ განავითაროს საკუთარი დამაკავშირებელი სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია, აუცილებელია თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ორივე მხარესთან — დასავლეთთან და აღმოსავლეთთან. დარწმუნებული ვარ, უკვე მომავალ წელს საქართველოს ხელისუფლების ამ ძალისხმევას დასავლეთშიც დააფასებენ **(ტაში).** დარწმუნებული ვარ, ყველა გაიაზრებს იმასაც, რომ საქართველოში მშვიდობის შენარჩუნებით ჩვენ ქართულ საქმესთან ერთად მათი საქმეც გავაკეთეთ.

## 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არის რეფერენდუმი. ეს არის რეფერენდუმი ომსა და მშვიდობას შორის, მონობასა და ღირსებას შორის, ბნელ წარსულში დაბრუნებასა და წინსვლას შორის, სრულ უპერსპექტივობასა და საქართველოს ევროპულ პერსპექტივას შორის.

დარწმუნებული ვარ, 26 ოქტომბერს ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობა დაუჭერს მხარს მშვიდობას, ღირსებასა და კეთილდღეობას, რაც ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის და მისი ევროპული მომავლის საწინდარია.

**მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ — ეს არის ერთადერთი ულტერნატივო არჩევანი, რომელსაც ქართველ ამომრჩეველს „ქართული ოცნება" სთავაზობს** *(ტაში)*!

**მათ აქვთ ბოლო მცდელობა, ხელისუფლებაში დააბრუნონ აგენტურა, უსამშობლო ადამიანების ერთობა, კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა, სწორედ ამიტომ ლობირებენ ისინი ძველ და ახალ ნაციონალურ მოძრაობას — სააკაშვილს, გვარამიას, ზურაბიშვილს, ხაზარაძეს, გახარიას, ბოკერიას და სხვა უსამშობლო პოლიტიკოსებს, რომლებიც ნებისმიერი დავალების შესრულებაზე მოაწერენ ხელს!**



# ტრამპის მაგინებელი ბოკუჩავები ტრამპის ყრილობაზე ჩაეთრნენ!

# კრემლშიც პირველები ჩაეთრევიან!




თინა ბოკუჩავა აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ ყრილობაზე

***როგორც კი იყნოსეს ანტიტრამპისტმა ტრამპა-ცუმპებმა, რომ კოლექტიურ ბაიდენს აღარაფრის უკანალი აღარა აქვს, უმალ ტრამპისტები გახდნენ და აშშ-ში გაქუსლეს რესპუბლიკელთა ღონისძიებაზე, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატად ტრამპი წარადგინეს!***

ამათ ეგრე იციან, სუნზე დადიან, ყველა მოვლენიდან სათავიანთო ნიუანსის გამოტანას ცდილობენ. დღეს შეუძლიათ **ტრამპი** ლანძღონ, ხვალ კი ქებით ძირი გააგდებინონ. **ამათთან ყველაფერი მოსულა — რუბლების აღებაც, რუსეთის მოქალაქეობაც, მოსკოვებში ბიზნესების კეთებაც, ჩელიაბინსკში კონცერტების ჩატარებაც და ბინების ყიდვაც, ეს ჩვენ არ გვეპატიება არაფერი, საკმარისია, რამე მსგავსი ჩავიდინოთ, ეგრევე აგვიკლებენ მონა-მონას ძახილით.**

ეგე, **თინიკო ბოკუჩავა** გუშინ **ტრამპს** აგინებდა, დღეს უკვე აქებს, ტელევიზორში გამოდის და იძახის — რესპუბლიკელთა ღონისძიებაზე საქართველოს ხელისუფლებიდან არავინ იყო, ამათი დანახვა აღარავის უნდა, ხელსაც აღარავინ ართმევსო.

**ბინძური დემაგოგია!** ჯერ ერთი, აშშ-ში საქართველოს ელჩი **დავით ზალკალიანი** იქ იყო და მეორეც — თუ ოდნავი თავმოყვარეობა გაქვს, პარტიის ყრილობასა თუ ღონისძიებაზე ხელისუფლების წევრების მისვლა რა ვალდებულებაა?

არა, ესენი ჩაცვივდნენ და ტაშიც დასცხეს — **არიქა, ტრამპი მოდის, ეგებ მოწყალე თვალით გადმოგვხედოს და „ქართული ოცნება" აითვალწუნოსო.**

**თემის პრივატიზება ამათ მიხა სააკაშვილისგან ისწავლეს. ალბათ, გახსოვთ, იმავე ტრამპის ინაუგურაციაზე რომ არ მიიწვიეს, მაინც ჩავიდა და თეთრი სახლის მახლობლად სადღაც ბარდებში იბოდიალა. რავი, თეთრ სახლთან ეკალ-ბარდი სადღა ნახა?!**

თქვენ გგონიათ, ესენიც ვინმემ დაპატიჟა? არა, ჩავიდნენ, შორიახლოს იბორიალეს, სურათები გადაიღეს, ჭუტაანებში ჩართვა გააკეთეს, **ტრამპს** ქებით ძირი გააგდებინეს და ეგ იყო.

ახლა ტრამპისტებმა რამე რომ თქვან, ეგრევე დასცხებენ — **ჩვენ რო ტრამპს ვექომაგებოდით და ვიცავდით, მაშინ თქვენ მძინარე ჯოს რატომ აქებდითო?**

მიგაკვდათ ძაღლი, თქვე „პლასტინკის" გადამტრიალებლებო! **რამე რომ იყოს, კრემლშიც პირველები ჩაეთრევით!**

***გელა ზედელაშვილი***



**ნაცმოძრაობის წევრები** — ირაკლი ქავთარაძე და ალექსანდრე კრევო ასათიანი **აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ ყრილობაზე**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი, პარტია „ქართული ოცნების" გენერალური მდივანი*



2024 წლის საპარლამენტო არჩევნები **ძალიან რთული არჩევნები იქნება.** ერთ მხარეს არის **მშვიდობა, ეკონომიკური განვითარება, წინსვლა, აღმშენებლობა,** მეორე მხარეს — **აგენტურა, მოღალატეები, ქვეყნის მტრები, მოძალადეები.** არჩევნებში გავიმარჯვებთ, **მშვიდობას შევინარჩუნებთ და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანთ,** საქართველო იყო, არის და იქნება ევროპა.

„ინტერპრესნიუსი"

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



არჩევნებში **კონკურენტი არ გვყავს,** ვინაიდან **ომი მშვიდობის კონკურენტი ვერ იქნება** ისევე, როგორც **უიმედობა — კეთილდღეობის, ნგრევა — აღმშენებლობის, უსამშობლობა — პატრიოტიზმის.**

„ინტერპრესნიუსი"

**თინა ბოკუჩავა**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე*



**დონალდ ტრამპმა** თავის სიტყვაში ისაუბრა საქართველოზე, თუ როგორ შემოიჭრა **პუტინი** ჩვენს ტერიტორიაზე 2008 წელს, ხაზი გაუსვა იმას, რომ **მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში, მას ექნება ძალიან მკაცრი პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ,** რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის.

„ინტერპრესნიუსი"

**ილჰამ ალიევი**
*აზერბაიჯანის პრეზიდენტი*



პოლიტიკური კულტურა არ მაძლევს უფლებას, ვუპასუხო შეკითხვას — **ვისი გამარჯვება მსურს აშშ-ის არჩევნებში?** თუმცა, **ტრამპმა** გააჟღერა მნიშვნელოვანი თეზისი, რომ **მის დროს არ ყოფილა ომი და მკაფიო პოზიცია აქვს ტრადიციულ ღირებულებებზე.**

„ინტერპრესნიუსი"

**აშშ-ის 45-ე პრეზიდენტისა და პრეზიდენტობის მოქმედი კანდიდატის დონალდ ტრამპის მკვლელობის მცდელობის კვალდაკვალ, ბევრი ბუნდოვანი გარემოება იკვეთება და უპასუხო კითხვებიც ჩნდება, რაც აძლიერებს ეჭვს, რომ ტრამპის მოკვლა 20 წლის მეთიუ კრუქსის კერძო ინიციატივა არ ყოფილა. ამ და სხვა აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა გვესაუბრება:**



# გოგა ხაინდრავა:

# რაც ამერიკაში ხდება, ეს არის დემოკრატიის სრული ჩასვრა!

— აშშ-ის უსაფრთხოების შეფმა კონგრესმენებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ 20 წლის ბიჭი, რომელმაც ტრამპს ესროლა, ერთი საათით ადრე შეამჩნიეს, მაგრამ ხალხის მასაში მისი პოვნა ვერ შეძლეს. წარმოიდგინეთ, ამას ამბობს მსოფლიო ზესახელმწიფოდ მიჩნეული ქვეყნის — ამერიკის უსაფრთხოების შეფი!

ინტერნეტში გავრცელდა ტრამპის წინასაარჩევნო მიტინგის ერთ-ერთი მონაწილის მიერ მობილური ტელეფონის ვიდეოკამერით გადაღებული კადრებიც, თუ როგორ მიძვრება სახურავზე თოფიანი კაცი. მიტინგის კიდევ ერთი მონაწილე ამბობს, რომ ამის შესახებ პოლიციას აცნობეს, მაგრამ სამართალდამცველებს არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ.

წარმოგიდგენიათ, რომ ყოფილი პრეზიდენტისა და პრეზიდენტობის მოქმედი კანდიდატის სიტყვით გამოსვლის ადგილიდან 130 მეტრში მდებარე შენობის სახურავზე თოფიანი კაცი იყოს გაწოლილი და დღეს, დრონებისა და კოსმოსური ტექნოლოგიების ეპოქაში, ამერიკის უსაფრთხოების სამსახურებმა ეს ვერ შეამჩნიონ?!

**— ე.ი. მიგაჩნიათ, რომ ტრამპის მკვლელობა აშშ-ის დღევანდელი ხელისუფლების განზრახვა იყო?**

— ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ! გასაჯაროვდა ბაიდენის სატელეფონო საუბარი, რომელშიც იგი პირდაპირ ამბობს — **მოვიდა დრო, ტრამპი მიზანში ამოვიღოთო!** მერე ბაიდენს სპეციალური ინტერვიუ მოუწყვეს, რათა ეს კატასტროფული ნათქვამი როგორმე გაენეიტრალებინა. მან ბოდიშიც კი მოიხადა — ასეთი ფრაზა არ უნდა მეთქვაო, მერე კი განაცხადა — **ტრამპის პოლიტიკას ვგულისხმობდი და არა პირადად ტრამპის მიზანში ამოღებასო,** მაგრამ მაგას ვინ ჭამს? ფაქტია, ტრამპი მართლაც ამოიღეს მიზანში და ესროლეს კიდეც! საერთოდ,

**მთელი ეს აბსურდის თეატრი, რაც ტრამპის მკვლელობის მცდელობის კვალდაკვალ თამაშდება, პრეზიდენტ კენედის მკვლელობის შემდეგ განვითარებულ პროცესებს მახსენებს.**

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— კენედის მკვლელობის ვითომდა გამოსაძიებლად სპეციალური კომისია შექმნეს, რომელმაც „დაადგინა", რომ მკვლელი **ლი ჰარვი ოსვალდი** მარტო მოქმედებდა და წიგნების საწყობის მეექვსე სართულზე გამაგრებულმა უკნიდან ესროლა პრეზიდენტს, არადა, კადრებში კარგად ჩანს, რომ კენედის ტყვია წინიდან ჰქონდა მოხვედრილი.

ამერიკის ხელისუფლება ახლაც ცდილობს, მსოფლიო დაარწმუნოს, თითქოს 20 წლის **მეთიუ კრუქსი,** რომელმაც ტრამპს ესროლა, მარტო მოქმედებდა. როგორც აღმოჩნდა, იგი სნაიპერების სკოლაში დადიოდა და სროლას სწავლობდა. გაირკვა ისიც, რომ „ბლექ როკის" რეკლამაშია გადაღებული, „ბლექ როკი" კი ის ტრანსნაციონალური კომპანიაა, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ ჩრდილოვან მმართველად და გლობალური ომის პარტიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა.

**— კი მაგრამ, თუ ტრამპის მკვლელობა ამერიკის დღევანდელი ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების მიერ იყო დაგეგმილი, შემსრულებლად რაღა 20 წლის გამოუცდელი ახალგაზრდა აირჩიეს, როცა შეეძლოთ, ეს საქმე გამოცდილი, პროფესიონალი ქილერისათვის მიენდოთ?**

— საქმეც ის არის, რომ 20 წლის **კრუქსის** მსგავსი ფიგურა სპეციალურად აირჩიეს, რათა წარუმატებლობის შემთხვევაში, მთლიანად მისთვის შეეწმინდათ ხელი, როგორც ფსიქიკური პრობლემებისა და დეპრესიული აშლილობის მქონე ახალგაზრდისათვის.

**ნუთუ არ გიჩნდებათ კითხვა — რატომ მოკლეს ტრამპზე თავდამსხმელი?** მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი იმიჯის მქონე ამერიკულ უსაფრთხოების სამსახურებს არ შეეძლოთ, 20 წლის ბიჭი ცოცხლად აეყვანათ, მითუმეტეს, თუ იგი მარტო მოქმედებდა? სხვათაშორის, კენედის მკვლელი **ოსვალდიც** ეგრე მოიშორეს — როცა „ეფ-ბი-აი"-ს შენობიდან გამოჰყავდათ, ვინმე **ჯეკ რუბიმ** ესროლა, რომელიც მერე ასევე მოკლეს.

ერთი სიტყვით, დღეს ამერიკის შეერთებული შტატები კატასტროფულ მდგომარეობაშია და მხოლოდ **დონალდ ტრამპისა** და **ჯეი დი ვანსის** ტანდემის ხელისუფლებაში მოსვლამ შეიძლება, გადაარჩინოს!

**— ვინ არის და რას წარმოადგენს ოჰაიოს შტატის სენატორი, 39 წლის ჯეი დი ვანსი, რომელიც ტრამპმა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა?**

— **ჯეი დი ვანსი** რამდენიმე წლის წინათ პრეზიდენტ ტრამპს საშინლად აკრიტიკებდა და შეურაცხმყოფელი ეპითეტებითაც კი მოიხსენიებდა, მაგრამ შემდეგ მისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა — **ვცდებოდი და დონალდ ტრამპს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, ძალიან ვაფასებო!**

მისასალმებელია, რომ ტრამპმა პირად ეგოზე მაღლა ამერიკის ინტერესები დააყენა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად თავისი ყოფილი მოწინააღმდეგე დაასახელა. დღეს **ჯეი დი ვანსი** აცხადებს, რომ სასწრაფოდ უნდა დასრულდეს პრეზიდენტ **ჯო ბაიდენისა** და ვიცე-პრეზიდენტ **კამალა ჰარისის** კორუმპირებული მმართველობა, რომელმაც აშშ-ის ავტორიტეტი და რეპუტაცია მთელ მსოფლიოში გააფუჭა!



**„ამერიკის შეერთებული შტატები კატასტროფულ მდგომარეობაშია და მხოლოდ დონალდ ტრამპისა და ჯეი დი ვანსის ტანდემის ხელისუფლებაში მოსვლამ შეიძლება, გადაარჩინოს!"**

**დღეს სწორედ ჯეი დი ვანსსა და მის თაობას შეუძლიათ ამერიკის შველა, თორემ, ბაიდენმა, ნენსი პელოსმა, ჩაკ შუმერმა და სხვა ბებრებმა ამერიკა ერთი-ერთში დაამსგავსეს ჩერნენკოს საბჭოთა კავშირს!**

**ამერიკული საგარეო და საშინაო პოლიტიკა სრულ კრახს განიცდის.**

სწორედ ამაზე მეტყველებს ამერიკის ადმინისტრაციის სრულიად სამარცხვინო გადაწყვეტილებაც, რომელიც საქართველოსთან ერთობლივი სამხედრო წვრთნების გაუქმებას გულისხმობს. ქართველებს, რომლებიც ყველა საერთაშორისო მისიაში ყველაზე მსხვილი სამხედრო კონტრიბუტორები ვიყავით, ამერიკელები მაშინაც კი არ მიგვიტოვებია, როცა ავღანეთიდან სამარცხვინოდ გარბოდნენ. დიახ,

## კვირგვინოსნები

**ჯო ბაიდენი**
*აშშ-ის პრეზიდენტი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი*



მინდა ჩემი სრული მხარდაჭერა გამოვუცხადო **კამალა ჰარისს,** რომ იყოს ჩვენი პარტიის ნომინანტი წელს. **დემოკრატებო — დროა, გავერთიანდეთ და დავამარცხოთ ტრამპი.** მოდით, გავაკეთოთ ეს!

„ინტერპრესნიუსი"

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან*



**თაღლითი ჯო ბაიდენი** არ იყო შესაფერისი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის და, რა თქმა უნდა, არ იყო შესაფერისი სამსახურისთვის და არც არასდროს ყოფილა!

**ყველამ მის გარშემო, მათ შორის, მისმა ექიმმა და მედიამ იცოდა, რომ მას არ შეეძლო, პრეზიდენტი ყოფილიყო და არც იყო.**

ჩვენ ძალიან ვიტანჯებით მისი პრეზიდენტობის გამო, მაგრამ ძალიან სწრაფად გამოვასწორებთ მის მიერ მიყენებულ ზარალს. **გავხადოთ ამერიკა ისევ დიადი!**

„ინტერპრესნიუსი"

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



დღევანდელი დღე მკაფიოდ გვანახებს, რომ **ტრამპი ამერიკის ხვალინდელი დღეა,** მოსწონს ეს ვინმეს თუ არ მოსწონს. როგორც **რეიგანმა,** თავდასხმის შემდეგ, 1984 წელს, 50 შტატიდან 49-ში მოუგო **კარტერის** ვიცე-პრეზიდენტ **მონდეილს,** ისე პირწმინდად **მოუგებს ტრამპი ჯო ბაიდენს წლევანდელ არჩევნებს.**

„იმედინიუსი"

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**ტრამპი** ემხრობა, რომ **კაცი — კაცად და ქალი ქალად დარჩეს,** ემხრობა **მშვიდობას.**

„ახალი თაობა"

**რონ დესანტისი**
*ფლორიდის გუბერნატორი*



მოდით, **ბაიდენი დავაბრუნოთ სარდაფში, ხოლო ტრამპი — თეთრ სახლში.**

„რეზონანსი"

# Biden introduced Zelenskyy. It didn't go well: 'Ladies and gentlemen, President Putin'



## „ბაიდენს ზელენსკი პუტინი ჰგონია და ქართული კანონი რომ რუსული ეგონოს, რა გასაკვირია?!“

**ქართული სამხედრო შენაერთი ყველაზე ბოლოს გამოვიდა ქაბულიდან, დღეს კი ამერიკელებმა ქართველები პირისპირ დაგვტოვეს თბილისიდან 40 კილომეტრში მდგარ ოკუპანტთან, რომლის წინაშეც თავად არიან ჩავარდნილი ისტერიკაში, მთელ ნატო-სთან ერთად!**

**— ნუთუ ეს ყველაფერი ხდება საქართველოს მიერ მიღებული ერთი კანონის გამო, რომელიც უცხოური გავლენის გამჭვირვალობას გულისხმობს?**

— **გამჭვირვალობის კანონი,** რომელსაც **„რუსული კანონი“** დაარქვეს, მხოლოდ საბაბია, რეალურად კი, საქართველოს დასჯას იმიტომ ცდილობენ, რომ **მეორე ფრონტის** გახსნის ბრძანება არ შევასრულეთ და რუსეთთან ომში არ ჩავებით!

„რუსული კანონი“ დემოკრატიას უკან ხევსო... სინამდვილეში, დემოკრატიის უკან დახევა გამჭვირვალობის კანონი კი არა, ის არის, პრეზიდენტობის კანდიდატს ტყვიას რომ ესვრიან! მეტიც, **რაც ამერიკაში ხდება, ეს არის დემოკრატიის სრული ჩასვრა!**

ისე კი, ბაიდენს ზელენსკი პუტინი ჰგონია და ქართული კანონი რომ რუსული ეგონოს, რა გასაკვირია?!

**— ამერიკის მიერ ერთობლივი სამხედრო წვრთნების გაუქმების კვალდაკვალ, საქართველოს ევროკავშირმაც გაუყინა თავდაცვისათვის გათვალისწინებული დაფინანსება — 30 მილიონი ევრო!**

— ევროკავშირი, აბა, რას იზამდა, როცა ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას „ერთი ადგილის“ ქვეშ ჰყავს ამოდებული?! ევროკავშირის ელჩი **ჰერჩინსკი** სამარცხვინო კაცია და თავმოყვარეობა რომ ჰქონდეს, საქართველოში აღარ უნდა გაჩერდეს ისევე, როგორც საფრანგეთის ელჩი, **ქალბატონი ბასრი,** რომელმაც ურცხვად იცრუა — საქართველოს ბიუჯეტის დახმარებას შევაჩერებთო, არადა, საფრანგეთი საქართველოს ბიუჯეტს არასოდეს დახმარებია!

აღარაფერს ვამბობ გერმანიის სამარცხვინო ელჩ **ფიშერზე,** რომელსაც ხაზარაძის სახლი აქვს ნაქირავები და მას მარნეულსა და გარდაბანში დაჰყვება საარჩევნო შეხვედრებზე. ეტყობა, მევახშე ხაზარაძე სახლის ქირას პოლიტიკურ მხარდაჭერაში უქვითავს.

**— რაც უფრო ახლოვდება 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, მით უფრო მძაფრდება მოლოდინი, რომ საქართველოს პოლიტიკურად ძალიან მძიმე და ცხელი შემოდგომა ელის. თქვენი მოლოდინი როგორია?**

— ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი ადმინისტრაცია აღარც მალავს, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებასა და ხელისუფლებაში საკუთარი აგენტურის მოყვანას აპირებს. რა თქმა უნდა, შემოდგომაზე კიდევ ერთხელ ექნებათ ამის მცდელობა, მაგრამ არაფერი გამოუვათ!

წარმოიდგინეთ, რამხელა კრახს განიცდის ამერიკის პოლიტიკა და რამხელა სიბეცე ჭირს ამერიკის ადმინისტრაციას, როცა ქართულ პოლიტიკაში **მამუკა ხაზარაძის, სალომე ზურაბიშვილის, სალომე სამადაშვილის, ლიაკა ხოშტარიას, ნიკა გვარამიასა** და მსგავსი უსამშობლო მანქურთების გარდა დასაყრდენი არ ჰყავს!

ახლა **ხაზარაძემ** შეიერთა **ანა დოლიძე,** რომელსაც საკუთარი ოჯახის წევრებიც კი არ აძლევენ ხმას და გუშინ შექმნილი გაუგებარი პარტია **„თავისუფლების მოედანი“,** რომელსაც თავისი იდეოლოგიისა და სულისკვეთებიდან გამომდინარე, სახელად **„ლენინის მოედანი“** უფრო შეეფერება. **ხაზარაძეც ხომ ლენინური სტიპენდიატი და წარჩინებული კომუნისტი იყო, რომელსაც კომპარტიის ბილეთი დღესაც ლეიბის ქვეშ აქვს შენახული — რა იცი, იქნებ კომუნისტები მობრუნდნენ, წითელი დროშით ხელში დახვდება!**

**— ამბობთ — ამერიკას საქართველოში დაგეგმილი გადატრიალება არ გამოუვაო, მაგრამ რას ეფუძნება თქვენი ოპტიმიზმი?**

**— ამ შემოდგომაზე ამერიკელებს საქართველოსათვის არ ეცლებათ, რადგან ჩვენი საპარლამენტო არჩევნებიდან 10 დღეში თვითონ აქვთ უმძიმესი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელსაც შესაძლოა, სამოქალაქო ომი და ამერიკის დაშლა მოჰყვეს.**

2019 წელს, როცა აშშ-ს ჯერ კიდევ ძლევამოსილი სახელმწიფოს იმიჯი ჰქონდა, ვენესუელაში სახელმწიფო გადატრიალება სცადა და ოპოზიციის ლიდერი **ხუან გუაიდო** დროებით პრეზიდენტად აღიარა, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ცოტა ხანში ბაიდენის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ლამის ჩოქვით მივიდნენ მათ მიერ დასამხობად გამეტებულ ვენესუელის პრეზიდენტ **ნიკოლას მადუროსთან** — იქნებ ნავთობი მოგვყიდოო!

დიახ, ვენესუელაში, რომელიც ამერიკის ყურის ძირში მდებარეობს, **ბაიდენის ადმინისტრაციამ** სახელმწიფო გადატრიალება ვერ მოაწყო და 12 ათასი კილომეტრით დაშორებულ საქართველოში რა უნდა ქნას?

**— კი მაგრამ, თუ აშშ-მა და ევროკავშირმა 26 ოქტომბერს საქართველოს საპარლამენტო არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადეს და ხელისუფლების ლეგიტიმაცია არ ცნეს, პროცესები რა მიმართულებით განვითარდება?**

— მათი გეგმა უკვე გაშიფრულია —

**სალომე ზურაბიშვილი იმიტომაც აღაზევეს, რომ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადოს და ტექნიკური მთავრობა შექმნას, მაგრამ კიდევ გეუბნებით, რომ ეს სცენარი კრახისათვის არის განწირული, რადგან ქართველ ხალხს ვერ მოატყუებენ.**

ვენესუელის მაგალითი ტყუილად არ მომიყვანია — იქ სახელმწიფო გადატრიალება იმიტომ ვერ შედგა, რომ ხალხი ვერ აიყოლიეს, ამერიკის ფავორიტი ოპოზიციის ლიდერი **გუაიდო** კი დღეს, როგორც ვიცი, საგიჟეთშია მოთავსებული. **ქართველი გუაიდოებიც სწორედ ასე დაამთავრებენ!**

*ესაუბრა*

***გიორგი ძაძამია***








> **„წარმოიდგინეთ, რამხელა კრახს განიცდის ამერიკის პოლიტიკა და რამხელა სიბეცე ჭირს ამერიკის ადმინისტრაციას, როცა ქართულ პოლიტიკაში მამუკა ხაზარაძის, სალომე ზურაბიშვილის, სალომე სამადაშვილის, ლიაკა ხოშტარიას, ნიკა გვარამიასა და მსგავსი უსამშობლო მანქურთების გარდა დასაყრდენი არ ჰყავს!“**

## კვირგვინოსნები

**შარლ მიშელი**
*ევროპული საბჭოს თავმჯდომარე*



**პოლიტიკური ძალადობა** დემოკრატიულ ქვეყანაში აბსოლუტურად მიუღებელია. ყოფილ პრეზიდენტ **დონალდ ტრამპზე** თავდასხმას მკაცრად ვგმობ.

„რეზონანსი“

**იენს სტოლტენბერგი**
*ნატოს გენერალური მდივანი*



შოკირებული ვარ ყოფილი პრეზიდენტის **ტრამპის მკვლელობის მცდელობით** — ჩვენს დემოკრატიულ ქვეყნებში **პოლიტიკური ძალადობის ადგილი არ არის.**

„ინტერპრესნიუსი“

**ილონ მასკი**
*Tesla-ს დამფუძნებელი და სოციალური ქსელ X-ის მფლობელი*



ევროკომისიამ შემოგვთავაზა **უკანონო საიდუმლო გარიგება,** ჩუმად ცენზურას თუ დავადებდით სიტყვის თავისუფლებას, არ დაგვაჯარიმებდნენ.

„აიპრესი“

**რობერტა მეცოლა**
*ევროპარლამენტის პრეზიდენტი*



ვემზადებით ევროკავშირის გაფართოებისთვის, **ხალხი გვიყურებს საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში,** მზად უნდა ვიყოთ, რომ მათ ევროპის ხელი გავუწოდოთ.

„პირველი არხი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



„მისტერ ოფშორი“ **დავით კეზერაშვილი** მასშტაბური დამნაშავეა და კრიმინალური თანხებით ცდილობს, **საქართველოში არეულობა მოაწყოს,** მის მრევლში ვინც იქნება, პოლიტიკაში ვეღარ დარჩება.

„პირველი არხი“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



26 ოქტომბერს ქართველი ხალხი **ამ ხელისუფლებას სახლში გაისტუმრებს.**

„ინტერპრესნიუსი“

# ეს რა ჩააცვი,

***2024 წლის 26 ივლისს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში სტარტს აიღებს ზაფხულის 33-ე ოლიმპიური თამაშები, რომელშიც საქართველოდან სპორტის 10 სახეობის 28 წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. მათ ოლიმპიური ფიცი უკვე დადეს და საქართველოს მთავრობისაგან დაპირებაც მიიღეს, რომ ოქროს მედლის მომპოვებელი — მილიონით, ვერცხლისმედალოსანი — ნახევარი მილიონით, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელი 250 000 ლარით დაჯილდოვდება.***

სწორედ ოლიმპიური ფიცის დადების საზეიმო ცერემონიის სატელევიზიო ტრანსლაციისას იხილა ფართო საზოგადოებამ ქართველ ოლიმპიელთა ოფიციალური ჩაცმულობა, რამაც დიდი ვნებათაღელვა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

პირდაპირ რომ ვთქვათ, **ქართველი ოლიმპიელების სამოსი საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ მოეწონა და სოციალურ ქსელებში კრიტიკული კომენტარების ნიაღვარი წამოვიდა.** ზოგი ოლიმპიელთა ჩაცმულობით აღშფოთებას სრული სერიოზულობით გამოხატავს, ზოგი კი — იუმორითა და გროტესკით:

***„ოლიმპიადაა თუ ახალი წელი?“;***

***„ცუდად გათლილ ბოლოკებს ჰგავნან“;***

***„არ გაუშვათ ეს ხალხი ასე პარიზში“;***

***„თუ კარგი შედეგები არ დაიდო, ამ ფორმის ბრალი იქნება“;***

***„ახლის შეკერვა აღარ მოესწრება და რამე რომ შემოვახუროთ?“***

აი, ასეთები და ამაზე უფრო მწარე კომენტარები იწერება სოციალურ ქსელებში ქართველ ოლიმპიელთა ჩაცმულობის შესახებ.

ზოგადად, ოლიმპიური მოძრაობის დაუწერელი წესია, რომ დედამიწის ყველაზე მასშტაბური და გრანდიოზული სპორტული ფორუმის მონაწილე ოფიციალური დელეგაციების ოფიციალური სამოსი მათი ქვეყნისა და ხალხის ეროვნული იდენტობის, კულტურისა და ტრადიციების მოტივებზე უნდა იყოს შექმნილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკელი ოლიმპიელის სამოსი ხაზს უნდა უსვამდეს მის ამერიკელობას, მონღოლი ოლიმპიელის სამოსი — მის მონღოლობას, ქართველი ოლიმპიელის სამოსი — მის ქართველობას და ა.შ.

სხვათაშორის, ამერიკელები და მონღოლები ტყუილად როდი ვახსენეთ... **მოდის ავტორიტეტულმა საერთაშორისო ჟურნალმა „ვოგიმ“ პარიზის ოლიმპიადის მონაწილეთა შორის საუკეთესოდ ჩაცმულ ქვეყნად მონღოლეთი დაასახელა, მეორე ადგილი კი ამერიკის შეერთებული შტატების ჩაცმულობას მიანიჭა. და, მართლაც, წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილ ფოტოებზე შეგიძლიათ, ნახოთ, როგორი დახვეწილი და ელეგანტურია მონღოლ და ამერიკელ ოლიმპიელთა სამოსი, რასაც ქართველი ოლიმპიელების ჩაცმულობაზე ნამდვილად ვერ ვიტყვით.**

ქართული დელეგაციის ოფიციალურ სამოსში ოლიმპიური ტრადიციის პრინციპი — **უნიფორმა ქვეყნის ეროვნულ იდენტობას რომ უნდა გამოხატავდეს** — ერთი შეხედვით, დაცულია, რადგან მასზე ქართული ანბანის ასოებია დატანილი და სხვადასხვა შრიფტით აწერია **„საქართველო“,** მაგრამ **მთლიანობაში მაისური ისეა აჭრელებულ-აჭყეტელებული, აფრიკის რომელიმე ეგზოტიკური ქვეყნისა და ტომის ასოციაციებს უფრო აღძრავს, ვიდრე ევროპული და კავკასიური ერის იდენტობას უსვამს ხაზს.**

ცალკე საკითხია, რომ ქართველ ოლიმპიელთა ფორმაზე ქრისტიანობის სიმბოლო — **ჯვარი** — ოთხი ცალი ეიფელის კოშკის კომბინაციით არის დახატული, რამაც ასევე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ბევრი უარყოფითი შეფასება დაიმსახურა.

როგორც გაირკვა, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ოფიციალური უნიფორმის დიზაინის ავტორი **სიმონ მაჩაბელია,** რომელიც ნიდერლანდების სამეფო თეატრის მთავარი მხატვარი ყოფილა, საქართველოს სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ განათლება დიდ ბრიტანეთშიც მიუღია და ევროპის მასშტაბით პროფესიონალად უღიარებიათ. მოკლედ, **დიზაინერ მაჩაბელს, როგორც ლევან ხაბეიშვილი იტყოდა, სოლიდური „კურკუმალ ვაითი“ აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველ ოლიმპიელთა შემოსვაში, ნებსით თუ უნებლიეთ, დიდი იაღლიში მოუვიდა.**

შემთხვევით არ ვამბობთ: **„ნებსით თუ უნებლიეთ“!**

როცა ქართველი ოლიმპიელების ჩაცმულობაზე ერთი ამბავი ატყდა, სოციალურ ქსელებში **დიზაინერ მაჩაბლის** შესახებ ბევრი რამ გამოჩხრიკეს და აღმოჩნდა, რომ იგი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მაგინებელი და ნაცლიბერალური კვაზი-იდეოლოგიის აქტიური მიმდევარი ყოფილა.

**დიზაინერი მაჩაბელი განსაკუთრებული ანტაგონიზმით კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის მიმართ გამოირჩევა და სოციალურ ქსელში ისეთი შეურაცხმყოფელი ეპითეტებით მოიხსენიებს, როგორიც არის „ნევროტიკი ცეროდენა“, „გაუნათლებელი თავხედი“** და ა.შ. მას ასევე თავის ფეისბუქის გვერდზე გაზიარებული აქვს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მხარდამჭერ დეპუტატთა ფოტოები წარწერით: **„ბროილერის ქათმები იაფად... რუსული სიმინდით ჩასუქებულები“.** მაჩაბლის ფეისბუქის გვერდზევე ნა-



ქართველ ოლიმპიელთა ოფიციალური უნიფორმა

## არსებობის უფლება აქვს ეჭვს, რომ ქართველი ოლიმპიელებისათვის უგემოვნო და უგვანი სამოსის შეკერვა ნაცლიბერალი დიზაინერის ერთგვარი საბოტაჟი და დივერსიაა!





მონღოლ და ამერიკელ ოლიმპიელთა ოფიციალური უნიფორმები

## კვირგვინოსნები

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



ჩვენთვის წაგება ნიშნავს ქვეყნის დაკარგვას. ვიღაც ამბობს: **რა არის უფრო მნიშვნელოვანი — ტერიტორია თუ ხალხი?** ხალხი მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეგვიძლია რუსებს ჩვენი მიწის 30 პროცენტი ვაჩუქოთ.

„ინტერპრესნიუსი“

**ვიტალი კლიჩკო**
*კიევის მერი*



მომავალი თვეები რთული იქნება **ზელენსკისთვის,** მოუწევს გააგრძელოს ომი, თუ განიხილოს **პუტინთან** ტერიტორიული კომპრომისის შესაძლებლობა — რა ნაბიჯიც არ უნდა გადადგას, **ჩვენი პრეზიდენტი პოლიტიკური თვითმკვლელობის რისკზე მიდის.**

„ინტერპრესნიუსი“

**ოლაფ შოლცი**
*გერმანიის კანცლერი*



გერმანიის ისტორიის გათვალისწინებით, ჩვენ **უკრაინის მხარეს უნდა ვიყოთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ედგარ რინკევიჩსი**
*ლატვიის პრეზიდენტი*



**საქართველოს მთავრობა** ძალიან შორს წავიდა, ჩვენ **უნდა შევუზღუდოთ კანდიდატის სტატუსი,** თუკი ის არ გადაწყვეტს, გაატაროს ღირებულებები, რომლებსაც ყველა ვიზიარებთ, თუ ამას არ აკეთებ, **არ ხარ კლუბის ნაწილი.** „ინტერპრესნიუსი“

# სიმონ?!

## საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ოფიციალური უნიფორმის შეკერვა რაღა მაინცდამაინც კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის მაგინებელსა და „ქართული ოცნების“ დეპუტატთა „რუსულ ქათმებად“ გამომცხადებელ სიმონ მაჩაბელს მიანდეს?






**სიმონ მაჩაბლის ფეისბუქგვერდი ცხადყოფს, რომ იგი პირწავარდნილი ნაცლიბერალია!**










ხავთ მოწოდებებს „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გაფიცვის შესახებ, ნაცოპოზიციის წარმომადგენელთა ანტისამთავრობო განცხადებებსა და ბევრ ისეთ რამეს, რაც ცხადყოფს, რომ ქართველ ოლიმპიელთა სამოსის შემქმნელი დიზაინერი პირწავარდნილი ნაცლიბერალია.

ჰოდა, **იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო სტატისტიკური ნაცლიბერალისათვის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ავტომატურად ნიშნავს ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლას, ანუ ქართველი ნაცლიბერალი ხელისუფლების დაზიანების მიზნით, სამშობლოს დაზიანებასაც არ ერიდება და ყველაფერზე ხელის მომწერია, არსებობის უფლება აქვს ეჭვს, რომ ქართველი ოლიმპიელებისათვის ასეთი, ძალიან ბევრი ადამიანის აზრით, უგემოვნო და უგვანი სამოსის შეკერვა ნაცლიბერალი დიზაინერის ერთგვარი საბოტაჟი და დივერსიააა!**

ისიც ყველამ კარგად იცის,




**ქართველი ოლიმპიელები პარიზის ოლიმპიადაზე, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არასათანადოდ ჩაცმულები მიემგზავრებიან!**

რომ სწორედ იმათი მმართველობის დროს, ვის პოლიტიკურ განცხადებებსაც **სიმონ მაჩაბელი** თავის ფეისბუქზე აზიარებს და ვის იდეოლოგიასაც მისდევს, **ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ და მთავრობის პირველ პირთა სახალხოდ მაგინებელ დიზაინერს არათუ ოლიმპიური დელეგაციის ფორმას არ შეაკერინებდნენ, არამედ პროფესიული საქმიანობის საშუალებას საერთოდ მოუსპობდნენ და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან უკვალოდ გააქრობდნენ.**

მაშ, გამოდის, რომ ქართველ ოლიმპიელთა ასეთი უგემოვნო ჩაცმულობა **მეტისმეტი დემოკრატიის** ბრალია?

აბა, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ოფიციალური უნიფორმის შეკერვა რაღა მაინცდამაინც **კულტურის მინისტრ თეა წულუკიანის მაგინებელსა და „ქართული ოცნების“ დეპუტატთა „რუსულ ქათმებად“ გამომცხადებელ დიზაინერს მიანდეს?**

კი მაგრამ, საიდან საქართველოს „რუსულ ხელისუფლებას“ ასეთი ლოიალურობა და განსხვავებული აზრის შემწყნარებლობა?

მოკლედ, ქართველი ოლიმპიელები პარიზის ოლიმპიადაზე, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არასათანადოდ ჩაცმულები მიემგზავრებიან, მაგრამ იმედია, სათანადო წარმატებას მიაღწევენ და **დიზაინერ მაჩაბლის** პროფესიულ კრახსა თუ გამიზნულ საბოტაჟს თავიანთი დიდი გამარჯვებებით გადაფარავენ!

წინა ოლიმპიადების დროსაც ასე იყო — ქართველი ოლიმპიელების ოფიციალური სამოსი საზოგადოების ნაწილში ვნებათაღელვასა და აღშფოთებას იწვევდა, მაგრამ **ლაშა ტალახაძის, ლაშა ბექაურისა** და სხვა სპორტსმენების მკერდზე ოლიმპიური ოქროს მედლის დანახვისთანავე მათი ჩაცმულობა ყველა ქართველს ავიწყდებოდა!

**იმედია, წელსაც დაგვავიწყდება!**

**აუცილებლად უნდა დაგვავიწყდეს!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ლევან დავითაშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



საქართველოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი, იმისთვის, რომ ძალიან ბევრი სარგებელი მოუტანოს თავად ევროპას. **საქართველოს ევროპული მომავალი არ არის მხოლოდ საქართველოს მომავალი, ეს არის ევროპის მომავალი.**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი გახარია**
*„გახარია საქართველოსთვის“ ლიდერი*



**ირაკლი რუხაძე ივანიშვილის თოჯინებში დაწინაურდა!** ადამიანი, რომელსაც თავად ამერიკის პასპორტი აქვს და ევროპაში ცხოვრობს, **საკუთარი ფულის გადასარჩენად და ივანიშვილის დავალებით,** საკუთარი პროპაგანდისტული ტელევიზიიდან **ჩვენს შვილებს არწმუნებს, რომ ევროპა ცუდია.**

„რეზონანსი“

**ირაკლი რუხაძე**
*ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი*



ვფიქრობ, სანამ უკრაინის ომი არ დასრულდება, **ევროკავშირში შესვლა არანაირად არ გადაწყდება** — ნატოც და ევროკავშირიც გადაწყდება მას შემდეგ, რაც დალაგდება უკრაინა. **ის ფუნდამენტური ღირებულებები გადათელეს, რის გამოც ევროკავშირში გვინდოდა შესვლა** — გვეუბნებიან, რომ დღეს უნდა აირიოს ქვეყანა იმისთვის, რომ კარგ ვარიანტში, **6 წელში რაღაც ორგანიზაციის წევრები გავხდებით** ან არ გავხდებით.

„TV იმედი“

**გიორგი ჩაკვეტაძე**
*პარლამენტარი*



**26 ოქტომბერს** გადაწყვეტილების მიღება ძალიან მარტივია. ქართველმა საზოგადოებამ არჩევანი უნდა გააკეთოს: **მონურ დამოკიდებულებასა და სუვერენიტეტის განმტკიცებას შორის; ომსა და მშვიდობას შორის; წარსულში დაბრუნებასა და განვითარებას შორის.**

„ინტერპრესნიუსი“

# ზალიკო ბერგერი: „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში!



„ქართული ოცნების“ ახალი ოფისისა და საარჩევნო კამპანიის გახსნაზე ზალიკო ბერგერს „ფორმულას“ ჩიტკორი აექიდა

„ქართული ოცნების“ ახალი ოფისისა და საარჩევნო კამპანიის გახსნა. 2024 წლის 16 ივლისი




## „ნაცსექტის ბოსების ცოლები თვითმფრინავებსაც იძახებდნენ და ცნობილ მამაკაცებსაც!“

***გასულ კვირას „ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო და ახალი ცენტრალური ოფისიც გახსნა. მოწვეულ სტუმრებს — მსახიობებს, მომღერლებსა და სპორტსმენებს შორის გახლდათ დიზაინერი ზალიკო ბერგერი, რომელმაც ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა მმართველ პარტიას:***

— ძალიან გამიხარდა, როცა „ქართული ოცნებისაგან“ პრეზენტაციაზე მიპატიჟება მივიღე. არ ვიცოდი, ბიძინა ივანიშვილი რომ უნდა მოსულიყო. შესანიშნავი სიტყვა თქვა — საქართველოს ნათელი მომავლისკენ მიმავალ გზებსა და მშვიდობაზე ისაუბრა, რომლის გარეშეც ქვეყნის წინსვლა წარმოუდგენელია. სოციალურ ქსელში თავს დამესხნენ — პრეზენტაციაზე რატომ მიხვედიო... არადა, ამ პარტიას ღირსეული ადამიანები უდგანან სათავეში, ჩემი ქვეყნის წინსვლისა და მშვიდობის გარანტები არიან და იმიტომაც მივედი.

რამდენიმე წლის წინათ თბილისის მერობის კანდიდატად **კახი კალაძის** წარდგენას როცა დავესწარი, მაშინაც გამლანძღეს. **მიმაჩნია, რომ თბილისს ყველაზე მაგარი მერი ჰყავს და მე იქ აუცილებლად უნდა მივსულიყავი!**

### ამ 12 წლის განმავლობაში ქვეყანამ ამოისუნთქა ნაცსექტისგან, აღარ გვინდა მაგათი მუქარების მოსმენა და, რაც მთავარია, არ გვინდა ომში ჩათრევა, რისთვისაც ასე გამალებით იბრძვიან.

საქართველომ აირჩია ძალიან სწორი გზა და ახლა ჩინეთთან ურთიერთობას რომ იწუნებენ, ამათი სალაპარაკო რა აქვს ამ მაღალტექნოლოგიურ ზესახელმწიფოს, რომ მოინდომოს, შეიძლება, რუსეთზეც იქონიოს გავლენა აფხაზეთთან დაკავშირებით!

**— რამდენიმე ოპოზიციური პარტია ერთიანდება მმართველი პარტიის წინააღმდეგ...**

— ამ ოპოზიციამ მთელი მსოფლიოდან რომ შეკრიბოს ფული და **ილონ მასკმაც** მისცეს თავისი ფინანსები, მაინც არაფერი გამოუვა, **ნინო ლომჯარიასგან მაინც ვერაფერს გამოიყვანენ და არც ჩვენს პრეზიდენტ ზურაბიშვილს ეშველება რამე!** ეს ქალი ჯერ **სააკაშვილს** შეუძვრა, მერე — **ივანიშვილს,** ომის მერე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ლავროვზე** ამბობდა, მესიმპათიურებაო... ახლა მომდევნო ვადით უნდა კიდევ პრეზიდენტობა, ჰგონია, ნაცები ისევ პრეზიდენტად დასვამენ.

**— რუსულ კანონს აპროტესტებდნენ. არადა, ამ ორი დღის წინათ გვარამიამ განაცხადა — რუსეთთან ეკონომიკური ვაჭრობით მიღებული სარგებელი ქართველი ხალხის დაკვეთაა და ქვეყნის განვითარებისთვის არის აუცილებელიო...**

— **ლიაკა ხოშტარია** ხომ ჰყავს პარტიაში, რომელიც რუსეთიდან იღებს რუბლებს, ალბათ, მაგის გამოც თქვა. ის ვიდეო ხომ ყველამ ნახა, **ლიაკას დედა** რუსეთიდან ფულს რომ ელოდება. კუპრიდან გამოვარდნილმა **ნოდარა მელაძემ** ახლაც ილაპარაკოს... **ხაზარაძეც** მწვავედ აკრიტიკებდა რუსეთს და თვითონვე განაცხადა, პირველი მილიონი რუსეთში ვიშოვეო... ახლა მაგასთან გაერთიანდა **ანა დოლიძე** და ხალხს ერთად „დააბოლებენ“. დოლიძემ არ იცის, **ხაზარაძე** ხალხს რამხელა დარიცხული პროცენტებით ავიწროებდა და ცხოვრებას უმწარებდა? ვინ ჰპირდება საქართველოს წინსვლას, ნიკა მელია ან ზურა-გირჩი? თავიანთი ლიდერების მონდომებით აქ რომ ბომბდამშენმა გადაიფრინოს, საქართველო ჩამოგვენგრევა თავზე, როგორც კიევს უშველა დასავლეთმა, ისე გვიშველიან ჩვენ!

**— უხარიათ, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს შეუჩერებენო...**

— ევროინტეგრაცია ძალიან კარგად მიმდინარეობს, აჟიოტაჟს ქმნიან. **შარლ მიშელიც** ნაწყენი წავიდა აქედან და ცოტა ხანში კანდიდატის სტატუსი მოგვცეს. ადრე გახარებულები იყვნენ, **კობახიძეს** ზელენსკი არ მიესალმა და ევროპელი პოლიტიკოსებისგანაც შორს იდგაო. რაც უნდათ, ის თქვან, **ირაკლი** არის საქართველოს ღირსეული შვილი, ნიჭიერი და განათლებული, რომელსაც ორიოდე დღის წინათ სასარგებლო შეხვედრები ჰქონდა ბრიტანეთში. ამერიკაში მითხრეს — **ზელენსკიმ უკრაინაც გაწირა და ერის მომავალიცო. მაგის მინისტრების ცოლები კი მილიონებად ღირებულ მანქანებზე სხედან და**

## „მიმაჩნია, რომ თბილისს ყველაზე მაგარი მერი ჰყავს და მე იქ აუცილებლად უნდა მივსულიყავი!“



კახა კალაძე „ქართული ოცნების“ ახალი ოფისისა და საარჩევნო კამპანიის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას

## კვირგვინოსნები

**ირაკლი მელაშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



ვინც უნდა გადატეხოს **„ქართული ოცნების“ ბატონობა** წელში, ის მთავარი ძალა ჯერ არ გამოკვეთილა.

„კვირის პალიტრა“

**არჩილ გორდულაძე**
*პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ არის **ერთადერთი გუნდი, რომელიც 26 ოქტომბერს დამაჯერებლად გაიმარჯვებს** — ჩვენ ვართ **ერთადერთი გუნდი,** რომელიც ქვეყნის მომავალზე ზრუნავს.

„იმედინიუსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიციას **ივანიშვილის გზავნილები** დადებითად რომ შეეფასებინა, ეს იქნებოდა გასაკვირი. ოპოზიცია ამბობს, რომ „ქართულ ოცნებას“ უჭირს, რომ **ეს პარტია უკვე მოკვდა,** მაგრამ ყველა არჩევნების შემდეგ **ცოცხალია და ხელისუფლებაშიც რჩება.**

„ახალი თაობა“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



კვლევამ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების **51 პროცენტს** ვებგვერდი არ გააჩნია, **62 პროცენტს არა აქვს მითითებული** დონორის დასახელება და ლოგო, **68 პროცენტს კი არა აქვს მითითებული** პროექტების დასახელება.

„ინტერპრესნიუსი“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ წელს **არჩევნებს მოიგებს უპრეცედენტო მხარდაჭერით.**

„იმედინიუსი“




მონაკოში კაზინოში დადიან. ეს კადრები ინტერნეტშიც დევს. ასევე დადიოდნენ ნაცსექტის ბოსების ცოლებიც, იძახებდნენ თვითმფრინავებს და ცნობილ მამაკაცებსაც კი, მასაჟისტებსაც. ხომ გახსოვთ, **სოფო ნიჟარაძისთვის** ჩამოყვანილი **კრის დე ბურგი, ხოაკინ კორტესი, ანდრეა ბოჩელი.** მერე ესენი ალაპარაკდნენ ირაკლი ღარიბაშვილის თვითმფრინავით მგზავრობაზე. ღარიბაშვილი მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო, აბა, რით უნდა გამგზავრებულიყო? გაიხსენონ სააკაშვილის ვოიაჟები.

**— სააკაშვილის პოლიტიკური მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ?**

**– საქართველოში სააკაშვილს პოლიტიკური მომავალი არა აქვს. ციხეში რამდენი წელიც არ უნდა იჯდეს, ისეთივე გამოვა, როგორიც ახლაა.**

ვითომ კვდებოდა, არადა, მაგას რა მოკლავს, ისეთ „ხოდზეა“. მითხრეს, უკრაინაში როცა ჩავიდა, ჩააცვეს და დაახურეს, მერე იქაურების ერთმანეთთან გადაკიდება დაიწყო და პრეზიდენტობა მოინდომაო. დარჩა ახლა მაგის პარტია **თინა ბოკუჩავასა** და შავგვრემანი **სოფო ჯაფარიძის** ამარა, აღარც **ხაბეიშვილი** ჩანს, **გვარამია** და **მელიაც** გაექცა. კეზერაშვილს უთქვამს, მთავარი **ჯაფარიძე** უნდა იყოსო და ვნახავთ, ვინ იქნება ეს მთავარი.

**— ვინ იქნება მთავარი, გამარჯვებული პარტია?**

— **„ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში!** მშვიდობას ვუსურვებ საქართველოს, „ასავალ-დასავალის“ მკითხველს, ყველაფერი იქნება კარგად. გვყავს განათლებული პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე.** გარდა იმისა, რომ ჭკვიანია, კარგი ფეხიც აქვს, ჩვენმა ფეხბურთელებმა წარმატებით ითამაშეს ევროპაში. **ამ ოპოზიციამ რამდენიმე კაცი თუ შეიყვანა პარლამენტში, იმას დასჯერდეს!**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***




## *ზურა მანჯავიძე:*

# სირცხვილი მათ, ვინც ქართულ ჯარში გასაშვები ფული უსამშობლო ადამიანებთან გადააგზავნა!

***„არავინ გაბედოს ტერაქტის მოწყობა, თორემ პასუხი იქნება ადეკვატური, ხალხის მოთმინებას საზღვარი აქვს“, — ამბობს მომღერალი ზურა მანჯავიძე და ოპოზიციასა და მათ მომხრეებს მიმართავს:***

— არჩევნებში მმართველი პარტია დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს და ეს იქნება ნაციონალების — ამ მახინჯი და უსამშობლო ძალის დამარცხება, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში მომავალი არა აქვს. **ქართველი ხალხი გაიმარჯვებს და გვექნება ძალიან კარგი, უხვმოსავლიანი შემოდგომა!**

**— მოსალოდნელია თუ არა არეულობა? აკი, პრემიერ-მინისტრი გააფრთხილეს კიდეც...**

— დაპირისპირებისა და არეულობის სურვილი ექნებათ, ტერაქტისაც, მაგრამ, იმედი მაქვს, ჩვენი უშიშროება იმუშავებს ძალიან კარგად და არ დაუშვებს მსგავს ფაქტს. ვინმეს თუ ხელი წაუცდა, პასუხიც ადეკვატური იქნება. არავინ გაბედოს ამის გაფიქრებაც კი, ხალხის მოთმინებას საზღვარი აქვს. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის აზრია ნაცსექტის მოცილება პოლიტიკიდან, ამიტომ ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს. ოპოზიციას არ უნდა ამ ქვეყნისთვის სიკეთე, ყველაფერზე მიდის, ოღონდაც თავის მიზანს მიაღწიოს, მაგრამ საქართველოს მაგათ არ დავაღუპვინებთ.

**— ამბობენ, რომ საქართველომ ევროპულ კურსს გადაუხვია...**

— ვიზალიბერალიზაციაც არ შეჩერდება და კანდიდატის სტატუსიც შენარჩუნდება, მაგრამ, თუკი ჩვენი მყარი პოზიციის გამო დაგვსჯიან, ეს იქნება ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საზღაური. ასე რომ, მზად ვართ, მსხვერპლი გავიღოთ, ჩვენს გზას კი არ გადავუხვევთ! დიახ, **პირველ ადგილზე დგას ჩვენი ქვეყანა და არა ჩვენით დაინტერესებული ვიღაც ევროპელი მექრთამე ჩინოვნიკი, საკუთარ ქვეყანაში სიტუაცია რომ ვერ მოუგვარებია, ევროპარლამენტშიც ქრთამს იღებს და აქეთ ჭკუას გვასწავლის.** ჩვენ არავის ვასალი არ გავხდებით. სირცხვილი მათ — 30 მილიონი, რაც ქართული ჯარისთვის რომ უნდა გამოეგზავნათ, იმ არასამთავრობო ბრბოს გადაუგზავნეს, სინამდვილეში უცხო ქვეყნების ინტერესებს რომ ატარებს. **ჩვენმა ჯარისკაცებმა თავიანთი სისხლითა და სიცოცხლის სასწორზე დადებით დაამტკიცეს ერთგულება და, თუკი ქართველი ჯარისკაცის თავდადებას მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ საქართველო მოახერხებს და ამ 30 მილიონს სხვა გზით გამონახავს.** სირცხვილი მათ, ვინც ქართულ ჯარში გასაშვები ფული უსამშობლო ადამიანებთან გადააგზავნა.

**— მათ თავიანთი პირობები აქვთ, რომლის შესრულებასაც მათთან ერთად ოპოზიციაც ითხოვს...**

— მაგათ ვერ გაიგეს, რომ, თუ მონა ხარ, მნიშვნელობა არა აქვს, ვის ემონები, რუსს, ევროპელს თუ ამერიკელს. მონა მონაა! მეძავს, რაც უნდა დიდი ფული გადაუხადო, მაინც მეძავია და სპეტაკი ვერასოდეს გახდება. **ოპოზიცია გადარჩენის გზებს ეძებს და რაღაც გაერთიანებებს ქმნის, სასაცილოა ამათი ალიანსები და ხუნტრუცი, კარგად ვერთობი ხოლმე!** ხალხს ვერ მოატყუებენ, ხოლო ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა მათი, ძალიან ცოტანი არიან, თითქმის განულებულნი და ნული რაზეც არ უნდა გადაამრავლო, მაინც ნულია, ანუ სექტა რჩება სექტად!

**— გასულ კვირას ლარნაკაში ოპოზიციამ კეზერაშვილთან საკითხები შეათანხმა...**

— ვერც **კეზერაშვილი** და ვერც **სააკაშვილი** ამ ქვეყანაში ვერაფერს შეცვლიან, ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ შეკრებაზე სრულიად გასაგებად ახსნა ამ ქვეყნის მომავლის სვლები. **ესენი ხტუნვისგან დაიღლებიან და წავლენ, რაც ადრე ლარნაკები და ვაზები ჰქონდათ სასროლი, უკვე ისროლეს.** შეიძლება, შეიარაღებული ამბოხი მოიფიქრონ — ეგენი ამაზე ოცნებობენ, მაგრამ დიდ კრახს მიიღებენ, მაგათი დრო 2012 წელს წავიდა და დღესაც პერსპექტივა არა აქვთ. **მეცინება, კიდევ რომ ხალხს აგროვებენ და რაღაც შეხვედრებს მართავენ. ხმამაღლა ვამბობ: ეს არის მკვლელების, სადისტების, ფაშისტებისა და უსამშობლო ადამიანების ერთობა, რომლებიც გამალებით მიილტვიან ქვეყნის გადასაჩეხად.**

**— „ქართული ოცნების“ შეკრებაზე ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის შემდეგ სააკაშვილმა ისევ ხმა ამოიღო და მმართველი ძალა პრორუსულად მოიხსენია...**

— სააკაშვილის განცხადებები არ მაინტერესებს, არაჯანსაღი ფსიქიკა და ფსიქოლოგიური გადახრები აქვს, სამკურნალოა! გარკვეულ პირებს კიდეც აწყობთ მაგისი მანდ ყოფნა, მოწამის მანტია ჩააცვეს და ქულებს იწერენ, ბელადს გვიკლავენო... ვისაც ჰგონია, რომ ეს კაცი სიმართლეს ამბობს, მათ მიმართ მხოლოდ სიბრალულს ვგრძნობ!

***ესაუბრა***
***ქეთევან ხამიცაშვილი***



## კვირგვინოსნები

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ეს იქნება **რთული არჩევნები მარტივი არჩევანით** და აუცილებლად გაიმარჯვებს სიმართლე.

„იმედინიუსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



ასარჩევია — **გვინდა მშვიდობა, განვითარება, კეთილდღეობა და ღირსება თუ გვინდა ისევ ტრაგედია,** რომელიც იქნება ვიღაც აქტორების მხრიდან ტაშდაკრული.

„რეზონანსი“

**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ პოლიტიკური მდივანი*



**ბიძინა ივანიშვილმა** ვერცერთი მანდატი **ვერ უნდა ჩაიდოს ჯიბეში** ამ არჩევნებზე.

„რეზონანსი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



„ქართული ოცნება“ **რის იმედად იგებს,** ვერ გეტყვით. **გაყალბებას გაბედავს?** მაშინ **მოხვდებათ ხელებში!**

„ახალი თაობა“

**ლევან ბეჟაშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



ჩვენ მზად ვიყავით, **დაგვეთმო სახელი, ნომერი,** ოღონდ შემდგარიყო ერთიანობა.

„რეზონანსი“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**ენმ-სა და „ახალს“** შორის **რა განსხვავებაა,** ვინმემ გაიგო? **კოკა-კოლის ნაცვლად შაშა-კოლააა,** ამას მივხვდი.

„იმედინიუსი“

*დასაწყისი იხ. „ა-დ". 2024 წლის №30*

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე „ასავალ-დასავალთან" საუბარს ასრულებს და საქართველოს უახლესი ისტორიის არაერთ სკანდალურ და გასაიდუმლოებულ ფაქტს ასაჯაროებს.:***



# ლაზარე ჯორბენაძე:

# ჭყანიას მკვლელობის მომენტში ყველაფერი მოიფიქრა ორმა საშინელმა ადამიანმა – ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა!





## „ძაღლიშვილ ზურაბ ადეიშვილს გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება იმ ადამიანების დასატერორებლად და დასამორჩილებლად ესაჭიროებოდა, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს არ ემხრობოდნენ და ტაშს არ უკრავდნენ!"

— ძალიან ბევრი რამ ვიცი, მაგრამ თავს უფლებას არ მივცემ, ისეთი საიდუმლო გავამჟღავნო, რომელიც მერე დიდ საზოგადოებრივ დაპირისპირებასა და უბედურებას გამოიწვევს. მიუხედავად ამისა, თავიდანვე ვაცხადებ: „ასავალ-დასავალის" ერთგული და სტაჟიანი მკითხველი ვარ და თქვენ სწორ გზას ადგახართ — **ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას ოჯახში, მოკლული ზვიად გამსახურდიას ცხედარი მიიტანეს და სპექტაკლი დადგეს!** ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ზვიადის მკვლელობის საქმეს ვინც იძიებდა, ის ხალხი შევარდნაძის დავალებას ასრულებდა. შესაბამისად, **ზვიად გამსახურდიაც სწორედ შევარდნაძემ მოკლა და ამას წყალი არ გაუვა!** ასე, რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტს თავი კი არ მოუკლავს, ზვიადი ჯერ აწამეს და მერე მოკლეს!

**— თქვენ დარწმუნებული ხართ იმაში, რასაც ამბობთ?**

— დარწმუნებული ვარ! **რობიზონ მარგველანმა** ყველაფერი იცის, მაგრამ ეშინია, არ მოკლან. ყველაფერი იცის **ბესარიონ გუგუშვილმაც,** რომელიც პირადად ესწრებოდა ზვიად გამსახურდიას წამებასა და მკვლელობას. ამიტომაც არის გაქცეული ევროპაში. გუგუშვილი სააკაშვილის ხელისუფლებას არ ენდობოდა, ამიტომაც მიშას პრეზიდენტობის დროს ევროპიდან არ ჩამოვიდა.

**— მაინც რატომ არ იხსნება გამსახურდიას მკვლელობა?**

— ზვიად გამსახურდიას საქმე გამოძიებულია და **ძაღლიშვილ ადეიშვილს** ყველაფერი დასრულებული აქვს, მაგრამ ოფიციალურად ამ ყველაფრის გასაჯაროებას და პრეზიდენტის მკვლელობის გახსნილად გამოცხადებას ხელს უშლის რამდენიმე ფაქტორი: 1. ზვიად გამსახურდიას წამებისა და მკვლელობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფიგურანტი დღესაც ცოცხალია და აქტიურ პოლიტიკაშია; 2. ვინც ზვიად გამსახურდის მკვლელობის საქმე გააყალბა და პრეზიდენტის მკვლელობა, შევარდნაძის დავალებით, თვითმკვლელობად გამოაცხადა, მათი დიდი ნაწილი ისევ პროკურატურაში ან სხვა სახელმწიფო უწყებებში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე არის წამოჭიმული; 3. ამ საქმეში ყველაზე მთავარი მაინც შევარდნაძის ფაქტორია, რადგან დღევანდელი ხელისუფლება ისევე, როგორც სააკაშვილის რეჟიმი, წარმოადგენს შევარდნაძის პოლიტიკურ მემკვიდრეობას.

**— თუ ეგრეა, ადეიშვილმა ზვიადის მკვლელობა რატომ გამოიძია?**

— **ძაღლიშვილ ზურაბ ადეიშვილს** ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება იმ ადამიანების დასატერორებლად და დასამორჩილებლად ესაჭიროებოდა, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს არ ემხრობოდნენ და ტაშს არ უკრავდნენ.

**გამსახურდიას ე.წ. მომხრეების სოლიდური ნაწილი სააკაშვილის მონად იქცა.**

თუმცა, ამის ახსნა ძალიან მარტივია. ადეიშვილმა ყველაფერი იცის — ვინ სად დაძვრებოდა, ვინ როგორ თანამშრომლობდა ფარულად შევარდნაძესთან და ვინ გაყიდა ზვიადი! აი, ამიტომ სჭირდებოდათ ძაღლიშვილ ადეიშვილსა და ნაძირალა სააკაშვილს ზვიადის მკვლელობის გახსნა, თორემ მათ სხვა ფიქრი და მიზანი არც ჰქონიათ.

**— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს, რომელიც გენერალურ პროკურატურაში თაროზეა შემოდებული, პირადად გაეცანით თუ არა?**

— ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ, რადგან **ჩემმა ნებისმიერმა განცხადებამ შესაძლოა, გამოიწვიოს დაპირისპირება. ამიტომ, რაც ვთქვი, ესეც საკმარისია და გამგები ყველაფერს გაიგებს. საერთოდ, ზვიადის მკვლელობის გახსნილად**

## „ექსპერტი ლევან ჩაჩუა, რომელიც კარგი ადამიანი იყო, მაგრამ სიმართლის თქმა ვერ გაბედა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა!"



## კვირგვინოსნები

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" წევრი*



მას შემდეგ, რაც **გამჭვირვალობის კანონის „რუსულად" მონათვლის და ხალხის გაბრიყვების გზით რევოლუციური გადატრიალების მცდელობა ჩაიშალა,** ოპოზიციამ მთელი მსოფლიოს ლიბერასტული მმართველობა ჩართო **ხელისუფლების დამხობის** „წმინდათაწმიდა" საქმეში.

„იმედინიუსი"

**ნინო ფიჩხუა**
*ექსპერტი*



საკუთრების უფლების ინდექსით საქართველო **40 საუკეთესო ქვეყანას შორისაა,** 11-წლიანი პროგრესით **მსოფლიოს საუკეთესო ათეულში, ევრაზიის სამეულში და ევროპაში პირველ ადგილზე.** ეს შედეგია სწორი პოლიტიკის, რასაც აწარმოებს ხელისუფლება.

„იმედინიუსი"

**ლევან მაჭავარიანი**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე*



26 ოქტომბერს ჩვენს მოქალაქეებს **არჩევანი ექნებათ მშვიდობასა და ომს შორის, სიკეთესა და ბოროტებას შორის.** ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ **ძალიან დიდი მხარდაჭერა გვექნება** და დიდი ანგარიშით გავიმარჯვებთ არჩევნებში.

„იმედინიუსი"

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**ფიცოს და ტრამპის** შემთხვევამდე, **ალეკო ელისაშვილი** ლაჩრულად მიეპარა **მამუკა მდინარაძეს** და გამეტებით საფეთქელში მუშტი ჩაარტყა. დიახ, **მდინარაძეც სიკვდილს გადაურჩა, ელისაშვილი პირდაპირ ადამიანის მკვლელობაზე წავიდა.**

„იმედინიუსი"



# „ბაჩო ახალაია თავისი ფეხით ჩამოვიდა და ციხეში ჩაჯდა, რათა საზღვარგარეთ გადახვეწილ კანონიერ ქურდებს არ მოეკლათ!“

## „ჩემი ინფორმაციით, ამ გარიგებისა და ბაჩო ახალაიას ციხეში გადამალვა-გადანახვის სანაცვლოდ როლანდ ახალაიამ 20 მილიონი ამერიკული დოლარი გადაიხადა!“

### გამოცხადებას კიდევ ერთი დიდი მიზეზი უშლის ხელს – ფული!

**— რას გულისხმობთ? დააკონკრეტეთ!**

— **ედუარდ შევარდნაძის მილიარდები ვანო ჩხარტიშვილისა და სხვა ხელისბიჭების მეშვეობით 90-იანი წლების რუსეთში ქართველ კრიმინალებთან წავიდა.** დღეს კრიმინალები ცოცხლები არ არიან, მაგრამ ის ფული ისევ საქართველოში ტრიალებს და თავის საქმეს აკეთებს.

**— კრიმინალებში კვანტრიშვილებს გულისხმობთ?**

— ცხადია! ხალხმა ბევრი რამ არ იცის. მე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ და **სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამერიკის მაშინდელი ელჩი ჯონ ბასი ირაკლი ალასანიას გვერდიდან არ შორდებოდა და 2012 წელს „ქართულ ოცნებას“ გვერდით ედგა.** მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში ბატონი ბიძინა, **ირაკლი ალასანია** მაშინვე თავდაცვის მინისტრი გახდა. რატომ? იმიტომ, რომ ამერიკის ადმინისტრაციას სურდა, საქართველოში ყველაზე მსხვილი შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელი თავისი აგენტი ყოფილიყო. ამერიკელების ხელდასხმით და ნებით, **დათა ახალაია, მეგის ქარდავა და სოსო თოფურიძე** სარფის საბაჟოზე სწორედ **ირაკლი ალასანიას** პირადი მანქანებით გადაიყვანეს და ქვეყნიდან გააპარეს!

**— რას ამბობთ?!**

— კი, ასე იყო! სად არის დღეს **ირაკლი ალასანია?** ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელსაც ამერიკის ხელისუფლება აფინანსებს და დიდი ფული აქვს. სწორედ ამ ნიშნით შეარჩიეს თავდაცვის მინისტრად **თინა ხიდაშელიც,** რომელიც ასევე ამერიკის სპეცსამსახურების აგენტია.

**— მაშინ ბაჩო ახალაია რატომ ჩაჯდა ციხეში?**

— **ბაჩო ახალაია** თავისი ფეხით ჩამოვიდა და ციხეში ჩაჯდა, რათა საზღვარგარეთ გადახვეწილ კანონიერ ქურდებს არ მოეკლათ. რაც შეეხება **მეგის ქარდავას,** იგი თავისი სისულელის გამო ჩავარდა, თორემ კაციშვილი მაგის საქართველოში ჩამომყვანი არ იყო. დოკუმენტი ხელში არ მიჭირავს, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, ამ გარიგებისა და ბაჩო ახალაიას ციხეში გადამალვა-გადანახვის სანაცვლოდ **როლანდ ახალაიამ** 20 მილიონი ამერიკული დოლარი გადაიხადა!

**— მივუბრუნდეთ ზურაბ ჟვანიას მკვლელობას! კიდევ რა შეგიძლიათ დაამატოთ იმ სკანდალურ განცხადებას, რომელიც ამ საკითხზე „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გააკეთეთ? ვინ ესწრებოდა ჟვანიას მკვლელობას?**

— ზურაბ ჟვანიას მკვლელობას სააკაშვილისა და ჟვანიას დაცვა ესწრებოდა. **ჟვანიას დაცვის ორი წევრი მკვდარია და ორივე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, ხოლო სააკაშვილის დაცვის ერთი წევრი გარდაცვლილია და ერთი საზღვარგარეთ არის გაქცეული.** აქ საუბარია დაცვის იმ წევრებზე, რომლებიც ჟვანიას მკვლელობას შეესწრნენ! ის სიბინძურე, რაც მაგათ **რაულ უსუპოვთან** დაკავშირებით „იჩალიჩეს“, უდიდესი საზიზღრობა გახლდათ... ზურაბ ჟვანიას მკვლელობის მომენტში სააკაშვილი ისე იყო დამფრთხალი, შეშინებული და კუთხეში მიმწყვდეული, არაფრის მოფიქრებისა და გადაწყვეტის თავი არ ჰქონდა. ყველაფერი მოიფიქრა ორმა საშინელმა ადამიანმა — **ვანო მერაბიშვილმა** და **ზურაბ ადეიშვილმა!**





### ვინც ჟვანიას საქმეს იძიებდა, დღეს ყველა მაღალ თანამდებობაზეა. აი, სწორედ ამიტომ არ იხსნება ჟვანიას მკვლელობა.

ყველამ იცის, რომ ლევან სამხარაული ამ საქმეზე ექსპერტიზის დადებიდან რამდენიმე დღეში მოკლეს და ახალგაზრდა კაცი თავის შეურაცხად კლასელს მოაკვლევინეს. ექსპერტი **ლევან ჩაჩუა,** რომელიც კარგი ადამიანი იყო, მაგრამ სიმართლის თქმა ვერ გაბედა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა!

**— თქვენმა განცხადებებმა მოქმედ მოსამართლეებთან და პროკურორებთან მიმართებაში დიდი ვნებათაღელვა და აურზაური გამოიწვია. ისევ იმ აზრზე ხართ?**

— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** ნაცების დროს „გერმანიის განვითარების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი იყო და შესაძლოა, მან ბევრი რამ არ იცის, მაგრამ **მამუკა მდინარაძე** მაშინ ცნობილი ადვოკატი გახლდათ და ჩემზე უკეთ მოეხსენება, თუ ვინ არიან და რას წარმოადგენენ სინამდვილეში დღევანდელი სასამართლოსა და პროკურატურის ბოსები. ერთსაც ვიტყვი: **როცა ხელიდან წასული ნიკა გვარამია ვაკის პროკურორი იყო, გიორგი გაბიტაშვილი მაშინ ვაკის პროკურატურაში სტაჟიორად მუშაობდა.**

**კეზერაშვილი** რომ კრიმინალია, ამაში ხელისუფლებას მილიონი პროცენტით ვეთანხმები, მაგრამ ვერც მას დაიჭერენ, არადა, არის საქმეები, რომელშიც იგი სასამართლოს წესით არის გამტყუნებული. უფრო მეტიც, **დავით კეზერაშვილს** კიდევ აქვს ჩადენილი უბედურებები, რომლებსაც არასოდეს გამოიძიებენ.

**— რატომ არ გამოიძიებენ?**

— იმიტომ, რომ პროკურატურაში, სასამართლოში, საგამოძიებოსა თუ ფინანსურში ისევ კეზერაშვილის ხელისბიჭები არიან, რომელთა დასახელებაც არავის აწყობს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

> „სად არის დღეს ირაკლი ალასანია? ამერიკაში, კერძოდ, ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელსაც ამერიკის ხელისუფლება აფინანსებს... სწორედ ამ ნიშნით შეარჩიეს თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელიც, რომელიც ასევე ამერიკის სპეცსამსახურების აგენტია!“

## „შევარდნაძის მილიარდები ვანო ჩხარტიშვილისა და სხვა ხელისბიჭების მეშვეობით 90-იანი წლების რუსეთში ქართველ კრიმინალებთან წავიდა.

### დღეს კრიმინალები ცოცხლები არ არიან, მაგრამ ის ფული ისევ საქართველოში ტრიალებს და თავის საქმეს აკეთებს!“



## კვირგვინოსნები

**გია აბაშიძე**

*ანალიტიკოსი*



საქართველოში, რომელსაც უნამუსოდ ადანაშაულებენ დემოკრატიის უკუქცევაში, **სამოქალაქო თავისუფლების კუთხით საგრძნობი პროგრესია.** გამოდის, რომ საერთაშორისო რეიტინგები ან „ჩაწყობილია“, ან „გლობალური ომის პარტია“ მწარედ იტყუება.

„POSTV“

**შალვა თადუმაძე**

*უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე*



არანაირი **კლანური მმართველობა არ არსებობს,** მართლმსაჯულებაში ყველა ქვეყანაში არსებობს ხარვეზები. **ვეტინგი** არის შემოწმების მექანიზმი, მაგრამ **საქართველოში ვეტინგი არის განსასჯელების და მსჯავრდებულების ანგარიშსწორება სასამართლოზე.**

„ახალი თაობა“

**კახა წიქარიშვილი**

*იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პრეზიდენტის მიერ დანიშნული არამოსამართლე წევრი*



სასამართლო სისტემაში არის რესურსი, რომელთანაც **გაჯანსაღებაზე მუშაობა შეიძლება,** გამოსავალი არის სისტემის სრული რეორგანიზაცია — „კლანის“ ჯგუფი, მთავარი ბირთვი უნდა წავიდეს.

„ინტერპრესნიუსი“

**ბიძინა გიორგობიანი**

*საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



ის დრო აღარ არის, როდესაც საქართველოში ჩამოსული დიპლომატი აღქმული იყო ზეადამიანად. **ჩვენ უკვე გავიზარდეთ საიმისოდ, რომ კრიტიკულად შევხედოთ დასავლეთსა და აღმოსავლეთს.** საქართველო ადვილად ხელწამოსაკრავი და ვილაცისგან ექსპერიმენტების ჩასატარებელი ერი არ არის.

„რეზონანსი“

*ყოველ ორშაბათს, უთენია, „ასავალ-დასავალს“ ყიდულობს და მთელი კვირის მანძილზე გულდასმით კითხულობს, ხოლო წაკითხულ სტატიებსა და ინტერვიუებს ფოტოს უღებს, საკუთარ კომენტარს ურთავს და ფეისბუქზე პოსტავს... გაგრიდან დევნილ ოთარ ფირცხალავას უყვარს ყოველივე ქართული და, იმავდროულად, სძულს თანამედროვე ამერიკულ-ევროკავშირული ფაშიზმი:*




# ოთარ ფირცხალავა:

# ვინც დღეს რუსოფობიას აღვივებს, საქართველოს პირწავარდნილი მტერია!

— დაარსების დღიდან „ასავალ-დასავალის“ თავგამოდებული მკითხველი ვარ! **ეს გაზეთი თავად არის ეროვნული მოძრაობა. მეტსაც გეტყვით — ეროვნული სულისკვეთების მეტრია!** ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ „ასავალ-დასავალიდან“ იგებს, თუკი მავანი ჩვენი ქვეყნის და სარწმუნოების წინააღმდეგ მტრულ აზრს გულში გაივლებს; „ასავალ-დასავალი“ ხალხის ენაზე ხსნის მოვლენათა სპეციალურად ჩაქარაბაკებულ შინაარსს, უბრალო ადამიანებისთვის გასაგები ენით მეტყველებს და გლობალური თუ ლოკალური საფრთხეების შესახებ გვატყობინებს!

**როდესაც „ასავალ-დასავალის“ სტატიებს ვკითხულობ, იმდენად შეესაბამება ჩემს მსოფლმხედველობასა და პოზიციას, რომ ასე მგონია, ეს სტატიები ჩემი დაწერილია!**

გამოსვლის დღიდან, **1992 წლის 3 მარტიდან,** ვკითხულობ ამ გაზეთს, სადაც არის საქართველოს შინაური თუ გარეშე მტრების დაუნდობელი მხილება, მაგრამ განსაკუთრებით მას მერე იქცა „ასავალ-დასავალი“ ჩემეულ და ბოლომდე სანდო გაზეთად, რაც აფხაზეთის ტრაგედია ჩემ თვალწინ დატრიალდა!

**— წარმოშობით აფხაზეთიდან ბრძანდებით?**

— არა, მეუღლე მყავს გაგრიდან და ოჯახით ამ ულამაზეს, **დედამიწის სამოთხედ წოდებულ ქალაქში ვცხოვრობდით, ვიდრე 31 წლის წინათ შევარდნაძის ბანდები აფხაზეთს ჩააბარებდნენ.** კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგული მომხრე გახლდით. ზვიად გამსახურდიამ აფხაზეთის და ცხინვალის საკითხი იმ რთული პერიოდის მიუხედავად, საკმაოდ კარგად მოაგვარა და ეროვნული დაპირისპირებების შეჩერება შეძლო, მაგრამ, როგორც გაირკვა, საქართველოს საკითხი საზღვარგარეთ წყდებოდა, რადგან ამერიკელებმა ლოთი ელცინი გადაიბირეს. **უკვე თვალსაჩინოდ იკვეთება, რომ მეორე ომის მსგავსად, აფხაზეთის პირველი ომი და ტერიტორიების დათმობაც, დასავლური გეგმა გახლდათ, რომელიც შევარდნაძის ხუნტაზე დაყრდნობით განხორციელდა!**

**— როგორც ვიცი, გაგრაში ბოლო მომენტამდე გამიზნულად ჩატოვეს მშვიდობიანი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა...**

— ჰოდა, მეც იმ ამბების ცოცხალი მოწმე ვარ! აფხაზეთის დაკარგვის და ტრაგედიის სათავე კანონიერი ხელისუფლების დამხობაშია. გაგრა, მოგეხსენებათ, ქართული ქალაქი იყო, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა კანონიერ ხელისუფლებას უჭერდა მხარს. ხალხი მატერიალურად წელში გამართულად ცხოვრობდა. **როცა ამ მხარეში ხუნტის შეიარაღებული ბანდები შემოიჭრნენ, დამსჯელი ღონისძიებების გატარებას შეუდგნენ არა მხოლოდ აფსუების, არამედ ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მიმართაც!** დაიწყო ძარცვა-გლეჯა, მოსახლეობის შეურაცხყოფა. ამასობაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზები და კონფედერატები საპასუხო იერიშისთვის ემზადებოდნენ. მოსახლეობა ღელავდა, რადგან თავის დასაცავად იარაღიც არ გაგვაჩნდა!

გაგრის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე გაგრის, ბიჭვინთის, ლესელიძის, გუდაუთის მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობა, დაახლოებით 50 ათასი ადამიანი, 1992 წლის 29 სექტემბერს გაგრის სტადიონზე შევიკრიბეთ. ხალხი ხუნტის ემისრებს პასუხს სთხოვდა — **რატომ დაიწყეთ ეს ომი, რად დაგვაპირისპირეთ აფხაზებთანო.** — „გაგრა ისეა დაცული, აქ ჩიტიც ვერ შემოფრინდება, თუ დაგვჭირდება, კრასნოდარსაც ავიღებთ, მშვიდად დაბრუნდით სახლებში და საქმეებს მიხედეთო“, — გვიპასუხეს ხუნტის ბანდების მაღალჩინოსანმა სამხედროებმა! ამ დაპირებიდან მეორე დღესვე მტერმა იერიში დაიწყო, ხოლო 2 ოქტომბერს გაგრაში შემოიჭრნენ კონფედერატები და ენით აუწერელი ტრაგედია დაატრიალეს — 2-3 დღეში 700 ქართველი მოკლეს! დახოცილ-დახვრეტილების ცხედრები პირდაპირ ქუჩებში ეყარა. პირადად მე, ვიდრე ქალაქს დავტოვებდი, ორჯერ ახლობელმა აფხაზებმა გადამარჩინეს. **ვინც ვერ გამოასწრო, გაგრის სტადიონზე შეყარეს,**










ოთარ ფირცხალავას თავის ფეისბუქგვერდზე „ასავალ-დასავალის“ პუბლიკაციების მთელი გალერეა აქვს, საკუთარი კომენტარებით

## კვირგვინოსნები

**ვაჟა ოთარაშვილი**
*პოლიტოლოგი*



დასავლეთი **აუცილებლად დაიწყებს იმ ძალების ხელშეწყობას,** რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგნი არიან. დღეს ისეთი ხელისუფლება, როგორიც თბილისშია, **რუსეთისთვისაც მიუღებელია.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ბადრიძე**
*საზოგადოება „ქართველის“ ხელმძღვანელი*



როდესაც **შენს ჭკუაზე იწყებ სიარულს,** ყველას უნდება, რომ **მათ ჭკუაზე იარო.** მე მაინც მაქვს განცდა, ჩვენი პარტნიორები საბოლოოდ გაიაზრებენ იმას, რომ **საქართველო დამოუკიდებელია და აქვს სუვერენული უფლება,** თავად განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



ხელისუფლების ერთადერთი იმედი იყო, რომ **ოპოზიცია ერთმანეთს დაჭამდა და მაღალი 5-პროცენტიანი ბარიერის პირობებში ბევრი გადაულახავი ოპოზიციური ხმა წავიდოდა სახელისუფლებო ყულაბაში** და უმცირესობით, 37-40 პროცენტით ის უმრავლესობას მოიპოვებდა. ახლა დარწმუნდნენ, რომ ეს ასე არ არის, ამიტომ **„ქართული ოცნება“ აპირებს არა არჩევნების გაყალბებას, არამედ არჩევნების ქვითარის გამოწერას.**

„რეზონანსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი, პარლამენტარი*



ნაცმოძრაობის და მათი ლიდერების დასჯა ვინმეს თუ უნდოდა, **ხანდაზმულობის ვადის გასვლას რატომ ელოდებოდა,** პრიმიტიული ნარატივია, ხალხი იდიოტი არ არის.

ოპოზიციას ორი კაცი — **ხაზარაძე და კეზერაშვილი** აფინანსებს. ხაზარაძე პოლიტიკაში **გახარიას** გამო ჩაერთო და ახლა მათ შორის **პოლიტიკური, ღია ფლირტი** მიმდინარეობს.

„ინტერპრესნიუსი

# „თურმე, სწორედ იმ პერიოდში ვიყავით რეალურად თავისუფლები, როცა თავს მონებად ვთვლიდით!“




# „აი, ასეთი ქვეყანა დაგვიტოვა დიდმა იოსებ სტალინმა!“

**თავები დააჭრეს და კონფედერატებმა ქართველების თავებით ფეხბურთი ითამაშეს.** ქართველი მოსახლეობის ოჯახები პირწმინდად გაიძარცვა. ამ ტრაგედიაში დიდი წვლილი აქვთ სომეხ ბოევიკებსაც... **მას მერე საკუთარ სამშობლოში დევნილი მქვია. სწორედ ამ პერიოდიდან დავიწყე ახლადდაარსებული „ასავალ-დასავალის“ კითხვა, სადაც სწორად და თანმიმდევრულად იყო ახსნილი საქართველოს ტრაგედია და მისი გამომწვევი მიზეზები. უკვე მაშინ იყო ცხადი, რომ დასავლეთი ხეირს არ დაგვაყრიდა!**

**— დასავლეთის მიმართ მკვეთრად ნეგატიური განწყობა თქვენს ფეისბუქზეც იგრძნობა.**

— თავიდან მეც და მთელი ჩემი თაობაც დასავლეთს იმედით შევცქეროდით! საბჭოთა წყობას ვლანძღავდით, თავს მონებად ვთვლიდით და მიგვაჩნდა, რომ დემოკრატიაც და თავისუფლებაც დასავლეთიდან იწყება! ცხონებული მამაჩემი **ბივი პართენოვიჩი** მე და ჩემს მეგობრებს დაუღალავად გვამუნათებდა — ღმერთმა ნუ ქნას, როგორც კი რუსეთს ზურგს შევაქცევთ, დასავლეთის ნამდვილ სახეს მერეღა დავინახავთ, მანამდე კი, რუსების მფარველობას მოკლებულებს, მუსულმანური სამყარო გადაგვყლაპავსო!

სამწუხაროდ, არ ვუჯერებდით, მაგრამ ახლა შედეგი ხომ სახეზეა! ჩემი სიმამრი, გაგრის კოლორიტი **მიხეილ ხუხუაც** ამგვარად მსჯელობდა და აზროვნებდა! **თურმე, სწორედ იმ პერიოდში ვიყავით რეალურად თავისუფლები, როცა თავს მონებად ვთვლიდით!** ქართული ლიტერატურა, პოეზია, მეცნიერება, სპორტი, ხელოვნება სიმრავლის გამო კორიფეების რაოდენობას ვეღარ ითვლიდა! ეკონომიურად არავის უჭირდა, სახლ-კარი და სამსახური ყველას ჰქონდა. ათეისტური ქვეყანა ერქვა, მაგრამ პირჯვრის გადაწერას არავინ გვიშლიდა, ხოლო ზნეობა და საზოგადოებრივი მორალი, ოჯახის ინსტიტუტი კანონზე უპირატეს ცნებებად ითვლებოდა! მამათმავლობა კანონით ისჯებოდა! კაცი კაცი იყო და ქალი — ქალი! **აი, ასეთი ქვეყანა დაგვიტოვა დიდმა იოსებ სტალინმა!** რასაც ესენი თავისუფლებას უძახიან, რეალურად გახლავთ „ყველაფრის უფლება“ და სრული უზნეობა. **რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აფრიალებით, თურმე, ფაშიზმი სამუდამოდ არ დასრულებულა!** პირდაპირ გეტყვით — **მსოფლიოში ფაშიზმი აღორძინდა!** და, თუ ჰიტლერული ფაშიზმი ებრაელების მიმართ სიძულვილით გამოირჩეოდა, თანამედროვე ამერიკულ-ევროკავშირული ფაშიზმის მამოძრავებელი ძალა არის რუსოფობია და ანტირუსული ისტერია!

**— ეს ისტერია საქართველოსაც მოედო...**

— ეს დაუშვებელია! ქართველი ყოველთვის იყო შემწყნარებელი და ტოლერანტი. ებრძოდა, ვთქვათ, ირანელ დამპყრობლებს, მაგრამ პატივს სცემდა სპარსულ კულტურასა და სპარსულ პოეზიას!

**ნახეთ, თანამედროვე ქართველი ფაშისტები სადამდე მივიდნენ – პიკნიკზე მწვადის შესაწვავად ცეცხლს პუშკინის ტომეულს უკიდებენ!**

ანდა უკრაინაში რა ხდება?! პირდაპირ გეტყვით — **რუსეთი თითქმის მარტოდმარტო ებრძვის დასავლურ ლიბერასტულ ფაშიზმს, რომელსაც გერმანულ რასისტულ ფაშიზმზე გაცილებით დიდი სოციოპათობა ახასიათებს!** რუსეთი რომ არ არსებობდეს, საქართველო რა ხანია მონელებული ეყოლებოდა დასავლურ ფაშიზმს. **სწორედ რუსეთია საქართველოს დამცავი კედელი და ქართველი ერისთვის არსებობის მყარი გარანტი!** დიახ, დღეს რუსეთი არის დასავლურ-ლიბერასტული ფაშიზმისგან მართლმადიდებლობის დამცველი ციტადელი და დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთის ომი არის **წმინდა ომი** ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოების საქომაგოდ! **ამიტომ, ვინც დღეს რუსოფობიას აღვივებს, საქართველოს და ქრისტეს პირწავარდნილი მტერია!**




საბჭოთა კავშირის პერიოდში ე.წ. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში აშენებული ფაბრიკა-ქარხნები რუსებმა კი არა, დასავლეთის მონა-მორჩილმა ემისრებმა გაგვიყიდეს ქართველებს! **შევარდნაძეებმა, სააკაშვილებმა, ხაზარაძეებმა და გოცირიძეებმა** ფული ქართველი ხალხის ქონებისა და ქართული მიწების გაყიდვის ხარჯზე იშოვეს და ჩაიჯიბეს, ახლა კი რუსებს აგინებენ, რომლებმაც ქართველებს ეს დოვლათი შეუქმნეს! დააკვირდით — **1992-1993 წლების მოვლენები, რასაც ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა, 2008 წელსაც განმეორდა!** დასავლეთის მითითებით, მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში გაჩაღებულ ანტირუსულ ისტერიას გადააყოლეს ამ რენეგატებმა ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ **დასავლეთს თითი თითზე არ დაუკარებია ქართველების დასახმარებლად!** ამჯერადაც, ადგილობრივ მე-5 კოლონაზე დაყრდნობით, ამერიკელ-ევროკავშირელი ლიბერასტი ფაშისტები საქართველოს ომში ჩათრევას და გაცამტვერებას ცდილობენ.

**— იმედია, ამჯერად მაინც გულისწადილს ვერ შეისრულებენ?**

— ხელისუფლება ამჯერად ხალხის გვერდით დგას, ამიტომ არაფერი გამოუვათ! მადლობა „ასავალ-დასავალს“, რომელიც მარტივად, უბრალო ადამიანებისთვის გასაგებ ენაზე აანალიზებს შექმნილ მდგომარეობას! აქამდე „ასავალ-დასავალი“ კრიჭაში ედგა როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის რეჟიმებს; კოჰაბიტაციის გამო არც ახალი ხელისუფლებისთვის დაუკლია კრიტიკა, მაგრამ მას მერე, რაც პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ევრო-ამერიკელ ლიბერასტ ფაშისტებს მოურიდებლად განუცხადა, რომ დასავლურ ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ დირექტივებს საქართველო აღარ განახორციელებს, ხელისუფლების მიმართ ლოიალობით განვეწყვეთ!

შემოდგომაზე მოსალოდნელი არჩევნები საქართველოს მრავალ შინაურ თუ გარე მტერს საკადრის ადგილს მიუჩენს. **ამერიკულ-ევროკავშირული ფაშიზმიც ძალიან მალე ამჯერად სამუდამოდ დამარცხდება და მთელ მსოფლიოში ზნეობის აღორძინების ხანა დადგება, რომელშიც ქრისტიან ერებთან ერთად საქართველოც ღირსეულ ადგილს დაიკავებს!**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

## კვირგვინოსნები

**მიხეილ დაუშვილი**
*„ახალი საქართველოსთვის“ წევრი*



**ივანიშვილის** გამოსვლა იყო უგერგილო მცდელობა, **საკუთარი მოქალაქეები შეაშინო ომით.** რაც შეეხება ნაცმოძრაობას, **თუ ვინმე პასუხისგებაშია მისაცემი, არჩევნებს რატომ ელოდებიან?**

„ინტერპრესნიუსი“

**ელგუჯა გვენეტაძე**
*ანალიტიკოსი*



დღევანდელ ოპოზიციას გარე ძალებისგან ერთადერთი რამ აქვს დავალებული — **ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა,** ამის შემდეგ კი ყველანაირად უნდა ეცადონ, **საქართველო ომში ჩაებას.**

„რეზონანსი“

**კირილ ბუდანოვი**
*უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი*



**პუტინზე თავდასხმის მცდელობები იყო,** მაგრამ წარუმატებელი. როგორც ჩემი ბებია მეუბნებოდა, **ხალხი სტალინის სიკვდილის შემდეგ ფიქრობდა, რომ მათი მთელი სამყარო დაინგრა,** გაურკვეველი იყო, როგორ უნდა ეცხოვრათ. **პუტინი 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელისუფლებაშია,** ასე რომ, ეს იქნება ძალიან მსგავსი გრძნობა, მაგრამ ახლა **რუსებს აქვთ მისი დაკარგვის შიში,** რადგან ის არის მათ ცხოვრებაში **სტაბილურობის მთავარი გარანტი.**

„რეზონანსი“

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*



**ივანიშვილი** ამერიკის პრეზიდენტადაც რომ დანიშნო, **„ოცნებას“ ვეღარ უშველის.**

„ინტერპრესნიუსი“



## „ფრთხილად უნდა იყოს ყველა, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც უზარმაზარ საშიშ ძალას უთხრა უარი საქართველოს ომში ჩართვაზე!“



**ირაკლი გოგავა:**

# წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ ტრამპის გამარჯვება გარდაუვალია!

***გასულ კვირას აშშ-ის 45-ე პრეზიდენტს და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატს დონალდ ტრამპს ესროლეს! ნეოლიბერალების გასროლილმა ტყვიამ მას ყურთან გაუარა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრამპი ცოცხალია და კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომს გადაურჩა. სწორედ ამ თემაზე ვესაუბრებით ყოფილ პარლამენტარსა და პოლიტოლოგს ირაკლი გოგავას:***

— ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ანტიადამიანური იდეოლოგია მარცხდება. ნეოლიბერალები აგონიაში არიან და თავიანთი ბოლო ინსტრუმენტის — მკვლელობების გამოყენება დაიწყეს!

რაც ცივილიზაცია არსებობს, ყველა მმართველი ელიტის ოცნებაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მართოს. ეს ბრძოლა მე-16 საუკუნიდან განსაკუთრებით გამძაფრდა, ხოლო **ფრანკფურტის სკოლის** მიერ ამ დოქტრინის მოდერნიზება მოხდა და 1958 წლიდან მისი დანერგვა ამერიკიდან დაიწყეს.

**— მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია ფრანკფურტის სკოლის შესახებ...**

— ეს სკოლა, სადაც მეცნიერთა მიერ მსგავსი ტექნოლოგიები მუშავდებოდა, 20-იან წლებში ფრანკფურტში გაიხსნა, ხოლო ფაშისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეერთებულ შტატებში გადავიდა, სადაც ყველანაირი საშუალება მიეცათ კვლევების საწარმოებლად. **ისინი შეეცადნენ, გაეცათ პასუხი კითხვაზე — როგორი ადამიანები უწევენ წინააღმდეგობას მმართველ ელიტებს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამ კატეგორიას მიეკუთვნება მეოჯახე, მორწმუნე და პატრიოტი ადამიანები.**

ფრანკფურტის სკოლის დოქტრინის ფორსირება, ანუ იდეოლოგიური პოლარიზაცია კიდევ უფრო გამწვავდა **ბილ კლინტონის** გაპრეზიდენტების შემდეგ. მოგეხსენებათ, დემოკრატები ნეოლიბერალური იდეების მატარებლები და გამავრცელებლები არიან, ისინი ამერიკის უზარმაზარ ბიუჯეტს და ეკონომიკას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამ ტექნოლოგიის დასამკვიდრებლად იყენებენ, მათ შორის, საქართველოშიც. აი, ამას ეწინააღმდეგება დღეს ძირძველი, კონსერვატიული ამერიკა, რომლის წარმომადგენელიც **ტრამპი** გახლავთ და რომლისთვისაც მიუღებელია ლგბტ პროპაგანდა, სქესის შეცვლა, უკონტროლო აბორტები და სხვა ნეოლიბერალური სიგიჟეები.

არ ვფიქრობ, რომ გლობალისტებმა პროფესიონალი მკვლელი დაიქირავეს ტრამპის მოსაკლავად. არსებობს ნეიროლინგვისტური პროგრამირების ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც არჩევენ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანს და გეგმაზომიერად კვებავენ მათთვის საჭირო ინფორმაციებით. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლიათ, ადამიანს მიაწოდონ იმ სახის ინფორმაცია, რომ თავად მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული ნაბიჯის გადადგმის შესახებ. ასე დაიგეგმა იაპონიის პრემიერ-მინისტრის მკვლელობა, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ **ფიცოზე** თავდასხმაც ამ ტექნოლოგიის გამოყენებით მოხდა — ნეოლიბერალი გიჟი მწერალი მოამზადეს ფსიქოლოგიურად.

**— გამორიცხავთ, რომ თავად დაედგა ტრამპს ეს შოუ?**

— ტრამპზე თავდასხმაზე იმის თქმა, რომ დადგმული შოუ იყო, დიდი სისულელეა. სულ რაღაც რამდენიმე მილიმეტრით ასცდა ტყვია საფეთქელს. კადრებშიც ჩანს, რომ ბოლო წამს შეაბრუნა თავი, რის გამოც ტყვიამ ყურთან ჩაუარა. ამიტომაც ამბობენ დღეს ამერიკაში ტრამპის მომხრეები — **უფალმა დაიფარაო იგი!**

შეერთებულ შტატებში ბევრი პრობლემა დაგროვდა. ნორვეგიელმა ეკონომისტმა, სოციოლოგმა და ძალიან საინტერესო მეცნიერმა **იოჰან გალტუნგმა** პირდაპირ დაასახელა 6 ნიშანი იმისა, რომ აშშ შეიძლება დაიშალოს. როგორც მან აღნიშნა, 2020 წლიდან დაიწყება და 2025 წლისთვის დაიშლება ამერიკა, თუ არ მოხდება განსაკუთრებული ჩარევა და სიტუაციის გამოსწორება. საკმაოდ მძიმე ეკონომიკური სიტუაციაა ამერიკაში, რაც გარედან ერთი შეხედვით არ ჩანს. შეერთებულ შტატებში ინფლაციამ რეკორდები მოხსნა. საგარეო ვალმა, რომელიც სახელმწიფომ ფედერალური სარეზერვო სისტემიდან აიღო, 35 ტრილიონს მიაღწია.

**5 ნოემბრის არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვება ნიშნავს მსოფლიოს იდეოლოგიურ დამშვიდებას და ამერიკის კათარზისის დასაწყისს!** მარტო საქართველოში ყოველწლიურად ასეულობით მილიონი დოლარი იხარჯება ნეოლიბერალური ფაშისტური იდეების განსახორციელებლად. წარმოიდგინეთ, მსოფლიოს მასშტაბით რა თანხაზეა საუბარი. პარაზიტებისგან ქვეყნის გაწმენდა მსოფლიოში ამერიკის პოზიციებს გააძლიერებს და ჩვენისთანა პატარა ქვეყნებსაც მიეცემა საშუალება, ბალანსი შეინარჩუნოს. **ტრამპი შეიძლება არ იყოს იდეალური პოლიტიკოსი, მაგრამ ის აშკარად მოიტანს მშვიდობას — შეაჩერებს ნეოლიბერალური ფაშიზმის გავრცელებას, რაც, ცხადია, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზეც მოახდენს გავლენას.**

**— თქვენი ინფორმაციით, როგორია დონალდ ტრამპის გამარჯვების შანსები?**

— **ამ წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ ტრამპის გამარჯვება გარდაუვალია.** დღეს ტრამპი არჩევნებისთვის კლასიკურად აღარ ემზადება. ის რევოლუციის თავიდან აცილებაზე ფიქრობს. მის მომხრეებში სერიოზული კონსოლიდაციაა, განსხვავებით 2020 წლისგან.



„ნორვეგიელმა ეკონომისტმა, სოციოლოგმა და ძალიან საინტერესო მეცნიერმა იოჰან გალტუნგმა პირდაპირ დაასახელა

## 6 ნიშანი იმისა, რომ აშშ შეიძლება დაიშალოს!“

მათემატიკოსების მიერ გამოთვლილი შედეგებით 71 პროცენტით ტრამპი იგებს, 29 პროცენტით — ბაიდენი. რაც შეეხება რეიტინგებს, მათზე დაყრდნობა არ შეიძლება. სოციოლოგიური კვლევების აბსოლუტური უმრავლესობა სუპერმდიდრების კონტროლქვეშაა და, შესაბამისად, არაობიექტურია. რა თქმა უნდა, ტრამპის მომხრეთა ბანაკი დიდია, მაგრამ ნეოლიბერალები ჯერ კიდევ ტოტალურად აკონტროლებენ წამყვან მედიასაშუალებებს, სოციოლოგიური კვლევის ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ა.შ.

**— რახან ტრამპს ესროლეს, ჩნდება კითხვა, რამდენად უსაფრთხოდ ჩაივლის საქართველოში პირველი პირებისთვის მოახლოებული არჩევნები?**

— **ამ ხელისუფლებამ ისეთი ნაბიჯები გადადგა, რასაც გლობალისტურ-ფაშისტური წრეები არ აპატიებენ!**

### ნეოლიბერალები შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, შესაბამისად, ამ შეურაცხყოფაზე, დიდი ალბათობით, ექნებათ საპასუხო რეაქცია. არ არის გამორიცხული, ჩვენს პირველ პირებსაც მოუწყონ მსგავსი ტერაქტი, რაც ტრამპის წინააღმდეგ მოხდა.

აუცილებლად უნდა გააძლიერონ უსაფრთხოების ზომები. მოხდეს ქვეყანაში შემომსვლელ-გამსვლელი ხალხის გაფილტვრა. ნაცებს თავიანთ რიგებში სპეცსამსახურების საკმაოდ ბევრი ყოფილი ოპერატიული მუშაკი ჰყავთ და ამის გაკეთება შეუძლიათ. **ფრთხილად უნდა იყოს ყველა, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც უზარმაზარ საშიშ ძალას უთხრა უარი საქართველოს ომში ჩართვაზე!**

**— ვის რა შანსი აქვს 26 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების?**

— ნეოლიბერალური სიგიჟეების მომხრე დაახლოებით 12-დან 15 პროცენტამდეა საქართველოში. რადგანაც მოსახლეობის დაახლოებით 50- 55 პროცენტი მიდის არჩევნებზე, ეს ციფრი უნდა გავაორმაგოთ, ანუ კრებსითი ნაცების, მეხუთე კოლონის შედეგი იქნება სადღაც 27-დან 30 პროცენტამდე! დანარჩენ 70 პროცენტს, დიდი ალბათობით, „ქართული ოცნება“ აიღებს. ასევე ბარიერის გადალახვის შანსი აქვთ პატრიოტულ ფლანგზე მყოფ მემარჯვენე ძალებსაც.

ლიდერების მკვლელობები და მკვლელობის მცდელობები ნეოლიბერალური გლობალისტური დიქტატურის კრახს ვერ შეაჩერებს! კიდევ ერთხელ ვამბობ — **დონალდ ტრამპის არჩევნებში გამარჯვება მსოფლიოს ნეოლიბერალური ჭირისგან გამარჯვებას ნიშნავს, ხოლო**

### ჩვენი ქვეყნისთვის ტრამპის ამერიკა სიმშვიდის მომტანი იქნება!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# გენერალისიმუსი

№37 (273)★2024 წლის 22 ივლისი★ გამოდის 2003 წლიდან

***ზუსტად 83 წლის წინათ, დღევანდელ დღეს, 1941 წლის 22 ივლისს, მოსკოვის გარეუბანში დახვრიტეს არმიის გენერალი, საბჭოთა კავშირის დასავლეთ ფრონტის სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი, 43 წლის დიმიტრი გრიგორის ძე პავლოვი.***

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ **გენერალ პავლოვს** სწორედ 22 ივლისს გამოუტანა სამარცხვინო განაჩენი — **„ლაჩრობა!“,** რომელიც იმ დღესვე იქნა სისრულეში მოყვანილი. **გენერალი დიმიტრი პავლოვი** ჯერ ლეფორტოვოს ციხეში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ „ენკავედეს“ ერთ-ერთ პოლიგონზე, დასახლება ბუტოვოსთან, საბჭოთა მეურნეობა „კომუნარკას“ მახლობლად დახვრიტეს. პავლოვთან ერთად ასევე იმქვეყნად გაისტუმრეს: დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსი, **გენერალ-მაიორი კლიმოვსკი,** ამავე ფრონტის კავშირის სამსახურის ხელმძღვანელი, **გენერალ-მაიორი გრიგორიევი** და მეოთხე არმიის სარდალი, **გენერალ-მაიორი კორობკოვი.** თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 28 ივლისის №0250 დადგენილებაში წერია, რომ არმიის გენერლის **დიმიტრი პავლოვის** ხელმძღვანელობით, გენერალ-მაიორებმა — **კლიმოვსკიმ, გრიგორიევმა** და **კორობკოვმა** უღალატეს სამშობლოს, მოიქცნენ ლაჩრულად, მტერს ზურგი უჩვენეს და თვითნებურად მიატოვეს თავიანთი პოზიციები, რამაც გამოიწვია მთელი ფრონტის ჩამოშლა და მტრის მნიშვნელოვანი წინსვლა!

უტვინო და გულრძო ქართველთმოძულე **ნიკიტა ხრუშჩოვის** მმართველობის დროს, 1957 წლის 31 ივლისს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს იმავე სამხედრო კოლეგიამ „ახლად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით“ **არმიის გენერალ დიმიტრი პავლოვის** სრული რეაბილიტაცია მოახდინა და სიკვდილის შემდეგ ყველა უფლება, სამხედრო ჩინი და საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაც აღუდგინა!

**ნიკიტა ხრუშჩოვის განმარტებით, პავლოვი უდანაშაულო და უბრალო იყო... ის თავიდანვე არ შეეფერებოდა აღნიშნულ თანამდებობას და მან ამის შესახებ სტალინსაც აცნობა, მაგრამ, თურმე, ბელადმა ხრუშჩოვის გაფრთხილებას ყური არ ათხოვა და პირიქით, პავლოვი, რომელიც აშკარად მოუმზადებელი იყო ასეთი საპასუხისმგებლო პოსტისთვის, დააწინაურა.**

არმიის გენერალი **დიმიტრი პავლოვი** დასავლეთის ფრონტის სარდლად საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, 1941 წლის 21 ივნისს, დაინიშნა. სწორედ ამ ფრონტს ენიჭებოდა განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ქვეყნის დაცვის საქმეში, რადგან ფაშისტურ გერმანიასთან კარს მომდგარი ომის შემთხვევაში მტრის შემოტევის მთავარი მიმართულება სწორედ **გენერალ პავლოვის** ქვემდებარე დასავლეთის ფრონტი იქნებოდა.

**როგორც სულელი ხრუშჩოვი ჭრის და კერავს, გენერალი დიმიტრი პავლოვი ეგეთი შტერი და თანამდებობისთვის შეუფერებელი არ ყოფილა.** მან საბრძოლო წრთობა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომში გაიარა და როგორც ნიჭიერმა და წარმატებულმა ოფიცერმა, თითქმის ყველგან იომა — ესპანეთის სამოქალაქო ომში, ხალხინ-გოლთან, ფინეთის ომში. ასე რომ, **პავლოვს** არც გამოცდილება აკლდა და არც სამხედრო უნარები, მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყების დღეებში ბელოსტოკ-მინსკის ბრძოლებში საშინელი სიმხდალე გამოავლინა, პანიკაში ჩავარდა, გაიქცა და **ზურგი აქცია დაახლოებით 625 ათას საბჭოთა ჯარისკაცს, რომლებიც მის დაქვემდებარებაში შედიოდნენ.**

არადა, პავლოვს ემორჩილებოდა უზარმაზარი არმადა — ოთხი არმია და მასში გაერთიანებული 45 დივიზია!

უნიჭიერესმა გერმანელმა გენერალ-ფელდმარშალმა **ფრიდრიხ ფონ ბოკმა,** რომელიც ფაშისტური ვერმახტის „ცენტრის“ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა და მოსკოვს უტევდა, ბელოსტოკ-მინსკის ბრძოლაში მთლიანად გაანადგურა და მოშალა **გენერალ დიმიტრი პავლოვის** დასავლეთის ფრონტი და, საერთო ჯამში, 625 ათასი საბჭოთა ჯარისკაციდან 420 ათასი ომის დაწყებიდან პირველივე კვირაში მოსპო. დარჩენილი 200 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი ან გაიქცა, ან ტყვედ ჩავარდა. ამ ყველაფრის ფონზე 1941 წლის 28 ივნისს გენერალ-ფელდმარშალი **ფონ ბოკი** დიდებით შევიდა მინსკში. **ამის შემდეგ ფაშისტური ვერმახტის დაჯგუფება „ცენტრმა“ გეზი მოსკოვისკენ აიღო, თუმცა, ეს**

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე*



## ლაჩრობისა და ღალატის პასუხად! ★

# გენერალ პავლოვის დახვრეტა



დიმიტრი პავლოვი



ნაპოლეონ ბონაპარტე

## საფრანგეთის ბრწყინვალე იმპერატორმა, ომის ღმერთმა ნაპოლეონ ბონაპარტემ 600-ათასიანი არმიით მოსკოვი აიღო, ხოლო ლაჩარმა რუსმა გენერალმა დიმიტრი პავლოვმა 600 ათასი ჯარისკაცი მიატოვა და გაიქცა!

# გენერალ პავლოვის დახვრეტა



დიმიტრი პავლოვი



ანდრეი ვლასოვი

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

**სხვა ისტორიაა და ამაზე აღარ შევჩერდებით...**

დიდწილად სწორედ **ლაჩარი გენერლის დიმიტრი პავლოვისა** და მისთანა მოღალატეების კისერზე იყო ის საშინელი კატასტროფა, რომლის წინაშეც გერმანიასთან ომის დაწყებიდან სულ ცოტა ხანში სტალინი აღმოჩნდა — **1941 წლის ივლისის მდგომარეობით, ჰიტლერს დაახლოებით 3,5 მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი ჰყავდა დატყვევებული და სამხედრო ნადავლის სახით იმაზე მეტ საბჭოთა ტანკს ფლობდა, ვიდრე სტალინს ჰყავდა!**

1812 წლის ივნისში **ნაპოლეონი** რუსეთში რომ შეიჭრა, ბოროდინოს ბრძოლა მოიგო და დედაქალაქი მოსკოვი აიღო, დაახლოებით იმდენი ჯარისკაცი ჰყავდა, რამდენიც დასავლეთის ფრონტის ლაჩარ და მოღალატე სარდალს, არმიის გენერალ **დიმიტრი პავლოვს...** ნაპოლეონმა 600 ათასზე ცოტა მეტი ჯარისკაცით რუსეთში ვაჟკაცურად იომა, არნახულ წარმატებებს მიაღწია, ყველა ცოცხალ რუს გენერალზე გაიმარჯვა, მაგრამ **„გენერალ ზამთარს“** ვერაფერი მოუხერხა და ბოლოს გაუბედურებული და გაძვალტყავებული 1812 წლის დეკემბერში ქვეყნიდან წავიდა. **სხვათაშორის, მდინარე ბერეზინაზე რომ გადადიოდა, ბონაპარტეს ჩამოხეულ-ჩამოძონძილი და კანიბალების ჯოგად ქცეული, მაგრამ მაინც 30-ათასიანი არმია ჰყავდა, მაშინ, როცა რუსეთს არმია საერთოდ აღარ გააჩნდა.**

მოკლედ, **საფრანგეთის ბრწყინვალე იმპერატორმა, ომის ღმერთმა ნაპოლეონ ბონაპარტემ** 600-ათასიანი არმიით მოსკოვი აიღო, ხოლო ლაჩარმა რუსმა გენერალმა **დიმიტრი პავლოვმა** 600 ათასი ჯარისკაცი მიატოვა და გაიქცა. ამ 600 ათასი კაციდან 400 ათასზე მეტი ფაშისტებმა ერთ კვირაში გაჟუჟეს, ხოლო დანარჩენი დაატყვევეს!

ასეთი მოღალატე სტალინმა გაასამართლა და დახვრიტა, ხოლო **ხრუშჩოვმა** გაამართლა, რეაბილიტაცია უყო და საბჭოთა კავშირის გმირობასთან ერთად ყველა სამხედრო ორდენი, სახელმწიფო ჯილდო და წოდება დაუბრუნა!

მსგავსი შემთხვევა ერთი და ორი არ ყოფილა, **ცნობილი კოლაბორაციონისტის, გენერალ ვლასოვის გარდა, რომელიც ფაშისტების მხარეს გადავიდა და ჰიტლერთან თანამშრომლობდა, სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ თითქმის ყველა მოღალატე და ლაჩარი გაამართლეს, რითიც ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ ხალხს რწმენა ჩაუკლეს, ტყუილი, მართალი, გმირობა, ლაჩრობა, ერთგულება, ღალატი ერთმანეთში აზილეს და ყველაფერს ფასი დაუკარგეს. საბჭოთა კავშირი სწორედ ამან დაანგრია!**

აფხაზეთის ომში იბრძოდა ვაჟკაცი და პატიოსანი ქართველი გენერალი **გუჯარ ყურაშვილი,** რომელიც თავის დროზე ავღანეთში მსახურობდა. გენერალი ყურაშვილი შევარდნაძის ხროვის წევრი არ ყოფილა, ქართველების წინააღმდეგ ტყვია არასოდეს გაუსვრია და აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ ღალატზე ღიად დაიწყო ლაპარაკი. **ყურაშვილი ხელს შევარდნაძისკენ იშვერდა, რის გამოც ედუარდმა დაიჭირა და ციხე ახეხვინა.**

ამ ბოლო დროს გენერალი **გუჯარ ყურაშვილი** ისევ ალაპარაკდა და კიტოვანის ცნობილ მეხინკლეს, გაპოლიტიკოსებულ და გაოპოზიციონერებულ **აკია ბარბაქაძეს** ოჩამჩირის ჩაბარებაში დასდო ბრალი — **აკია ბარბაქაძე უნდა მომშველებოდა და ოჩამჩირე გადარჩებოდა, მაგრამ მიგვატოვა, არ მოვიდა და გაქრაო!**

ერთი სიტყვით, **კიტოვანის მეხინკლე და სამეგრელოს ძარცვა-გლეჯაში სახელგანთქმული ე.წ. პოლკოვნიკი აკია ბარბაქაძე** ბრძოლის ველიდან **გენერალ პავლოვივით** გაიპარა და ხალხი მიატოვა. შევარდნაძე აფხაზეთის ომის დროს სტალინის მსგავსად კი არ მოიქცა, არამედ, როგორც ყველაზე დიდმა მოღალატემ, ბრძოლის ველიდან გაქცეულ კიტოვანის მეხინკლეებსა და მეძალლეებს თავზე ხელი გადაუსვა და 1993 წლის ივლისში **სოჭის ხელშეკრულებით** აფხაზეთი ჩააბარა!

სტალინს პავლოვისა და ვლასოვის მსგავსი მოღალატეები და ლაჩრები რომ არ დაეხვრიტა, ომს ვერ მოიგებდა და საბჭოთა კავშირს ბალტიის ზღვიდან ბერინგის სრუტემდე ვერ გადაჭიმავდა!

## ლაჩრობისა და ღალატის პასუხად! ★

## სტალინს პავლოვისა და ვლასოვის მსგავსი მოღალატეები და ლაჩრები რომ არ დაეხვრიტა, ომს ვერ მოიგებდა და საბჭოთა კავშირს ბალტიის ზღვიდან ბერინგის სრუტემდე ვერ გადაჭიმავდა!



**შევარდნაძე აფხაზეთის ომის დროს სტალინის მსგავსად კი არ მოიქცა, არამედ ბრძოლის ველიდან გაქცეულ კიტოვანის მეხინკლეებსა და მეძალლეებს თავზე ხელი გადაუსვა და 1993 წლის ივლისში სოჭის ხელშეკრულებით აფხაზეთი ჩააბარა!**

## სამაგიეროდ, შევარდნაძემ მოღალატეები და ლაჩრები ეპოლეტებითა და აქსელ-ბანდებით შეამკო, რის გამოც საქართველო შაგრენის ტყავივით დააპატარავა და რომანა გოცირიძის სინდის-ნამუსივით დააჭკნო!

*დიტო ჩუბინიძე*





აკია ბარბაქაძე

## კიტოვანის მეხინკლე და სამეგრელოს ძარცვა-გლეჯაში სახელგანთქმული ე.წ. პოლკოვნიკი აკია ბარბაქაძე ბრძოლის ველიდან გენერალ პავლოვივით გაიპარა და ხალხი მიატოვა!

*ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი 15 ივლისს პენსილვანიაში თავდასხმის შემდეგ პირველად გამოჩნდა რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე, უისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკიში, სადაც იგი წარადგინეს, როგორც აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი. სცენაზე ტრამპი გამოვიდა ლი გრინვუდის სიმღერის „ღმერთო, დალოცე ამერიკა“ შესრულების ფონზე. ცნობისათვის, ტექსტში არის ასეთი სტრიქონები: „მე მადლობას გადავუხდიდი ჩემს ბედნიერ ვარსკვლავებს, რომ დღეს აქ შემიძლია ვიცხოვრო!“*




# მე აქ არ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ვდგავარ ამ სცენაზე მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთის წყალობით!

**დონალდ ტრამპი:** — მე დავიწყებ ამ საღამოს იმით, რომ გამოვთქვამ მადლიერებას ამერიკელი ხალხისადმი, რომელმაც გამოხატა სიყვარული და გამომიცხადა თანადგომა ჩემი მოკვლის მცდელობის შემდეგ შაბათის მიტინგზე.

როგორც უკვე იცით, მკვლელის ტყვიამ ჩაიარა, სულ რაღაც, მეოთხედ დიუმზე ***(1 დიუმი უდრის 2,54 სმ-ს. რედ.)*** იმ ადგილიდან, რომ სიცოცხლეს გამოვესალმებოდი. უამრავი ადამიანი მეკითხებოდა, რა მოხდა... **ამიტომაც მე მოგიყვები შენ, რაც მოხდა და შენ ველარასოდეს მოისმენ ამას ჩემგან მეორედ, რადგან ამის მოყოლა სინამდვილეში ძალიან მტკივნეულია.**

ადრეულ საღამოს პენსილვანიის შტატის ქალაქ ბატლერში იყო მშვენიერი, თბილი დღე. ხმამაღლა უკრავდა მუსიკა, კამპანია მიმდინარეობდა ფრიად წარმატებით. მე გამოვედი სცენაზე და ხალხი მქუხარე ტაშით შემხვდა. ყველა ბედნიერი იყო. მე დავიწყე ძალიან თავდაჯერებული და სიხარულით აღსავსე საუბარი, ვინაიდან მე ვსაუბრობდი იმ ბრწყინვალე საქმიანობის შესახებ, რომელიც გასწია ჩემმა ადმინისტრაციამ ემიგრაციის სფეროში სამხრეთ საზღვარზე. ჩვენ ძალიან ვამაყობდით ამით. ჩემ უკან და მარჯვნივ განთავსებული იყო დიდი ეკრანი, რომელზეც ისახებოდა საზღვრის გადალახვის სქემა ჩემი ხელმძღვანელობით. მაჩვენებლები იყო მართლაც საოცარი. იმისათვის, რომ შემეხედა გრაფიკისათვის, მე დავიწყე აი, ასე მარჯვნივ შემობრუნება და მზად ვიყავი, გამეკეთებინა კიდევ ერთი ბრუნი და ძალიან გამიმართლა, რომ არ გავაკეთე, როცა მომესმა ძლიერი სტვენისებრი ხმა და ვიგრძენი, რომ მარჯვნიდან რაღაცა ძალიან ძლიერად მომხვდა ყურში.




მე ვუთხარი საკუთარ თავს — **ვაუ, რა იყო ეს?** ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ტყვია. მე მივიტანე მარჯვენა ხელი ყურთან და დავუშვი. ის მთლად სისხლიანი იყო. მე უმალ მივხვდი, რომ ყველაფერი ფრიად სერიოზული იყო, რომ თავს დაგვესხნენ და უმალ დავეშვი მიწაზე. ტყვიები აგრძელებდნენ ზუზუნს და მაშინ საიდუმლო სამსახურის განსაკუთრებით მამაცი აგენტები ამოცვივდნენ სცენაზე **(ხანგრძლივი ტაში)**. ისინი ამოცვივდნენ სცენაზე... მე გეტყვი შენ, რომ ეს შესანიშნავი ადამიანები დიდი რისკის ფასად გადამეფარნენ, რათა დაცული ვყოფილიყავ. ირგვლივ იღვრებოდა სისხლი, მაგრამ მე მაინც გარკვეული აზრით სრულიად უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს, **რადგან ღმერთი იყო ჩემ მხარეზე!** მე ვგრძნობდი ამას!

ყველაზე გასაოცარი ის გახლდათ, რომ

## საღამოს აქ არ ვიქნებოდი... ჩვენ არ ვიქნებოდით ერთად!

ყველაზე წარმოუდგენელი ასპექტი, რაც იმ საღამოს მზის ჩასვლისას მოხდა, სინამდვილეში მოგვიანებით იქნა შემჩნეული. თითქმის ყველა შემთხვევაში, როდესაც ნასროლია თუნდაც ერთი ტყვია, მხოლოდ ერთი ტყვია... **(მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ნასროლი იყო ბევრი ტყვია)**, ხალხი პანიკურად გარბის საევაკუაციოდ, მაგრამ არა ამ შემთხვევაში... ეს ძალიან უჩვეულოა! ხალხის ეს უზარმაზარი, 10-ათასკაციანი კრებული იდგა შორიახლო და ერთი დიუმითაც არ მოუცვლია ფეხი. სინამდვილეში ბევრი მათგანი მამაცურად, მაგრამ ავტომატურად წამოდგა ფეხზე და თვალებით ეძებდა სნაიპერს. ისინი უმალ მიხვდნენ, რომ ეს სნაიპერი იყო... და შემდეგ დაიწყეს მასზე მინიშნება! შენ შეგიძლია, ამაში დარწმუნდე, თუ თვალს შეავლებ ჩემ უკან მდგომი ადამიანების ჯგუფს. არავინ გაქცეულა და, რადგან არ იყო პანიკა, ამის გამო ბევრი გადარჩა, მაგრამ ეს არ იყო მიზეზი იმისა, რის გამოც ადამიანები ადგილიდან არ დაიძრნენ. მიზეზი გახლდათ ის, რომ ისინი მიხვდნენ, რაოდენ სერიოზულ განსაცდელში აღმოვჩნდი. მათ ეს ნახეს. მათ ნახეს, როგორ ვეცე-

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*




**გასროლის წინ, ბოლო მომენტში თავი რომ არ მომებრუნებინა, მკვლელი ტყვია ზუსტად მიზანში მოხვდებოდა და მე დღევანდელ**



# საპრეზიდენტო სიტყვა ★











*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-3 გვერდზე*

მოდი... **მათ ნახეს სისხლი და უმრავლესობამ დაიჯერა კიდეც, რომ მე მოვკვდი.** მათ იცოდნენ, რომ ეს იყო გასროლა თავის მიმართულებით... მათ ნახეს სისხლი. არსებობს საინტერესო სტატისტიკა — ყურები სხეულის ყველაზე სისხლმდენი ნაწილია. თუ ყურს ნებისმიერი მიზეზით რაიმე ემართება, მათგან სისხლი უფრო ინტენსიურად მიედინება. ეს ექიმებმა მითხრეს. ასე რომ, ჩვენ რაღაცა უკვე ვისწავლეთ! **(გამოცოცხლება დარბაზში, სიცილი)** ამ შესანიშნავ ადამიანებს არ სურდათ ჩემი დატოვება და შენ ხედავ, რომ მათ სახეებზე წერია **სიყვარული.** ეს უჩვეულო ხალხია, ჩვენს თავზე ზუზუნებდნენ ტყვიები, მაგრამ მე თავს მშვიდად ვგრძნობდი, თუმცა, საიდუმლო სამსახურის აგენტები თავს საფრთხეში იგდებდნენ... ისინი ძალიან ცუდ ადგილას აღმოჩნდნენ. ტყვიები პირდაპირ მათ თავზე დაფრინავდა და მხოლოდ რამდენიმე დიუმით სცდებოდათ. შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. ჩვენი საიდუმლო სამსახურის სნაიპერმა, რომელმაც გაცილებით შორი მანძილიდან მხოლოდ ერთი ტყვია ისროლა, მკვლელი სიცოცხლეს გამოასალმა და მწყობრიდან გამოიყვანა.

მე არ უნდა ვყოფილიყავი აქ ამ საღამოს. მე არ უნდა ვყოფილიყავი აქ! **(საყოველთაო აღფრთოვანება და ხანგრძლივი ტაში),** მაგრამ ეს ასე არ არის და მე გეტყვი შენ, რომ **ვდგავარ ამ სცენაზე მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთის წყალობით!** (ტაში).

როცა საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებით გარშემორტყმული ფეხზე წამოვდექი, ხალხი ჭკუიდან იყო გადასული, რადგან ეგონათ, რომ მოვკვდი და ეს იყო ძალიან, ძალიან სამწუხარო. მე ეს წავიკითხე მათ სახეებზე და მსურდა, რაიმეთი მიმენიშნებინა, რომ ყველაფერი წესრიგშია. მე აღვმართე მარჯვენა ხელი, თვალი შევავლე ათასობით სუნთქვაშეკრულ მომლოდინე ადამიანს და დავიწყე ყვირილი: **იბრძოლეთ, იბრძოლეთ, იბრძოლეთ!**

**(ხალხი აღფრთოვანებით იმეორებს ამ სიტყვებს)** მადლობა თქვენ!

ჩემი შეკრული მუშტი ზევით აღიმართა. თქვენ ეს ყველამ ნახეთ. ხალხი მიხვდა, რომ ჩემს თავს ყველაფერი წესრიგში იყო და სიამაყით შემოსძახა ჩვენი ქვეყნის სადიდებელი. ასეთი რამ ადრე არასოდეს მსმენია... მსგავსი რამ არასოდეს მსმენია! **მთელი დარჩენილი ცხოვრება მე პატრიოტთა იმ უზარმაზარი აუდიტორიის მადლობელი ვიქნები,** რომელიც შეუდრეკლად იდგა იმ საღამოს პენსილვანიაში.

სამწუხაროდ, მსროლელმა სიცოცხლეს გამოასალმა ერთ-ერთი ჩვენი თანამემამულე ამერიკელი. **კორი კომპერატორე,** როგორც მეუბნებიან, იყო შესანიშნავი სპეციალისტი და ადამიანი. ორი სხვა დიადი მებრძოლი **დევიდ დატჩი** და **ჯეიმს კოპენხეივერი** სერიოზულად დაიჭრა, მათ მე დღეს ვესაუბრე. ეს არის ორი შესანიშნავი ადამიანი. მე აგრეთვე ვესაუბრე ამ შესანიშნავი ადამიანების სამივე ოჯახს. **ჩვენი სიყვარული და ლოცვები მათთანაა და ყოველთვის მათთან იქნება!** ჩვენ მათ არასოდეს დავივიწყებთ! მე მინდა გითხრა შენ, რომ ისინი ნამდვილი **ტრამპისტები** იყვნენ, მაგრამ **კორის** შესახებ, სამწუხაროდ, წარსულ დროში გვიხდება საუბარი. ეს იყო წარმოუდგენელი, ძალიან პატივსაცემი ყოფილი უფროსი სახანძრო დაცვისა. მას ახლდა მეუღლე **ჰელენი** — ბრწყინვალე ქალბატონი, რომელსაც ვესაუბრე და ორი ძვირფასი ქალიშვილი... იგი თავგანწირულად მოქმედებდა, როგორც ცოცხალი ფარი და დაიღუპა, როცა მათ ტყვიებისგან იცავდა.

## დონალდ ტრამპი

**არ არსებობს უფრო დიდი სიყვარული, ვიდრე გაიღო საკუთარი სიცოცხლე სხვებისათვის. სწორედ ასეთი სული აწრთობდა ამერიკას ყველაზე მძიმე წუთებში!**







*(ტრამპი მიემართება გმირულად დაღუპული მეხანძრის სიმბოლური სამუშაო აღჭურვილობისაკენ და უდიდესი პატივისცემის გამომხატველი ჟესტით ეხვევა).*

**მე მინდა, მადლობა გადავუხადო ოჯახსა და მეხანძრეებს, რომლებმაც ეს ჩაფხუტი და ფორმა გამოგზავნეს. ჩვენ გავაკეთეთ ისეთი რამ, რაც გვერდითაც ვერ დაუდგება იმას, რაც მათ მოიმოქმედეს, მაგრამ ჩვენ შევაგროვეთ 6 მილიონი და 300 ათასი დევიდის, ჯეიმსის და კორის ოჯახებისათვის, მათ შორის, ჩემი მეგობრისაგან, რომელმაც ეს-ესაა, დამირეკა. მე მან გამომიგზავნა ქვითარი – 1 მილიონი დოლარი!**

ახლა კი წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ჩვენს მეგობარ **კორის.**

**არ არსებობს უფრო დიდი სიყვარული, ვიდრე გაიღო საკუთარი სიცოცხლე სხვებისათვის. სწორედ ასეთი სული აწრთობდა ამერიკას ყველაზე მძიმე წუთებში და სწორედ ეს სიყვარული დააბრუნებს ამერიკას საკაცობრიო მიღწევათა და დიდების მწვერვალზე.**

მადლობა შენ, დიდი მადლობა!


გენერალისიმუსი
2024 წლის 22 ივლისი. №37 (273)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# სიკვდილზე გამარჯვებული



ჯუმბერ ლეჟავა ეგვიპტის პირამიდების ფონზე

*2024 წლის 23 ივლისს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა ლეგენდარულ ქართველ მოგზაურს ჯუმბერ ლეჟავას, რომელმაც 1993-2002 წლებში დედამიწას ველოსიპედით შემოუარა და სრულიად ფენომენალური მსოფლიო რეკორდები დაამყარა. იგი ზუსტად 10 წლის წინათ, 2014 წლის 23 ივლისს, საკუთარ დაბადების დღეს, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯუმბერ ლეჟავა სიკვდილზე გამარჯვებული კაცია! კი, სწორედაც სიკვდილზე გამარჯვებული, ოღონდ არამარტო იმით, რომ თავისი სახელი დაუჯერებელი, თითქოსდა ადამიანის შესაძლებლობების ზღვარს გაცდენილი მიღწევებით უკვდავყო, არამედ იმიტომაც, რომ უნიკალური მსოფლიო რეკორდებისაკენ მიმავალ ურთულეს გზას პირდაპირი გაგებით სასიკვდილო სარეცლიდან დაადგა. ამის თაობაზე ცნობილი ჟურნალისტი, მოგზაური, კარტოგრაფი და მხარეთმცოდნე, მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირის თავმჯდომარე, ჯუმბერ ლეჟავას მეგობარი გვანჯი მანია გვესაუბრება:*

**85 წლის წინათ დაიბადა და 10 წლის წინათ უკვდავებაში გადასახლდა ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავა — „ვარჯიშითა სიკვდილისა დამთრგუნველი!"**

## გვანჯი მანია:

## ჯუმბერ ლეჟავამ შეძლო, დაემტკიცებინა, რომ ადამიანს, უფლის შეწევნით, სასწაულების მოხდენა შეუძლია!

— **ჯუმბერ ლეჟავამ** 1986 წლის იანვარსა და დეკემბერში ორი უმძიმესი ოპერაცია გაიკეთა და ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი. ჩემს არქივში ინახება საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს №1 საავადმყოფო-პოლიკლინიკის ქირურგიული განყოფილების მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც წერია, რომ პირველი ოპერაციის დროს მისი დიაგნოზი იყო თეძოს ნაწლავის განგრენა და მეზენტერული სისხლძარღვების თრომბოზი, რის გამოც 1,5 მეტრის სიგრძის თეძოს ნაწლავი ამოაჭრეს.

ჯუმბერს მეორე ოპერაცია დასჭირდა ნაწლავთა მწვავე შეხორცებითი გაუვალობის გამო, რის შემდეგაც კიდევ 1,5 მეტრის სიგრძის ნაწლავი ამოჰკვეთეს. ესე იგი, ორი ოპერაციის შედეგად, ჯამში 3 მეტრის სიგრძის ნაწლავები დაკარგა, რის გამოც, ფაქტობრივად, სასიკვდილო სარეცელს მიეჯაჭვა და ექიმები ამბობდნენ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა.

**— მაშ, როგორ მოახერხა ჯუმბერ ლეჟავამ ასეთი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოძრომა და მსოფლიო რეკორდების დამყარება?**

— სარეცელს მიჯაჭვული ჯუმბერ ლეჟავა, რომლის გადარჩენაზეც ექიმებს ხელი ჰქონდათ ჩაქნეული, არაფრით ნებდებოდა და გამოჯანმრთელების გზებს თვითონვე ეძებდა. **მან შეიმუშავა ვარჯიშების საკუთარი სისტემა, რომელსაც ყველასაგან მალულად ასრულებდა და საიდუმლო მხოლოდ მას შემდეგ გაამხილა, რაც შეატყო, რომ ვარჯიშის შედეგად სულ უფრო უკეთ ხდებოდა.** საბოლოოდ, საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯუმბერი თავის მიერ შექმნილი ვარჯიშებით მსოფლიო რეკორდებსაც შეეჭიდა და ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვაში ყოვლად წარმოუდგენელი, უპრეცედენტო შედეგები აჩვენა.

**— კერძოდ?**

— ჯუმბერ ლეჟავამ 1 საათის განმავლობაში 4447 მკლავებზე აზიდვა გააკეთა, რაც მსოფლიო რეკორდი გახლდათ. შემდგომში საკუთარი რეკორდი თავადვე გააუმჯობესა — 5011 აზიდვა 1 საათში; მერე — 16 274 აზიდვა 5 საათში და ასე თანდათან აუმჯობესებდა საკუთარ მსოფლიო რეკორდებს, საბოლოოდ კი, **ერთი წლის განმავლობაში, ჯამურად 4 მილიონ 800 ათასი აზიდვა გააკეთა.**

**— როდის, როგორ და რატომ დაებადა ჯუმბერ ლეჟავას ველოსიპედით მსოფლიოს შემოვლის იდეა?**

— საერთოდ, **ჯუმბერ ლეჟავას იდეა-ფიქსი იყო, დაედგინა, სად გადის ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი და დაემტკიცებინა, რომ ადამიანს, უფლის შეწევნით, სასწაულების მოხდენა შეუძლია.** რაც შეეხება მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურობას, ჯუმბერს ეს იდეა მიაწოდა მისი უახლოესი მეგობრის შვილმა **რატი კიკაჩეიშვილმა,** რომელიც შემდეგ აფხაზეთის ომში დაიღუპა.

შეიძლება, ბევრმა არც იცოდეს, რომ ჯუმბერ ლეჟავამ მისი ფენომენალური ეპოპეა — მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა — გარდაცვლილ მეუღლეს **ლიანა ალიბეგაშვილს,** აფხაზეთის ომში დაღუპულ მეგობრის ვაჟს **რატი კიკაჩეიშვილსა** და საქართველოს ეროვნულ გმირს, თანაკურსელსა და ახლო მეგობარს **ჟიული შარტავას** მიუძღვნა.

ჯუმბერ ლეჟავამ სწორედ ჟიული შარტავასთან ერთად შეიმუშავა უწყვეტი მოგზაურობის პროგრამა — **დედამიწის შემოვლა ყველა კონტინენტის ყველა ქვეყნის ყველა ქალაქის გავლით.**

**— რა თანამდებობა ეკავა მაშინ ჟიული შარტავას?**

— **ჟიული შარტავა** მაშინ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი გახლდათ, თუმცა, **ჯუმბერ ლეჟავას** მოგზაურობის დაწყებისას უკვე აფხაზეთში იყო გადასული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

**— ზუსტად როდის დაიწყო და როდის დასრულდა ჯუმბერ ლეჟავას ველოსიპედით მოგზაურობა დედამიწის გარშემო?**

— ჯუმბერ ლეჟავამ სტარტი **1993 წლის 13 აგვისტოს, დილის 9 საათსა და 13 წუთზე,** სარფიდან აიღო, დასრულებით კი 9 წლისა და 3 თვის შემდეგ — 2002 წლის 3 ნოემბერს დაასრულა. იგი დედამიწის გარშემო 111 თვე, ანუ 3333 დღე მოგზაურობდა. **მოიარა ყველა კონტინენტი, ყინულით დაფარული ანტარქტიდის ჩათვლით, იმყოფებოდა 238 ქვეყანაში და ველოსიპედით გაიარა 300 000 კილომეტრი, ხოლო საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის გამოყენების ჩათვლით, 500 000 კილომეტრზე მეტი დაფარა.**

**— ცხადია, ასეთ უპრეცედენტო მოგზაურობას ფინანსური ხელშეწყობა დასჭირდებოდა. ამ მხრივ ვინ დაუდგა გვერდით ჯუმბერ ლეჟავას?**

— როცა **ჟიული შარტავა** რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი იყო და **ჯუმბერ ლეჟავას** მოგზაურობა დაიგეგმა, რუსთავის მერია ფინანსურ დახმარებას ჰპირდებოდა, მაგრამ ჟიულის დაღუპვის შემდეგ, ფაქტობრივად, ხელები დაიბანა და დანაპირები აღარ შეასრულა. მერე, თითქოს **ჟიული შარტავას ფონდმა** აიღო თავის თავზე მოგზაურობის დაფინანსება, მაგრამ, რეალურად, ბევრი ვერაფერი გააკეთა. თქვენ წარმოიდგინეთ, ჯუმბერს მოგზაურობაში წასაღები ფოტოაპარატიც კი **ბორის წიფურიამ** შეუძინა.

თამამად შემიძლია გითხრათ, რომ **ჯუმბერ ლეჟავამ** 9 წლისა და 3 თვის განმავლობაში ჯოჯოხეთის გზები გაიარა. ხშირად საკვების ფულიც არ ჰქონდა, ხოლო ახალი ველოსიპედის შესაძენად, სხვადასხვა ქვეყნის ბანკებში თავის დღიურებსა და მოგზაურობისას მოპოვებულ უნიკალურ მასალებს აგირავებდა.



**მის გასაჭირს რომ ხედავდნენ, არაერთ ქვეყანაში მილიონებს სთავაზობდნენ, ოღონდ კი მათი სახელითა და დროშით ემოგზაურა, მაგრამ ჯუმბერმა ეს არ გააკეთა, საქართველოს სახელი ფულსა და კეთილდღეობაზე არ გაყიდა.**

რომ არა ბიზნესმენი **ძმები მაისურაძეები** და ჯუმბერის მეგობარი **ბიჭიკო სულიაშვილი,** მისი ლეგენდარული მოგზაურობა უსახსრობის გამო, ალ-

გაგრძელება მე-20 გვერდზე

# სიკვდილზე





შეხვედრა შავკანიან ალბინოსთან. ალჟირი, კასაბას პლანტაცია

## გვანჯი მანია:

# პირველი პრეს-კონფერენციის შემდეგ, რომელიც ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობის დაწყების წინ უნივერსიტეტის დიდ დარბაზში გამართა, იგი ბევრმა გიჟად შერაცხა!



**„ჯუმბერ ლეჟავას გამარჯვების სულ რამდენიმე კაცს გვჯეროდა!"**

დასაწყისი მე-19 გვერდზე

ბათ, ჩაიშლებოდა და უნიკალური მსოფლიო რეკორდი ქართველი კაცის სახელთან არ იქნებოდა დაკავშირებული.

**— ბევრი, ალბათ, სკეპტიკურად უყურებდა ველოსიპედით დედამიწის შემოვლის იდეას და არ სჯეროდა, რომ, ფაქტობრივად, სასიკვდილო სარეცლიდან წამომდგარი კაცი თავს გაართმევდა ასეთ წარმოუდგენელ მისიას!**

— მეტსაც გეტყვით, პირველი პრესკონფერენციის შემდეგ, რომელიც **ჯუმბერ ლეჟავამ** მოგზაურობის დაწყების წინ უნივერსიტეტის დიდ დარბაზში გამართა, იგი ბევრმა გიჟად შერაცხა და გაიძახოდნენ — გაუფრენია ამ საწყალსო!

**— რატომ ჰქონდათ ასეთი რეაქცია?**

— პრესკონფერენციაზე ჯუმბერ ლეჟავამ განაცხადა:

*„მე მორწმუნე ვარ და ამ მოგზაურობას ღმერთის დავალებით ვასრულებ. კლინიკური სიკვდილის დროს უფლისგან მივიღე ეს დავალება. არ შევკამათებივარ, მაგრამ ვუთხარი, რომ უკან დასაბრუნებელ გზას ვეღარ დავძლევდი. უფალმა მითხრა — შენ ამ გზას აუცილებლად დაძლევ და შეიძენ უდიდეს ენერგიას, რომელიც შენს სამშობლოს უნდა მოახმარო".*

**ჯუმბერის ეს განცხადება ბევრმა იმდენად არასერიოზულად მიიღო, რომ პრესკონფერენციის დასრულებას არც დალოდებია, ისე დატოვა დარბაზი. ფიქრობდნენ, რომ ჯუმბერი განწირული იყო და დასახული მისიის შესრულებას ვერ შეძლებდა. მისი გამარჯვების სულ რამდენიმე კაცს გვჯეროდა და დარწმუნებული ვიყავით, რომ მიზანს მიაღწევდა.**

**— ინტერნეტში ჯუმბერ ლეჟავას შესახებ უამრავი ცნობა მოიპოვება, რომელთა შორისაც მართლაც დაუჯერებელია: მოგზაურობისას 50-ჯერ გახდა ადამიანების თავდასხმის მსხვერპლი, 15-ჯერ კი მხეცები დაესხნენ თავს; უბედური შემთხვევების გამო 6-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში და 15 დღე სხვადასხვა ციხეში მოუხდა ჯდომა; 1000-ზე მეტი ღამე გაათია კარავში, ღია ცის ქვეშ და ა.შ. კიდევ რა და როგორი განსაცდელები გამოიარა ჯუმბერ ლეჟავამ ველოსიპედით დედამიწის გარშემო მოგზაურობისას?**

— ფათერაკი და განსაცდელი ჯუმბერს მართლაც ბევრი შეემთხვა, მაგრამ ყველა დაბრკოლება დაძლია და ყველა წინააღმდეგობა გადალახა. მაგალითად, 1994 წელს ინდოეთში, 23-დღიან **მუსონურ წვიმაში** 3300 კილომეტრი იარა ისე, რომ ღამით გალუმპულ საძილე ტომარაში იძინებდა, თუ შეიძლება, იმას ძილი ეწოდოს.

1995 წელს ავსტრალიაში თავს დაატყდა **ციკლონი „ბობი",** რომელმაც ველოსიპედიანად ჩამარხა ქვიშაში, მაგრამ ჯუმბერმა სასწაულებრივად შეძლო თავის დაღწევა.

1996 წელს ჩინეთ-მონღოლეთის ტერიტორიაზე, გობის უდაბნოში, 14 დღის განმავლობაში ებრძოდა **26-გრადუსიან ყინვასა და პირქარს,** რის შედეგადაც ფეხის თითები, ქუთუთოები და ყურის ბიბილოები მოეყინა.

1997 წელს ამერიკაში ანდების მაღალმთიანეთისა და წყნარი ოკეანის სტიქია, ქარიშხალი და უჟანგბადობა იწვნია, ხოლო ანტარქტიდაში, სადაც მეცნიერებთან ერთად ოზონის ხვრელსაც დააკვირდა, ე.წ. **თეთრი სიცივე** გადაიტანა.

## კვირგვინოსნები

### ნინო ჩხობაძე

*„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების" თავმჯდომარე*



**შოვში კიდევ არის საფრთხე,** რომ მყინვარი მოწყდეს, დნობის პროცესი დაწყებულია კავკასიონზე. დაკვირვების სისტემების დაყენება დაწყებულია და დასკვნაში პირდაპირ დაიწერა, რომ **ამ ზონაში არ შეიძლება ინფრასტრუქტურის გაშენება.** თბილისში არის რამდენიმე ზონა, სადაც **კატეგორიულად არ შეიძლება განაშენიანება.** ეს არის **მუხათგვერდის ტერიტორია,** რადგან იქ მეწყრები მოდის, რამდენიმე ადგილი **კონიაკის დასახლებაში, კრწანისის ხევი, გლდანულა და დიღმულა,** ანუ სადაც პატარა მდინარეები და შენაკადებია, **ასეთ ადგილებში დაუშვებელია მასშტაბური ინფრასტრუქტურის მოწყობა.**

„კვირის პალიტრა"

### გოგი წულაია

*პოლიტიკოსი*



აუცილებლად დავბრუნდები და **ჩავებმები პოლიტიკურ ცხოვრებაში.** მეტად რაღა უნდა დავისაჯო — **ორ წელზე მეტია, ემიგრაციაში ვარ, ციხეშიც ვიჯექი.** ვეღარ მიძლებს გული, მინდა, იმ პროცესებში ვიყო ჩართული, რაც ახლა ქვეყანაში ხდება.

„რეზონანსი"

### დავით ქართველიშვილი

*„ხალხის ძალის" წევრი*



ერთ-ერთი **„მიუკერძოებელი არბიტრი"**, „ენ-დი-აი"-ის სახით, **ქართული ლიბერალური ფაშიზმის პარტიულ წარმომადგენლებს** ტრენინგებს უტარებს, ხოლო წინასაარჩევნოდ აუცილებლად გაგვანებივრებს თავისი **მორიგი გაყალბებული ფეიკ-გამოკითხვებით.**

„საქართველოს რესპუბლიკა"

### გოგა პიპინაშვილი

*მსახიობი*



**ყველაზე დიდი აღიარება,** დიდი სიხარული და ბედნიერებაა, როდესაც **ქუჩაში გამვლელიც კი შეიძლება, მოგეფეროს.**

„კვირის პალიტრა"

# გამარჯვებული

რომელიც ჯუმბერით მოიხიბლა და ტყვეობიდან გაათავისუფლა.



**„ჯუმბერ ლეჟავამ სწორედ ქიული შარტავასთან ერთად შეიმუშავა უნიკალური მოგზაურობის პროგრამა – დედამიწის შემოვლა ყველა კონტინენტის ყველა ქვეყნის ყველა ქალაქის გავლით!“**

**ჯუმბერ ლეჟავა ქიული შარტავას ბიუსტთან**



**ჯუმბერ ლეჟავა მეუღლესთან – ლიანა ალიბეგაშვილთან ერთად**

**„ჯუმბერ ლეჟავამ მისი ფენომენალური ეპოპეა — მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურობა — გარდაცვლილ მეუღლეს ლიანა ალიბეგაშვილს, აფხაზეთის ომში დაღუპულ მეგობრის ვაჟს რატი კიკაჩეიშვილსა და საქართველოს ეროვნულ გმირს ქიული შარტავას მიუძღვნა!“**

1999 წელს არაბეთის ნახევარკუნძულზე, იემენის ომში მოხვედრილს, უდაბნოში შაშხანიანი არაბი დაადგა თავზე და ტყვედ აიყვანა. ჯუმბერმა მას ვერცერთ ენაზე ვერაფერი გააგებინა, რის შემდეგაც ვარჯიში — მკლავებზე აზიდვა დაიწყო. აკეთებს და აკეთებს, არა და არ ჩერდება, შეიარაღებული არაბი კი გაოცებული უყურებს... მერე წავიდა და თავისი მეთაური მოიყვანა,



**ასე იწყებდა სასიკვდილო საფრთხიდან წამოსული ჯუმბერ ლეჟავა მსოფლიო რეკორდების დამყარებას!**

იმავე 1999 წლის თებერვალში ჯუმბერ ლეჟავამ **ალპების დიდთოვლობა** გამოსცადა, ხოლო აპრილში — **საჰარის უდაბნოს პაპანაქება,** 2000 წელს კი აფრიკის ატლანტისპირეთში **თავსხმა წვიმები, წყალდიდობები, შიმშილი და მალარიის ციებ-ცხელება გადაიტანა.**

**— ზემოთ ახსენეთ — ჯუმბერ ლეჟავამ არაბ ჯარისკაცს ვერცერთ ენაზე ვერაფერი გააგებინაო... საინტერესოა, 238 ქვეყანაში ყოფნისას რა და რა ენაზე ესაუბრებოდა ან რა ფორმით ეკონტაქტებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს?**

— ჯუმბერმა მშობლიური ქართული ენის გარდა სომხური, რუსული და ინგლისური იცოდა, მოგზაურობის დროს კი ესპანური და ჟესტების ენა შეისწავლა.

**— საინტერესოა, 9 წლისა და 3 თვის განმავლობაში მოგზაურობისას რამდენი ველოსიპედი გამოიცვალა ჯუმბერ ლეჟავამ?**

— მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის განმავლობაში, ჯუმბერმა 9 ველოსიპედი გამოიცვალა. ჩვენს ლეგენდარულ მოგზაურს ქართულ და საერთაშორისო პრესაში მრავალი აღმატებული ეპითეტი მიუძღვნეს: **„ქართველი ოდისევსი“, „კაცი — პერპეტუუმ-მობილე“, „ფოლადის მხედარი“, „ტანმორჩილი შვარცენეგერი“, „ოპტიმისტი კავკასიელი“, „მშვიდობის დესპანი“, „ვარჯიშითა სიკვდილისა დამთრგუნველი“** და ასე შემდეგ. რაც მთავარია, არცერთი ეს შეფასება გადაჭარბებული არ არის, რადგან ჯუმბერ ლეჟავა მართლაც უნიკალური ფენომენია!

**— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა საქართველოში სათანადოდ დაფასებული ჯუმბერ ლეჟავას სახელი და ხსოვნა?**

— ჯუმბერ ლეჟავას შესახებ არაერთი წიგნია გამოცემული, რეჟისორმა **გიორგი ხარებავამ** გადაიღო შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი „ველოსიპედით მთვარემდე“, თბილისში არსებობს მისი სახელობის ქუჩაც, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ასეთ ლეგენდარულ კაცს უფრო მეტი დაფასება და პატივისცემა ეკუთვნის.

**ჯუმბერ ლეჟავას აქედან იქ — მარადიულ სამყაროში ვულოცავ 85-ე დაბადების დღეს,** „ასავალ-დასავალს“ კი დიდ მადლობას ვწირავ, რომ ეს თარიღი არ გამოგეპარათ და ჯუმბერის ფენომენალურ პერსონასა და უნიკალურ ღვაწლს კიდევ ერთხელ აცოცხლებთ მრავალრიცხოვანი მკითხველის წინაშე!

*ესაუბრა*
***ჟაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**შოთა არველაძე**
*„ჯვაროსნების“ ყოფილი თავდამსხმელი*



ევრო 2024-ზე **ქართველების ყველაფერი მოეწონათ** — დროშა, ჰიმნი, გულშემატკივრობა და სიმღერა.

„რეზონანსი“

**ლალი ბუნტური**
*ადვოკატი, სისხლის სამართლის იურისტი*



ერთხელ ქუჩაში მოვდივარ და დავინახე, **გოგონები სიგარეტს ეწევიან.** მივესალმე, **დედები გყავთ-მეთქი?** კიო. ჰოდა, **გაუხმეთ იმ დედათქვენებს ხელები-მეთქი.** რატომო? იმიტომ, რომ **მაგ სიგარეტს მაგ ტუჩებზე არ მიგასრესენ-მეთქი.** ქალბატონო, დედაჩემს ვინ ჰკითხავს, ეს ჩემი ცხოვრებააო. დედაშენს კი არა, მე მკითხავს-მეთქი, **ჩემი ქვეყნის ხვალინდელი დღე ხარ და რა შვილი უნდა გაუჩინო ჩემს ქვეყანას-მეთქი?!** კიდევ მოვალ და შეგამოწმებთ-მეთქი. მესამე დღეს გავიარე და **ერთი იჯდა, მზესუმზირას ჭამდა.** მიცანითო? — მკითხა. **სიგარეტს თავი დავანებე და მზესუმზირაზე გადავედიო.**

მარიხუანის თემის გამო **იაგო ხვიჩია** გამებუტა. არ მოეწონა ჩემი სიტყვა. იმ დროისთვის გენპროკურორი რომ ვყოფილიყავი, **სამშობლოს მოღალატის მუხლს წავუყენებდი მარიხუანის ლეგალიზების აგიტაციის გამო.**

„კვირის პალიტრა“

**თენგიზ ფხალაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



დასავლეთს სჭირდება საქართველო, მაგრამ არა იმდენად, რომ **უარი თქვას თავის პრინციპებზე, ღირებულებებზე და აიტანოს საქართველოს ხელისუფლებისგან შეურაცხყოფა,** უმადურობა და ტყუილები.

„კვირის პალიტრა“

**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლიბერტარისტული პარტიის წევრი*



ბრძოლა რომ გაგვიადვილდეს, ამისთვის **ოპოზიციამ ახლავე უნდა დაიწყოს ქუჩაში გამოსვლა.**

„ახალი თაობა“

# მარლენ მელქაძე: გთხოვთ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქტორს!

*გამოვხატავ თქვენდამი ღრმა პატივისცემას, გაზეთს ვკითხულობ, დიდი ხანია და ვღებულობ დიდ სიამოვნებას გაზეთში დაბეჭდილი ნაირ-ნაირი მასალებიდან, გამონაკლისია, მხოლოდ ერთი სტატია, რომლის ავტორია **პაატა ნაცვლიშვილი** და გამოქვეყნებულია ნომერში (№829, 8-14 ივლისი 2024 წ.).*
*გთხოვთ, გაეცნოთ და გააცნოთ ავტორს.*

**ბატონო, პაატა!**

მე თქვენი თაობის წარმომადგენელი ვარ და ამიტომ დიდი ხანია, ვიცნობ თქვენს ჟურნალისტიკურ საქმიანობას, მათ შორის ჩემი მეგობრის, აწ გარდაცვლილი სახელოვანი ალპინისტის **სერგო ბარლიანის** (სვანეთის მთებში ერთად დავდიოდით) ტიან-შანის ალპინისტურ დღიურებს. გამოქვეყნებული გაქვთ წიგნი „ხუთი რგოლი — საქართველოსთვის“, რომელიც არ წამიკითხავს, სპორტს ეხება ალბათ, და იმედი მაქვს, ფეხბურთს არ ეხება. ფეხბურთი არ ყოფილა თქვენი სტიქია. წინ გველოდება სერიოზული საუბარი და ამიტომ წარმოგიდგენთ ჩემს თავს. მინდა, გაიგოთ, რატომ არის ფეხბურთი ჩემი და საქართველოს სპორტის გულშემატკივართა უდიდესი ნაწილის სტიქია. ვთამაშობდი აჭარის ჭაბუკ ფეხბურთელთა, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის და ალმა-ათის მძიმე მანქანათმშენებელი ქარხნის (30 000 მაყურებლით) გუნდებში. გამოვაქვეყნე გაზეთ „ლელოში“ რამდენიმე სტატია, მათ შორის „აღვადგინოთ მიხეილ მესხის ფინტი“. ჟურნალისტმა რატი შელეგიამ „კვირის პალიტრის“ ბლოგში გამოაქვეყნა ჩემეული ხედვა „სახალხო პროექტი — ავაღორძინოთ ქართული ფეხბურთი“. სადაც განხილული მაქვს ფეხბურთის მოკლე ისტორია და პერსპექტივები, თქვენს სტატიას დეტალურად გავეცანი, რადგან, როცა სათაური წავიკითხე „ბალაგანი“, კარგს არაფერს ველოდი. ღრმა ანალიზის უნარი მაქვს. ვარ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები და მაქვს ათამდე საავტორო გამოგონება. ახლა რაც შეეხება თქვენს სტატიას „ბალაგანი“, ის რაც „ანუ“-ს შემდეგ წერია, „არტისტულობაზე“ ნაკლებად მაღელვებს.

„ბალაგანში“ მოყვანილი გყავთ ცნობილი სტატისტიკური მასალა, რაც სწორია და შეცდომა არ არის დაშვებული. რაც შეეხება თქვენს ნააზრევს, არ ვეთანხმები ობიექტურ გარემოთა გამო.

სტატიის მთელი დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ევროჩემპიონატზე ქართველ ფეხბურთელების შედეგები არ იმსახურებდა ასეთ შეხვედრას, რაც ჩვენ მოვუწყვეთ. ერთი სიტყვით მოვაწყვეთ „ქარიშხალი ჭიქაში“.

თქვენი კრიტერიუმი ძალიან მოკლეა — ესპანეთთან 4:1 დამარცხების შემდეგ ფეხბურთელებთან ასეთი დონის შეხვედრა არასწორია. მე მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას, რას ნიშნავს ჩვენთვის ეს შედეგი და მის მისაღებად რა გზა გავიარეთ დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჩამოყალიბებიდან დღემდე, ანუ 1990 წლიდან. საქართველო იყო და არის ფეხბურთის ქვეყანა და საქართველოში ყოველთვის იყო გენეტიკურად ნიჭიერი ფეხბურთელები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავიდან დავიწყეთ ქართული ფეხბურთის შენება, რაც ძალიან რთული იყო, არ გვყავდა ძლიერი სპარინგ-პარტნიორები, ისეთები, როგორიც იყვნენ რუსეთის, უკრაინისა და სხვა რესპუბლიკების ძლიერი გუნდები. საქართველოს ჩემპიონატი ძალიან დასუსტდა, სტადიონები ძველებურად არ ივსებოდა, შემოსავალი არ შემოდიოდა და კლუბები სულს ღაფავდნენ. თუ კი ვინმე ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდებოდა, გარბოდა ევროპაში, ან სულაც რუსეთის მეორეხარისხოვან კლუბებში. მიუხედავად ამისა, ქართული გენი ფეხბურთში თავისას შრვებოდა და წამოვიდნენ კვარაცხელიები, ჭანკვეტაძეები, მამარდაშვილები და დადგა დღე, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ნაკრების (კლუბების ჯერ კიდევ არა) მატჩებზე ჩვეულებრივად გაივსო სტადიონები, ქართველმა ფანებმა ამოისუნთქეს, დაიწყო საფეხბურთო ზეიმი, რასაც ჩვენ მიჩვეულები ვიყავით 1990 წლამდე.

მოვიდა დღევანდელი დღეც. მოვხვდით ევროჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში, მოვხვდით მე-8 ფინალში, ანუ ევროპის უძლიერეს 16 გუნდში.

თქვენ კითხულობთ, რატომ არის ასეთი დიდი ზეიმი. იმიტომ, რომ ჩვენ გზად ვძლიეთ ჩვენზე გამოცდილი საბერძნეთი, პორტუგალია, ფრე ვითამაშეთ ჩეხეთთან, წავაგეთ თურქეთთან და ესპანეთთან (ევროპის უძლიერეს გუნდთან), ეს ჩვენს შესაძლებლობებს აღემატებოდა. მწვრთნელმა სანიოლმა ჩამოაყალიბა ერთიანი მეგობრული გუნდი, რომელიც გამოირჩეოდა საფეხბურთო დისციპლინით და შრომისმოყვარეობით, ამას ყველაფერს ხედავდა საქართველოში დიდი ფეხბურთის ბატალიების მნახველი გულშემატკივარი. გერმანიაში ჩვენს თამაშებს ესწრებოდა 35 000 ქართველი, მათ შორის ემიგრანტები უცხოეთიდან. ახლა თამაშის ხარისხზე: მამარდაშვილი 29 მოგერიება — ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, მიქაუტაძე — ბომბარდირი 3 გოლით და ერთი საგოლე პასით, ორი ქართველი ფეხბურთელი დასახელდა კონკრეტული მატჩის საუკეთესო მოთამაშედ — გიორგი მამარდაშვილი ჩეხეთთან (12 სეივი) და ხვიჩა კვარაცხელია (გოლი პორტუგალიასთან). სხვა პარამეტრებიც ძალიან კარგი გვქონდა (იხილეთ სტატისტიკა გაზეთ „ლელოში“ 8-14 ივლისი). ყოველივე ეს ძალიან დააფასეს არა მარტო ქართველებმა, უცხოელებმაც. ახლა ზეიმზე. რა დიდი ზეიმი ეს იყო. ზეიმის მოწყობა ქართველებმა სხვა დონეზე ვიცით: ჩვენი სიმღერისა და

## ჟურნალისტის სიტყვა

*არავის არა აქვს უფლება, სხვისი წარმატება მიისაკუთროსო. ეტყობა, მართლა არის ატეხილი დიდი გაწევ-გამოწევა ქართველ ფეხბურთელთა ევროპირველობაზე ნაჩვენები წარმატების დასაუფლებლად.*






პაატა ნაცვლიშვილი

# ბალაგანი, ანუ არტისტულობის უსაზღვროებასაც აქვს საზღვარი!

**მაგრამ რომელი წარმატების?**

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ოთხი მატჩი გამართა, საიდანაც ორი წააგეს — საერთო ანგარიშით 2:7, ერთი ფრედ ითამაშეს და ერთიც — უმოტივაციო პორტუგალიასთან 2:0 მოიგეს.

**მერვედფინალში გასვლისა და იქ ესპანეთთან 4:1-ით სახელოვანი დამარცხების აღსანიშნავად, საქართველოში დაბრუნებულ ფეხბურთელებს ნამდვილი ტრიუმფი მოუწყვეს, რომლის მსგავსი — არ ვიცი, ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი — ევროპის ჩემპიონსაც კი შეშურდებოდა!**

ევროპირველობის მერვედფინალში დამარცხებული ფეხბურთელებით სავსე ღია ავტობუსმა ნახევარი თბილისი შემოიარა და ძლივს მოაღწია წმინდა გიორგის მონუმენტის ფერხთით საგანგებოდ მოწყობილ ღია სცენამდე, სადაც ქვეყნის უმაღლესმა ოფიციალურმა პირებმა და ათიათასობით გულშემატკივარმა იმისთანა შეხვედრა მოუწყვეს მათ, რომ არც ერთ ოლიმპიურ ჩემპიონს არ დასიზმრებია, ყოველ შემთხვევაში — ქართველს.

ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთი მაინც სხვაა, სხვანაირად უყვარს იგი გულშემატკივარს, ერთი სიმპათიური ფეხბურთელი ზოგჯერ მრავალგზის ოლიმპიურ ჩემპიონსაც ურჩევნია, ფეხბურთი ხანდახან ბევრად მეტია, ვიდრე სპორტი, მაგრამ, **რაც არ უნდა იყოს, ის მაინც სპორტია, სადაც გამარჯვება გამარჯვებაა და დამარცხება — დამარცხება.**

საქართველოსავით პირველად გადალახა ჯგუფური ეტაპი სლოვენიის ფეხბურთელთა გუნდმა, თან ისე, რომ, თუ მერვედფინალში პენალტების სერიას არ ჩავთვლით, მას გერმანიაში თამაში არ წაუგია! მერვედფინალში სლოვენიელები ჩვენ მიერ მანამდე დამარცხებულ, მაგრამ ამჯერად უკვე მოტივირებულ პორტუგალიას შეხვდნენ და არც ძირითად დროში წაუგიათ და არც დამატებითში. მეტიც — თუ ჩვენთან შეხვედრაში გოლსმოწყურებულ **კრიშტიანუ რონალდოს** ერთხელ მართლა მშვენივრად გადაეღობა **წინ ბიორზი ბველესიანი,** სლოვენიელთა მეკარემ **იან ობლაკმა** სულაც პენალტი აუღო იმავე რონალდოს. არ ვიცი, იშოვეს თუ არა ლიუბლიანაში ღია ავტობუსი და აღნიშნეს თუ არა მათი ქვეყნის პირველი გასვლა ევროპირველობის მერვედფინალში, მაგრამ ის კი ვიცი, რომ...

**ერთი სიტყვით, აღზარდე ევროპა საკუთარ თავში!**

მესმის, რომ არტისტული ერი ვართ!.. მესმის, რომ თეატრალურები ვართ!.. მესმის, რომ ემოციურები ვართ!.. მესმის, რომ დღესასწაულები გვენატრება!.. მაგრამ, თუ სპორტული წაგება მოგებად გავასაღეთ, ვაითუ, მთელი ჩვენი წარმატებები ამის შემდეგ ამითღა შემოიფარგლოს და ნამდვილ გამარჯვებას ვეღარც ვეღირსოთ!

რაც თბილისში ხდებოდა, გნებავთ, იმ ღია ავტობუსსა თუ, გნებავთ, იმ ღია სცენაზე, უკვე ზღვარდაუდებელი არტისტულობა იყო, არც ყეენობა, არც ბუფონადა და არც ფესტივალი. **ეს უფრო სიგიჟე იყო, გარდარეული ტელესიგიჟე და, დიდი ბოდიში, ვინც სხვაგვარად ფიქრობს — სისულელე! ეს უკვე არც თეატრია და არც დღესასწაული. ეს უკვე ბალაგანია!**

თუნდაც ეს ყველაფერი წინასწარ გვქონოდა დაგეგმილი, მერვედფინალის შედეგის შემდეგ როგორღაც უნდა შეგვეკვეცა ჩვენი გეგმებისთვის ფრთები და სატელევიზიო რეალობიდან ნამდვილ რეალობას დავბრუნებოდით. და თუ, ყველაფრის მიუხედავად, ეს ყველაფერი ამისთანა დღესასწაულად გვინდოდა, გვექცია, რას ვერჩოდით აეროპორტში ღამენათევ ქომაგებსა და გულშემატკივრებს, რატომ არ გავატარეთ მათი გმირები მათ მიერ შექმნილ ცოცხალ დერეფანში? რა, ვითომ ეს ბიჭები სხვები იყვნენ და თბილისის ქუჩებში ღია ავტობუსით ჩამოტარებულები — სხვები? **აეროპორტიდან ასე საიდუმლოდ და მზეთუნახავივით, ასეთი დაცვით თვით რომის პაპიც არ შემოუყვანიათ თბილისში — ან ერთი და ან მეორე, გინდაც იოანე-პავლე მეორე და გინდაც ფრანცისკე, არც კომუნისტების დროს, არც აგერ — რამდენიმე წლის წინათ.**

ევროპაში გვინდაო, რომ ვიძახით, საქართველო ვერასოდეს აღმოჩნდება სადმე საფრანგეთსა თუ გერმანიას შუა ან ავსტრიისა და იტალიას შორის და, რაგინდ ის ყველა პირობა შევასრულოთ, ევროები არავის დაგვეყრება მუქთად თავზე.

**ჰოდა, აღზარდე შენს თავში ევროპა!**

ევროპელები, ჩვეულებრივ, მზეს ასწრებენ ადგომას და ყოველ შაბათ-კვირას როგორც ნამდვილ დღესასწაულებს, ისე ელოდებიან და ისე ეგებებიან. კი, ნამდვილი დღესასწაულებიც იციან, მათ შორის, გამარჯვებული გუნდებისა თუ ეროვნული გუნდების გულშემატკივრებით სავსე ქუჩებში ავტობუსებით ჩამოტარებით — ჩვენ ყველას ლაივში თუ არა, ტელევიზიით გვინახავს ასეთი დღესასწაული, მაგრამ იქ, იმ ევროპაში, თითოეული ფეხბურთელი ასეთი ტრიუმფის დროს მედლებით არის მკერდამშვენებული და წინ მათ მიერ მოპოვებული თასი მოუძღვით და არა **ლევან კობიაშვილის** კინოოპერატორივით მომარჯვებული მობილური ტელეფონი.

სხვათაშორის, ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი **ლევან კობიაშვილი** მონაწილეობდა იმ მატჩში, რომელიც ახლა მინდა გავიხსენო: 1996 წლის 9 ოქტომბერს პერუჯაში გაიმართა მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩი იტალიისა და საქართველოს გუნდებს შორის. ეს ამ გუნდების პირველი შეხვედრა იყო. მატჩის ბედი გადაწყვიტა 43-ე წუთზე **ფაბრიციო რავანელის** მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა. ასეთი ლაკონიური ციფრებით არის ის მატჩი შეტანილი მსოფლიოს, ევროპის, იტალიისა თუ საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში. არადა, არავის ახსოვს, რომ პერუჯადან დაბრუნებულ ქართველ ფეხბურთელებს გულშემატკივრები ყვავილებით დახვდნენ აეროპორტში. საქართველოს ნაკრებმა მართლა არ ითამაშა ცუდად — არაერთი დასამახსოვრებელი მომენტი შექმნეს **გიორგი ქინქლაძემ** თუ **გიორგი ნემსაძემ, თემურ ქეცბაიამ** თუ იმავე **ლევან კობიაშვილმა.** არც გუნდის მწვრთნელი **საშა ჩივაძე** ჩამორჩა ტაქტიკური თუ სტრატეგიული აზროვნებით თავის იტალიელ ვიზავის — **ჩეზარე მალდინის.** მაგრამ ჩვენებმა, სამწუხაროდ, წააგეს — 0:1. მატჩის სატელევიზიო რეპორტაჟი **კოტე მახარაძეს** მიჰყავდა და მატჩის ბოლოს, იმით აღფრთოვანებულმა, რომ საქართველომ იტალიასთან, რომელიც მაშინ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იყო, მხოლოდ ერთი ბურთით წააგო, ტელემაყურებლებს მოგვიწოდა, აეროპორტში ყვავილებით დახვდით ჩვენს სასახელო ფეხბურთელებსო! და მართლაც, ღია ავტობუსი არა, მაშინ ასეთი რამ არ იყო მოდაში, მაგრამ აეროპორტში ჩვენს ფეხბურთელებს მართლა ღირსეული დახვედრა მოუწყვეს.

ამის მერე **კოტე მახარაძეს** ერთ-ერთი შეხვედრის დროს გავახსენე ის რეპორტაჟი და ეს რა ქენით, ბატონო კოტე, იმის მერე ქართველებს ნულით ერთზე დამარცხება დამარცხება არ ჰგონიათ, ის კი არა, ზოგიერთი ასეთ მარცხს გამარჯვებადაც კი მიიჩნევს-მეთქი. გაიცინა და, მართალი ხარო, მითხრა, მაგრამ ისე ვიყავი თავად იმ ფაქტით მონუსხული, რომ საქართველოს ნაკრები იტალიის ნაკრებს ხვდებოდა და რომ მე **მალდინის, ნესტას, კონტეს, კაზირაგის, რავანელისა** თუ სხვათა გვერდით ქართულ გვარებს ვასახელებდი და თანაც ქართულად, მაშინ ამაზე ნაკლებად ვფიქრობდი და ის ერთით ნული მაშინ მეც მოგებასავით მეგონაო!

**კოტე მახარაძეს** თავისი საფეხბურთო თუ არტისტული ქარიზმით მაშინ უფრო მეტად შეეძლო არარსებული რეალობის შექმნა და სასურველის რეალობად წარმოსახვა, ვიდრე დღეს არსებულ ყველა ტელევიზიას ერთად.

**მაგრამ მას მერე ხომ თითქმის 30 წელი გავიდა!**

კიდევ ერთი ძველი ამბავი უნდა გავიხსენო: მრავალი წლის წინათ, 1992 წლის მარტში ლოზანაში გაიმართა მოლაპარაკება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკათა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს შორის. მოლაპარაკების თემა ახალი ქვეყნების საერთაშორისო ოლიმპიური აღიარება და მათი სპორტსმენების ბარსელონის ოლიმპიადაზე გამოსვლის პირობები იყო. საქართველოს დელეგაციას მე ვხელმძღვანელობდი, როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. მოლაპარაკების ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ, როცა ყველანი წამოვიშალეთ, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის პრეზიდენტმა, შემდგომში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** მკითხა, საქართველო ევროპაა თუ აზიაო? ევროპა-მეთქი — დაუფიქრებლად ვუპასუხე. ამ დროს აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები მოვიდნენ და როგემ მათაც იგივე კითხვა დაუსვა. ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ და ამან რა გითხრათო? — ჩემზე ჰკითხეს. რა თქმა უნდა, ევროპა ვუთხარი-მეთქი, — გაღიმებული **როგეს** პასუხს აღარ დაველოდე. ჰოდა, ჩვენც ევროპა ვართო, — სომეხმა და აზერბაიჯანელმა. დანარჩენი ყოფილი რესპუბლიკების საკითხი უკითხავადაც გარკვეული იყო. მაგრამ მთლად ჩემს სიტყვებზე როდი იყო ყველაფერი. სანამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საქართველოს **ჟაკ**

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**უზრა ზეიას** და მისნაირების ლოგიკით გამოდის, რომ **აშშ-ის და ევროპის მიერ მხარდაჭერილმა და დაფინანსებულმა სუბიექტებმა** აქ რომ ყველაფერი დააქციონ, მაინც **ხელშეუხებელნი უნდა დარჩნენ.** მათი **ხელშეუხებლობა,** თურმე, არის აქ დემოკრატიის საზომი. როგორია სინამდვილე? **ქვეყანაში შეუფერხებლად მაუწყებლობს, მინიმუმ, 4 ოპოზიციური ტელეარხი, 10-ზე მეტი ოპოზიციური ინტერნეტრესურსი** და ა.შ. როდესაც აშშ-ის ემისარი აქ **დემოკრატიიდან გადახვევაზე** საუბრობს, პოლიტიკისგან შორს მდგომი ადამიანიც კი მიხვდება, თუ რა განზრახვები დგას ამის უკან.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ჭიჭინაძე**
*„ტაბულას“ თავმჯდომარე*



2012 წელს სად იყო **ირაკლი კობახიძე, შალვა პაპუაშვილი?! ივანიშვილი** გადარჩება, გზას იპოვის, მაგრამ **ამათ მტკვარში მოისვრის.**

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ვიხილეთ **შემოძარცული, ამორტიზებული და გაცვეთილი** „ქართული ოცნება“.

„ახალი თაობა“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**დემოკრატია საფრთხეშია** მთელ მსოფლიოში ისევე, როგორც აქ, საქართველოში.

„აიპრესი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ამერიკა, **როგორც დემოკრატიის შუქურა,** ჩაფლავდა!

„ახალი თაობა“

# გამოაქვეყნოთ ჩემი ალტერნატიული სტატია

ფოლკლორული ანსამბლები რად ღირს ან მსახიობები გვაკლია. ზეიმი თქვენ უნდა გენახათ მაშინ, როცა ახალგაზრდა ნონა გაფრინდაშვილი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მოსკოვში და მატარებლით ბრუნდებოდა ქ. თბილისში. მატარებელი როგორც კი შემოვიდა საქართველოში, ჩერდებოდა დიდხანს ყოველ სადგურზე, რომელიც სავსე იყო ხალხით. იყო ოვაციები, ყვავილები, გასაოცარი შეხვედრები, ბალაგანი არა. ასე რომ ქართველებმა იციან ჩემპიონების დაფასება. რაც შეეხება ფეხბურთის ზეიმს. ჩვენ არანაირი გამხიარულება არ გვჭირდებოდა. ორი კვირის განმავლობაში მივიღეთ იმხელა ბედნიერება, იმხელა სიხარული, რომ გული ვერ იტევდა. არც ორგანიზატორებს მოუკლიათ თავი ფეიერვერკებით. ხალხს აინტერესებდა უდავოდ ნიჭიერი და თავდაუზოგავი ფეხბურთელების ნახვა.

ძალიან მოკლედ: ფეხბურთელებით სავსე ავტობუსი — ღია მანქანა დაიძრა ვაკის პარკიდან და მივიდა პარლამენტის წინ, სადაც ფეხბურთელები ავიდნენ ტრიბუნაზე.

ახლა ვრცლად: გზად ფეხბურთელებს ხვდებოდნენ ყვავილებით, ძალიან ბევრი ახალგაზრდა იყო, იყვნენ პატარა ბიჭები, რომლებიც ხტუნვა-კუნტრუშით მიაცილებდნენ მანქანას, ხან ერთი მხრიდან გადაურბენდნენ, ხან მეორედან, მაისურებს აუგდებდნენ და ფეხბურთელები ხელმოწერილს უბრუნებდნენ. თქვენ უნდა გენახათ მათი ბედნიერი სახეები, ისინი ხომ მომავალი მამარდაშვილები, კვარაცხელიები იყვნენ. მათ ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ. ნახეთ, რა ჯანსაღი ბიჭები დაიზრდებიან, როგორ მასობრივად გაიზრდება ფეხბურთის სექციები. მე წინადადება შევიტანე, საერთოდ სასკოლო პროგრამაში შეიტანონ ცალკე ფეხბურთის სწავლება. ჩვენ ხომ დიდი ფეხბურთის პატარა ქვეყანა ვართ ისევე, როგორც უნგრეთი, ხორვატია და სხვები. ეს ხომ 30 წელია, დაკარგული იყო. ახლა დავუბრუნდით ევროპას ამდენი ხნის შემდეგ და ვართ 16 უძლიერეს ქვეყანაში, ცოტაა? ავტობუსს პარლამენტის წინ დახვდა ასიათასამდე კაცი. ძლივს შემოვიდა და ფეხბურთელებს შეხვდნენ მონატრებული ოვაციებით.

ბატონო პაატა, თქვენ ევროპა ახსენეთ, რომ იქიდან ბევრი რამე უნდა ვისწავლოთ. ვისწავლეთ: ჩვენ ყველანი ერთად ვგულშემატკივრობთ „ნაპოლის" და როცა ხვიჩა კვარაცხელიას გოლი გააქვს სტადიონზე, მაყურებელი ასე აღნიშნავს: ერთი წამყვანი ყვირის — „ხვ-ი-ი-ჩა" და მთელი სტადიონი უკლებლივ იმეორებს გვარს კვარაცხელია! სულ ეგ არი. იგივე იყო პარლამენტის წინაც — ფეხბურთელი კვეკვესკირი, რომელმაც შესანიშნავად შეითვისა წამყვანის როლი, დაიძახებდა ფეხბურთელის სახელს და მთელი ხალხი იმეორებდა მის გვარს. მოხდა ფეხბურთელების დაჯილდოება და წარდგენა. სულ ეს იყო ფორმალურად და იყო ხალხის უზომოდ ბედნიერი სახეები. მითხარით, სად იყო ბალაგანი ან როგორ შეიძლებოდა ფეხბურთელებისა და მათი გულშემატკივრების ასეთი გულთბილი, დასამახსოვრებელი შეხვედრის შედარება უზნეო საკაშვილის მიერ 2008 წლის ომის წაგების შემდეგ მოწყობილ ტაშფანდურთან.

**ძვირფასო რედაქციავ!**

კიდევ ერთხელ გამოვხატავ თქვენდამი ღრმა პატივისცემას და გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი ალტერნატიული სტატია (სოციალური ქსელებიდან თავს ვიკავებ) და მკითხველმა განსაზღვროს მტყუან-მართალი. მზად ვარ, შეგხვდეთ ნებისმიერ დროს.

*პატივისცემით*

***მარლენ მელქაძე***

# გაზეთ „ასავალ-დასავალის" რედაქტორს

## ჟურნალისტის სიტყვა

**როგეს** ჩააბარებდა და საბოლოოდ მოაქცევდა ევროპული ქოლგის ქვეშ, მათ დასკვნისათვის ავტორიტეტულ სამეცნიერო ცენტრებსაც მიმართეს, მათ შორის — დიდი ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებას. ასე რომ, სპორტულ ევროპაში საქართველო უფრო ადრე შევიდა, ვიდრე ევროპის საბჭოში ის ცნობილი სიტყვები გაიჟღერებდა — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი".

მას შემდეგ ევროპის სპორტული კარი მთელი 32 წელიწადია, მუდამ ღიაა ქართველი სპორტსმენებისთვის ნებისმიერ სახეობაში და არავის ევროპის პირველობისთვის ბრძოლა და მის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა არ დაუშლია არც ფეხბურთელებისთვის, არც რაგბისტებისთვის, არც კალათბურთელებისთვის, არც ხელბურთელებისთვის, არც წყალბურთელებისთვის და არც არავისთვის. და ამისთვის არც ევროკავშირის 12 თუ რამდენიც გინდა პირობის შესრულება იყო საჭირო და არც ევროპარლამენტის რეზოლუცია და **შარლ მიშელისა** თუ **ურსულა ფონ დერ ლაიენის** თანხმობა. თუმცა, შესარჩევი ასპარეზობების დაძლევა კი ყველასთვის აუცილებელი იყო. და იმ ფონზე, როცა ფეხბურთელებზე ადრე ასეთი შესარჩევი ეტაპები და თანაც არაერთგზის საქართველოს სხვა გუნდური სახეობების წარმომადგენლებმა გადალახეს, მხოლოდ ჟურნალისტურ გადაჭარბებად უნდა ჩავთვალოთ, როცა წამდაუწუმ გვესმის, ქართველი ფეხბურთელები ევროპაში შეგვიძღვნენო. მადლობა ღმერთს, რომ მათ ეს ბოლოს და ბოლოს — სამი ათეული წლის შემდეგ მოახერხეს და ყველას ერთად, და მეც მათ შორის უდიდესი სიამოვნება და სიამაყე მომგვარეს. დიახ, აშკარაა, რომ გუნდმა, მისმა თითოეულმა წევრმა განსაკუთრებით მონდომამ და მათი ძალისხმევის წარმატებით დასრულებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბოლო წლებში უეფამ ფინალური ეტაპის მონაწილეთა რიცხვი 16-დან 24-მდე გაზარდა და იქ მოხვედრის პირობები რამდენადმე გააადვილა ეროვნული ლიგის შემოღებით. ისე კი, ევროპაში შეგვიყვანა კი არა, სამწუხაროდ, თუ მართალი გვინდა, ქართული ფეხბურთი ევროპაში სპორტის სხვა სახეობებზე რამდენადმე გვიან შევიდა.

**ვიყოთ მართლები! ალვზარდოთ ევროპა ჩვენში!**

ჩვენს ფეხბურთელებს რაც შეეხება, ბარაქალა მათ! მაგრამ ეს მხოლოდ მათი დამსახურება არ არის.

**მერვედფინალში მათ ამასწინანდელ გასვლას ამზადებდა 60-იანი და 70-იანი წლების ქართველ ფეხბურთელთა ბრწყინვალე თაობა, რომელთაგან არავის მოუვიდოდა თავში, რომ, თუ თავდამსხმელმა გოლი გაიტანა, ან, თუ მცველმა თავდამსხმელს ბურთის გატანაში ხელი შეუშალა, ან, თუ მეკარემ ბურთი მოიგერია, ღირსების ორდენებისთვის შეჩერებოდნენ ხელში ან პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრს ან ღია ავტობუსით ჩატარება ეთხოვათ თბილისის ქუჩებში!**

არადა, მათ შორის იყვნენ ევროპის ჩემპიონებიც, ოლიმპიური ჩემპიონიც და პრიზიორებიც, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გამარჯვებულებიც, მსოფლიოს ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელებიც...

მაშინ მართლა დანატრული ვიყავით ნამდვილ დღესასწაულებს და იქნებ ხანდახან გამართლებულიც კი იყო გამოგონილი დღესასწაულების — **შვიდი ნოემბრებისა და პირველი მაისების ფონზე** — მათი რაღაც სხვა, თუნდაც გამოგონილი დღესასწაულებით ჩანაცვლება, თუნდაც იტალიაში 0:1-ზე წაგების შემდეგ აეროპორტში წაგებულთა ყვავილების თაიგულებით დახვედრა.

მაგრამ ახლა ხომ მართლა სხვა თაობაა. მათ აღარ უკვირთ ევროპის უძლიერეს გუნდებთან ევროპის ნებისმიერ სტადიონზე შეხვედრა და არცთუ იშვიათად წარმატებასაც აღწევენ. ეს მათთვის უკვე ჩვეულებრივი ამბავია, არა მოულოდნელი და თავისთავად სასიხარულო, არამედ მათი ყოველდღიური საქმე და საზრუნავი. კარგად თქვა, ფეხბურთელთა ამ თაობის ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა **გიორგი მამარდაშვილმა — მე ჩემს საქმეს ვაკეთებო.** დიახ, ისინი თავის საქმეს აკეთებენ და ძალიან კარგად იციან, რა არის მოგება და რა არის წაგება!

როგორც ყველა ჩვენგანი, ისინიც თავ-თავის საქმეს აკეთებენ, მაგრამ, თუ ამ ჩვენ-ჩვენი საქმის კეთებაში ქართველი ფეხბურთელები ოდესმე მართლა მოიგებენ ევროპის ჩემპიონატს, ყველას ვერ გავწვდები, მაგრამ მათ შორის საუკეთესოებს, თუ რამ ორდენი და ჯილდო მაბადია, უშურველად დავუთმობ პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა თუ მათი ნებართვის გარეშე.

მე აქ გამარჯვება-დამარცხების გარჩევასა და გამარჯვების იერარქიაზე ვლაპარაკობ, თორემ სხვაზე ნაკლებად არ გამხარებია ქართველი ფეხბურთელების ეს საევროპო დებიუტი. როგორც კი გაყიდვაში გამოჩნდა, მაშინვე წავედი „დინამოზე", **კვარაცხელიას** მაისურიც ვიყიდე და **მამარდაშვილისაც**. შვილიშვილებსაც ვუყიდე. მალე, ალბათ, ოლიმპიური ნაკრების ფორმაც მექნება, მაგრამ პარიზის ოლიმპიადაზე ამ მაისურსაც აუცილებლად წავიღებ საამაყოდ და თავის მოსაწონებლად. **ის ოთხი ღამეც, მეც ყველა ქართველი გულშემატკივრის მსგავსად ნერვიულობასა და აღფრთოვანებაში, ჩვენი ფეხბურთელების წარმატების სიხარულსა და მათი წარუმატებლობის გულისტკენაში გავატარე, მეც დავკარგე ხმა იმდენ ყვირილში და მეც მგონია, რომ ეს ყველაფერი გარკვეულწილად დასაწყისია და არა დასასრული. ჰოდა, ჯერ გადავხტეთ და „ჰოპ" მერე დავიძახოთ და ტრიუმფები და დღესასწაულები, სჯობს, მერე, მართლა გამარჯვებულებმა გავმართოთ.**

**ალვზარდოთ ევროპა ჩვენში!**

რა თქმა უნდა, არც ერთ ფეხბურთელს არ მოატყუებს ეგზალტირებულ **ჟურნალისტ**თა აღფრთოვანებული შეძახილები, რომ თითქოს მთელი მსოფლიო ქართველ ფეხბურთელთა წარმატებაზე ლაპარაკობს და რომ თითქოს მათ შეუძლებელი შეძლეს, ან რომ მართლა საოცრება ჩაიდინეს, ან რომ გუშინდელი დღე ნამდვილი სასწაული იყო!

მგონია, რომ ტელეჟურნალისტობაზე მეოცნებე ჩემი სტუდენტები, რომლებიც არ მოსწრებიან და მხოლოდ გადმოცემით იციან ტელევიზიის როლი ეგრეთწოდებულ „ვარდების რევოლუციაში", ამ დღეებში საკუთარი თვალითა და ყურით დარწმუნდნენ, რომ **სატელევიზიო სინამდვილე ხშირად ანაცვლებს ნამდვილ სინამდვილეს და მერე ამ სატელევიზიო სინამდვილის შემქმნელები თავადვე იჯერებენ თავისივე შექმნილ სინამდვილის ნამდვილობას და ამ უკვე იქაური წარმოსახვითი სინამდვილის წესებით იწყებენ ცხოვრებას.** და მერე ეს ყველაფერი ნელ-ნელა ვრცელდება საზოგადოების სულ უფრო და უფრო ფართო ფენებში,

**ნელ-ნელა ტყუილი სიმართლედ საღდება, ნამდვილი სიმართლისა აღარავის სჯერა, რაკი ის გამოგონილი ტყუილი უფრო საამურია და ბოლოს ყველაფერი ღია ხომალდით მთავრდება ხალხის ტალღებად აბობოქრებული თბილისის ქუჩებში მობილური ტელეფონით შეიარაღებული ლევან კობიაშვილით, როგორც ამ საფეხბურთო ვირტუალური ხომალდის მასკარონით.**

ვიმეორებ, აქ არც **ლევან კობიაშვილი** და არც ევროპირველობიდან შინ დაბრუნებული ფეხბურთელები არაფერ შუაში არიან. თითოეულმა მათგანმა თავისი მაქსიმუმი გაიღო, უამრავი ბედნიერი და საამაყო წუთი გვაჩუქა, გააკეთა ის და იმაზე მეტიც, ვიდრე შეეძლო. დიახ ეს მათი მომავალი წარმატებების დასაწყისია, და ძალიან კარგი დასაწყისი. ვიმეორებ თუ ვიმესამებ — **მათ მართლა ბევრი გააკეთეს ევროპაში და მსოფლიოში საქართველოს ცნობადობის ამაღლებით. დიახ, მათ საქართველოში ფეხბურთის სიყვარული და პატივისცემა დააბრუნეს. ამავე დროს ბევრს, მათ შორის, ქალებსაც, გააცნეს ფეხბურთი, როგორც სპორტი და არა მხოლოდ სპორტი.** ეს ძალიან კარგია, მართლა ძალიან კარგი დასაწყისია, მაგრამ არა საზოგადოდ, არამედ ამ თაობის ცხოვრებაში, მაგრამ ქვეყნის ცნობიერება და მახსოვრობა, მისი ღირსება და წარმატებები ხომ მხოლოდ ერთი ან ორი თაობით არ განისაზღვრება! ქართველებს დიდი საფეხბურთო გამარჯვებებიც გვქონია, ძალიან დიდი, მართლა სატრიუმფო და საამაყო! ჯერ კიდევ ცოცხალია ამ გამარჯვებების არაერთი შემოქმედი.

**ნეტა ახლაც საქართველოს ესპანეთისთვისაც მოეგო, გამიხარდებოდა კი არა, ცას ვეწეოდი სიხარულით, მაგრამ ამჯერად არ გაგვიმართლა. არ იყო ესპანეთი ისეთივე უმოტივაციო, როგორიც რამდენიმე დღით ადრე პორტუგალია. ამჯერად არც ვიდეორეფერი მოგვეხმარებია და იღბალმაც ზურგი შეგვაქცია.**

**ხოლო საავტობუსო ბალაგანიდან ერთი ნაბიჯია იმ ცრუდღესასწაულამდე, როცა რუსეთთან 2008 წლის ომში გამარჯვება გვაზეიმეს რუსთაველზე, როცა დიდი ზარ-ზეიმი გავმართეთ, რუსეთის ჯარს კუდით ქვა ვასროლინეთო, თბილისში არ შემოვუშვითო — თითქოს უნდოდა და ჩვენ არ შემოვუშვით!**

რაც უნდოდა, დღესაც მისია და კიდევ უმატებს და უმატებს, ერთი მხრივ, ჩვენი ზეიმებით, და შიშველი ტრაკებით გაოცებული, მეორე მხრივ. **შეიძლება ისე მოხდეს, რომ კარგ გუნებაზე მყოფმა სადმე ერთი-ორი სახლი დაგვიბრუნოს ან ერთი სოფელი საზეიმოდ გადმოგვცეს. ჩვენი არტისტული ბუნების ამბავი რომ ვიცი, თქვენ დღესასწაული მაშინ ნახეთ! წაგებულ ომზე რა ზეიმი ავტეხეთ და ასეთ შემთხვევაში რას ვიზამთ, ადვილი წარმოსადგენია!**

მაგრამ, თუ ნამდვილი და ჩვენი გამოგონილი სინამდვილე კვლავაც ერთმანეთში უნდა აგვერიოს, ჯობია, ეს ფეხბურთში მოხდეს და არა ომში!

ვხედავ, დიდი დრო წაგართვით, მაგრამ ამბავმა და სიტყვამ თავის ნებაზე მატარა. **დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს პოსტი ბოლომდე ჩაიკითხა, დიდი მადლობა მათ, ვინც მიიჩნევს, რომ რაღაცაში შეიძლება იქნებ მართალიც ვიყო, დიდი ბოდიში მათთან, ვინც თვლის, რომ ამაოდ გავისარჯე.**

ღმერთმა ავტორიც და წამკითხველიც, ამ ტექსტის მომწონებელიც და დამწუნებელიც მრავალ ნამდვილ დღესასწაულს მოგვასწროს, სპორტულსაც და არასპორტულსაც!




**ლაშა,** პრინციპულად არ ვეთანხმები ამ თხზულების შენეულ შეფასებებს არც ელექტრონულ ფოსტაში და არც ფეისბუქის მესენჯერში. პირიქით, **ვუერთდები ავტორის თხოვნას და გთხოვთ, იქნებ მართლა გამონახოთ ადგილი გაზეთის ფურცლებზე ამ ოპუსისთვის.** ის კი არა, კარგი იქნება, გაუსწოროთ ავტორს გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები, ისე, რომ მისი აზრი არ შეიცვალოს. **თუ საჭიროდ ჩათვლი, შეგიძლია, ჩემი ეს თხოვნაც დაურთო პუბლიკაციას. ვინიცობაა, რომელიმე მკითხველს ჩემი პასუხი დააინტერესებს, შეუძლია, თავიდან წაიკითხოს ის წერილი, რომელიც ავტორს არ მოსწონებია.** ვაღიარებ, ფეხბურთი ჩემი სტიქია არ არის, მე მხოლოდ გულშემატკივარი ვარ, ხანდახან — სპორტული ჟურნალისტიც. სხვებს კი, მაგრამ ჩემს მეგობარ **რატი შელეგიას** „კვირის პალიტრის" ბლოგში ჩემი, სამწუხაროდ, არაფერი გამოუქვეყნებია. **კარგია, თუ ავტორიც კიდევ ერთხელ წაიკითხავს მის მიერ დაწუნებულ „ბალაგანს", ნახავს ამ სიტყვის მნიშვნელობას და აღიარებს, რომ ტექსტიდან აზრის გამოტანა მისი სტიქია არ ყოფილა.**

***პაატა ნაცვლიშვილი***

## კვირგვინოსნები

**თენგიზ შარმანაშვილი**
*პარლამენტარი*



სენატორმა **შაჰინმა** — **დამკვირვებლად უნდა ჩავიდე საქართველოში არჩევნებზეო.** კითხვა მაქვს — **ის, რაც ტრამპის მიმართ განახორციელეს, ჯერ სასამართლო დევნა, შემდეგ ზიზღის კამპანია ხელისუფლების დონეზე და ბოლოს სასიკვდილოდ გამეტება,** სამართლიანი საარჩევნო გარემოს კლასიკური ნიმუშია? **აქ რის დასაკვირვებლად აპირებს ჩამოსვლას?**

„ინტერპრესნიუსი"

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**გახარია** „ლელოზე" ამბობს, რომ **ნაცმოძრაობის კლანს უნდა გამოგლიჯოს,** „ლელო" ამბობს — **განმარტებები უნდა მოგვცეს 20 ივნისთან დაკავშირებითო,** ამაზე მეტი უმსგავსობა რეჟისორსაც კი არ ექნება აღწერილი ფილმში.

„ახალი თაობა"

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის" წევრი*



**მამუკა ხაზარაძის ფულზე მიდის ახლა ნადირობა** — ჯერ **ნიკა გვარამიამ** სცადა, მისი ფული მოეპოვებინა, ახლა **გიორგი გახარია** ცდილობს.

„ინტერპრესნიუსი"

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*



**გახარია** და **პრეზიდენტი** თუ გაერთიანდებიან, **ეს „ოცნებისთვის" ბომბი იქნება.**

„ახალი თაობა"

**რობინ ვაგენერი**
*გერმანიის ფედერალური მთავრობის კოორდინატორი*



„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონთან ერთად **ევროკავშირში გაწევრიანება აღარ იქნება** — ამის შანსი არ არის.

„ინტერპრესნიუსი"

# იგორ კვესელავა: დონალდ ტრამპი რომ ამერიკის პრეზიდენტი ყოფილიყო, შევარდნაძე გამსახურდიას გადატრიალებას ვერ მოუწყობდა!





„გამსახურდიას იმიტომ ესროლეს, რომ ტრამპის მსგავსად, თავისი ქვეყნის პატრიოტი გახლდათ!“

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა წინა კვირას დონალდ ტრამპზე განხორციელებულ თავდასხმას ეხმიანება და აცხადებს, რომ იგი არის მამხილებელი პრეზიდენტი, რომელიც ემზადება, ამერიკას უთხრას მწარე სიმართლე:***

— **დონალდ ტრამპისთვის** ნასროლმა ტყვიამ მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც მსოფლიო დემოკრატიის ფლაგმანი და მფარველი, ღრმა კრიზისშია. თუ ამერიკას გადარჩენა სურს, მაშინ მან პრეზიდენტად უნდა აირჩიოს სწორედ **ღმერთის მიერ სასწაულებრივად გადარჩენილი ეროვნული ლიდერი დონალდ ტრამპი** და არა ჩუჩელა და ნახევრად მიცვალებული ჯოზეფ ბაიდენი, რომელიც ამერიკის სირცხვილად იქცა.

**— მახსოვს, თქვენ ტრამპთან და მის საარჩევნო შტაბთან მიწერ-მოწერა გქონდათ!**

— დიახ, ეს იყო ძალიან საინტერესო მიწერ-მოწერა... ზოგიერთ დოკუმენტს, რომელსაც ამერიკიდან ვღებულობდი, პირადად **დონალდ ტრამპის** ხელმოწერა ამშვენებდა, ხოლო ზოგიერთი უშუალოდ მისი შტაბიდან იგზავნებოდა. კარგად მახსოვს, დონალდ ტრამპი და მისი უახლოესი გარემოცვა ძალიან დაინტერესდნენ იმ ფაქტით, როცა ვამცნე, რომ **საქართველოში ვაპირებდი ტრამპის მხარდამჭერი მოძრაობის შექმნას.** გამომიგზავნეს ორასგვერდიანი საპროგრამო დოკუმენტი, სადაც რჩევასა და აზრს მეკითხებოდნენ... ცხადია, ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო, საამაყო და საინტერესო იყო.

**— სად არის დღეს ეს დოკუმენტები?**

— ეს დოკუმენტები შენახული მქონდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში, ზვიად გამსახურდიას სახელობის კაბინეტში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დოკუმენტები კაბინეტიდან გამოყარეს და რომელიღაც ოთახში შეჩურთეს. ზუსტად არ ვიცი, დღეს სად არის ეს მასალები, მოსაძებნი მაქვს ყველაფერი!

**— რატომ ესროლეს ტრამპს?**

— **ტრამპს ესროლეს იმიტომ, რომ მან გარკვევით განაცხადა და ამერიკის მოსახლეობას დაჰპირდა — თუ პრეზიდენტად ამირჩევთ, აუცილებლად გავასაჯაროებ პრეზიდენტ კენედის მკვლელობასთან დაკავშირებულ საიდუმლო დოკუმენტებს, ფარდას ავხდი მილიარდერ ეპშტეინის საქმეს და 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის კულისებსო.** გარდა მისა, დონალდ ტრამპმა განაცხადა მთავარი — ის აპირებს, მოელაპარაკოს პუტინს და დაასრულოს უკრაინის ომი! უკრაინის ომის დასრულება, როგორც ჩანს, ხელს არ აძლევს იმ ძალებს, რომლებმაც პრეზიდენტ კენედის ვიეტნამიდან ჯარების გამოყვანის დაწყების გამო ესროლეს! აშკარაა, რომ ამერიკულ დემოკრატიაში რაღაც მოეშვა და დალპა. ამერიკამ ზურგი აქცია დამფუძნებელი მამების იდეებს და აჰყვა ყალბ მოძღვრებას — ნეოლიბერალიზმს, რომელმაც ამოდენა ქვეყანა ჩიხში შეიყვანა.

ტრამპი, როგორც ლიდერი და თავისი ქვეყნის პატრიოტი, დარწმუნებულია, რომ ამერიკა გადასარჩენია და ამაში არც ცდება. **ტრამპს იმიტომ ესროლეს, რომ ამერიკა უყვარს! კენედიც ამერიკის სიყვარულის გამო მოკლეს! ზვიადიც საქართველოს სიყვარულისთვის აწამა და მოკლა შევარდნაძემ!**

დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კენედის მკვლელობის უკან ვიღაც გამოშტერებული **ლი ჰარლი ოსვალდი** კი არა, ამერიკის საიდუმლო სამსახურები იდგნენ. ამ მკვლელობის დამგეგმავი და შემსრულებელი ხალხი ამერიკაში დღესაც ცოცხალია და წარმოუდგენელ გავლენებსა და ფინანსებს ფლობს. ბუნებრივია, მათ აშინებთ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლა, რადგან ის თავის დანაპირებს უსათუოდ შეასრულებს და საბოლოოდ გამოაშკარავდება, რომ **პრეზიდენტი კენედი** სინამდვილეში დიდი შეთქმულების მსხვერპლი იყო. აღარაფერს ვამბობ 11 სექტემბრის ტერაქტსა და **მილიარდერ ეპშტეინის** მიერ მოწყობილ გარყვნილების ბუნაგზე. ფაქტია, რომ გავლენიანმა და ბნელმა ძალებმა, რომლებმაც **ტრამპს** ესროლეს, **ეპშტეინი** მოიშორეს და საკანში ჩამოკიდეს!

**— ზვიად გამსახურდიას რატომ ესროლეს?**

— **გამსახურდიას** იმიტომ ესროლეს, რომ ტრამპის მსგავსად, თავისი ქვეყნის პატრიოტი გახლდათ. ამერიკაში პრეზიდენტების მკვლელობა ყოველთვის მოდაში იყო, მაგრამ, საუბედუროდ, უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის დანგრევისა და ე.წ. ცივი ომის დასრულების შემდეგ, მსოფლიოში შეიქმნა სიტუაცია, როცა ეროვნულ და სამშობლოსთვის თავდადებულ პრეზიდენტებს ტყვიებს განსაკუთრებული გაშმაგებით ესვრიან! **ტრამპი არის მამხილებელი პრეზიდენტი, რომელიც ემზადება, ამერიკას უთხრას მწარე სიმართლე, რადგან ამერიკა ძალიან უყვარს.** გამსახურდიაც იყო მამხილებელი პრეზიდენტი, მაგრამ საქართველო მზად არ აღმოჩნდა, აეტანა, მოესმინა და გაესიგრძეგანებინა ის სიმართლე, რომელსაც ზვიადი გვეუბნებოდა. ვინმეს სჯერა, რომ საიდუმლო სამსახურების ნებართვისა და დაშვების გარეშე ვიღაც ტვინგახურებული ახალგაზრდა, 20 წლის ბიჭი, შაშხანით ხელში შენობის სახურავზე აძვრა და ტრამპს 130 მეტრიდან სროლა აუტეხა? ეს ისეთივე აბსურდია, როგორც შევარდნაძისა და მისი ხროვის მიერ დაყრილი ხმები იმის შესახებ, თითქოს ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა!

ამერიკის მმართველ ელიტას, იმ მართლაცდა საიდუმლო მთავრობას, რომელიც ნახევრად მიცვალებულ ბაიდენს აქეთ-იქით დააჩანჩალებს, არ სურს, ხალხმა შეიტყოს სიმართლე დღემდე პოპულარული და უღმერთოდ მოკლული **პრეზიდენტ კენედის** შესახებ. ელოდებიან იმ ადამიანების სიკვდილს, რომლებიც საიდუმლო სამსახურების მიერ დაგეგმილ ამ მკვლელობაში მონაწილეობდნენ. სწორედ ასე, დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მემკვიდრეა, ელოდება ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში მონაწილე ფიგურანტების გარდაცვალებას, ამ ქვეყნიდან გასვლას, რადგან ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ — **ზვიადის მკვლელებით სავსეა როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია!**

დათვლილია და ცნობილია, რომ შევარდნაძის ხუნტამ საქართველოში 317 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს 317 კაცი დახვრიტეს მიტინგებზე, საპროტესტო აქციებსა და დემონსტრაციებზე. დიდი ალექსანდრე ყაზბეგისა არ იყოს, ამ 317 ადამიანის სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, მაგრამ ამდენი წლის განმავლობაში კაციშვილს ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რათა სამართლიანობა აღმდგარიყო და მკვლელები დაესაჯათ. ამ 317 კაცის მკვლელების დიდი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ბევრი ცოცხალია და რაც ყველაზე მთავარია, პოლიტიკურ პროცესებშია ჩართული.

***— როგორ ფიქრობთ, დონალდ ტრამპი რომ ამერიკის პრეზიდენტი ყოფილიყო, ზვიად გამსახურდიას დაამხობდნენ?***

— ერთმნიშვნელოვნად და კატეგორიულად ვაცხადებ: **დონალდ ტრამპი რომ ამერიკის პრეზიდენტი ყოფილიყო, ზვიად გამსახურდიას შევარდნაძე გადატრიალებას ვერ მოუწყობდა!** სხვათაშორის, სიმართლე უნდა ითქვას, ამერიკის პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში (უფროსი)** არ ყოფილა ზვიადის დამხობის ინიციატორი. ბუში ქართველებს ძალიან კარგად იცნობდა და ჩვენ შესახებ წარმოდგენაც კარგი ჰქონდა. აი, მაგალითად, აწ განსვენებულ **ივერი ფრანგიშვილს,** რომელიც მოსკოვში ტრაპეზნიკოვის სახელობის გასაიდუმლოებულ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, ჯერ კიდევ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშთან (უფროსი)** რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა. **ივერი ფრანგიშვილი** მიყვებოდა, რომ ბუშს ძალიან კარგად სცოდნია სტალინის ქართველობის შესახებ და გაოგნებული ყოფილა ქართველების სტუმართმოყვარეობითა და საჭმელ-სასმლით გადატვირთული სუფრით. ამის გამო ის ივერი ფრანგიშვილს ძალიან მეგობრუ-



ივერი ფრანგიშვილი



ჯორჯ ბუში (უფროსი)

## რა უთხრა ჯორჯ ბუშმა ივერი ფრანგიშვილს ქართველების შესახებ?

## კვირგვინოსნები

**გოგა მანია**
*ეზოთერიკოსი, წინასწარმეტყველი*



რომ შემეძლოს, **კიდევ ერთხელ დავიბადებოდი და ვიქნებოდი ქართველი.** საქართველო გასაღებია მთელი მსოფლიოსთვის. **ნგრევები და პრობლემები 2024 წელს იქნება მსოფლიოში,** თუმცა, ყველაზე ნაკლები საშიშროება სწორედ საქართველოს ემუქრება.

„სარკე“

**თიკო ნაჭყოშვილი**
*ყოფილი მოდელი, ჟურნალისტი*



როგორც კი თვითმფრინავი საქართველოში, ჩვენი ქვეყნის ცაზე აღმოჩნდა, **შინაგანი ფორიაქი დამეწყო და მივხვდი, საოცრად მომნატრებია აქაურობა.** ჩემს მეუღლესაც ვეუბნებოდი — **მგონი, აღარ მინდა უკან დაბრუნება-მეთქი.** გაოგნებული ვარ, ამ ქალაქში როგორ დადიან, კინაღამ მანქანამაც გამიტანა. ვერაფერს ვიგებ, ვინ საით უხვევს, ვინ როგორ მიდის. **ასეთი გაუგონარი მოძრაობა მსოფლიოში მართლა თუ არსებობს, არ ვიცი.**

„სარკე“

**ანანო სამხარაძე**
*„ნიკას შოუს“ გუნდის წევრი*



ისეთ ადამიანად უნდა ჩამოვყალიბდე, როგორიც **ნამდვილ ქართველ ქალს** შეეფერება.

„თბილისელები“

**ლევან ლელაშვილი**
*მსახიობი*



ოჯახის წევრები მაკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ **ხშირად მიწევდა სმა.** ახლა გადავწყვიტე, **ევროპულ სმაზე გადავიდე.** პატარაც აღარ ვარ, რომ ჯანმრთელობას არ მოვუფრთხილდე.

„თბილისელები“

**ანა ჯავახიშვილი**
*მსახიობი*



ჩემი ძმის **ქორწილში არ წავედი** იმის გამო, რომ **რეპეტიცია არ გამეცდინა.**

„თბილისელები“

## პრეზიდენტის საქმე




ლად, ხალისით და შინაურულად ეკითხებოდა — რა საჭიროა ათი კაცისთვის განკუთვნილ მაგიდაზე 30 კაცისთვის სამყოფი პროდუქტების მიტანა? ეს პროდუქტები ხომ გაფუჭდება და გადასაყრელი გახდება? ცხადია, ამერიკელისთვის ძნელი იყო იმის ახსნა, თუ რატომ ხდებოდა და ხდება საქართველოში ასე... ბუში ასევე გაოგნებული ყოფილა ქართველთა თვისებით, ბოლომდე თან გადაჰყვნენ და უპატრონონ შვილებს...

**— მაშ, რა მოხდა, ვინ გადაწყვიტა ზვიად გამსახურდიას ბედი? თუ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი) ზვიად გამსახურდიას მიმართ მტრულად განწყობილი არ იყო, რატომ თქვა — გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიცურავსო? მოგეხსენებათ, ეს იყო სანქცია და ნებართვა სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების დაწყებაზე, რაც შევარდნაძემ და მისმა ხროვამ აღასრულეს კიდეც!**

— დღევანდელი გადასახედიდან მაშინ განვითარებულ მოვლენებსა და თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ტენდენციებს რომ ვაანალიზებ, ეჭვი არ მეპარება და დარწმუნებულიც ვარ, რომ **პრეზიდენტ ბუშს** ზვიად გამსახურდიას მისამართით ის სიტყვები **ჯეიმს ბეიკერმა** ათქმევინა! ანუ რეალურად თუ განვსჯით, იმ ცნობილი სიტყვების ავტორი სინამდვილეში ამერიკის სახელმწიფო მდივანი **ბეიკერია,** რომელიც გახლდათ შევარდნაძის კურატორი და დიდი გავლენა ჰქონდა პრეზიდენტ ბუშზე! მათ იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, შესაძლოა, შევარდნაძემ ბეიკერს ფურცელზეც კი დაუწერა, თუ რა უნდა ეთქმევინებინა ზვიადის მისამართით პრეზიდენტ ბუშისთვის. **არ გამოვრიცხავ, შევარდნაძემ ბეიკერს ამ საქმის გაკეთების სანაცვლოდ დიდძალი თანხა, რამდენიმე მილიონი დოლარი გადაუხადა!**

**— საიდან მსგავსი აზრი?**

— განა თქვენ არ მოიპოვეთ უნიკალური ცნობები იმის შესახებ, რომ 1991 წლის ოქტომბერში, როცა ზვიად გამსახურდია ჯერ კიდევ თბილისში იჯდა და მთელ საქართველოს მართავდა, გერმანიის ერთ პატარა ქალაქში ედუარდ შევარდნაძემ გამართა დიდი ბანკეტი, სადაც მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკისა და ბიზნესის გრანდები მოიწვია? ბანკეტი შევარდნაძეს რამდენიმე მილიონი დოლარი დაუჯდა. **ამ ბანკეტზე ედუარდ შევარდნაძე ადღეგრძელეს, როგორც საქართველოს პრეზიდენტი... კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს მოხდა 1991 წლის ოქტომბერში, როცა საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი და მთავრობა ჰყავდა.**

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, როცა შევარდნაძემ მილიონები დახარჯა ბანკეტის გასამართად, რა გასაკვირია, მილიონები მას ჯეიმს ბეიკერისთვისაც ჩაეჯიბა და ეთხოვა — **ოღონდაც პრეზიდენტმა ბუშმა გამსახურდიას შესახებ ასე და ასე თქვას და ეს მილიონები შენზე ალალი იყოსო!** ვფიქრობ, ამის გამორიცხვა დიდი იდიოტიზმი იქნებოდა, რადგან, რასაც დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში ვხედავ, თუ როგორ არიან კორუმპირებული უმაღლესი ჩინოსნები მზად, რათა თავიანთი ბიზნესინტერესების გულისთვის მსოფლიო ომის ქარცეცხლში გახვიონ, მგონი, არაფრის გამორიცხვა შეიძლება!

ტრამპი ღმერთმა დაიფარა და გადარჩა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზვიადი ფიზიკურად ვერ გადარჩა! ზვიადი შეგნებულად წავიდა სიკვდილზე, ის შევარდნაძეს შეაკვდა და შთამომავლობას დაუტოვა იშვიათი გმირობის მაგალითი. ზვიადი დაიღუპა, როგორც ქრისტიანი რაინდი და თავისი სიკვდილით ქართველებს დაგვანახა, თუ ვინ მოვკალით. **თქვენ როგორ წარმოზიდგენიათ ემიგრაციაში წასული, 80 წელს გადაცილებული ზვიად გამსახურდია? ზვიადი ასე ვერ იცხოვრებდა, გამსახურდია შორიდან ვერ უყურებდა, თუ როგორ აქცევდნენ შევარდნაძე და მისი მემკვიდრეები საქართველოს.**

დიდება და უკვდავება ზვიად გამსახურდიას სწორედ საშინელმა წამებამ და სიკვდილმა მოუტანა. შევარდნაძე ადამიანი და ქართველი რომ ყოფილიყო, ზვიად გამსახურდიაზე ხელი არ უნდა აღემართა და არც მისი ხელისუფლების დასამხობად შეეძრა მთელი მსოფლიო, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ედუარდი არ იყო ეთნიკური ქართველი, ის გახლდათ გვარად **სოკოლიდი!**

**— ზვიად გამსახურდიას ბედი საბოლოოდ მაინც ამერიკამ გადაწყვიტა?**

— ცხადია, ზვიადის ბედი ამერიკამ გადაწყვიტა! როგორც კი პრეზიდენტმა ბუშმა თქვა — გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიცურავსო! — ზვიადი უკვე მკვდარი იყო! რუსეთს შავი სამუშაო შეასრულებინეს, თორემ პოლიტიკური გადაწყვეტილება ზვიადის დამხობისა და განადგურების შესახებ შეერთებულმა შტატებმა მიიღო. ამერიკის ნებართვის გარეშე ვერც შევარდნაძე და ვერც რუსეთი ზვიადის დამხობასა და მკვლელობას ვერ გაბედავდნენ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*

## კვირბვინოსნები

**ირინა ბაირამაშვილი**
*მომღერალი*



ჩემი ქმარი მეუბნება — ზედმეტ სახელად **ირინა მრისხანე** ხარო. არის მომენტები, როცა **მრისხანება მიპყრობს.** მრისხანეც ვარ და სულსწრაფიც, ვაიმე, თან **შვიდთვიანი ვარ.**

„თბილისელები“

**თაკო ჩხეიძე**
*სამოდელო სააგენტო „ჯგუ მოდელსის“ დამფუძნებელი*



ჩემს ქმარს რომ ეკითხებიან — **რამდენი შვილი გყავსო, პასუხობს** — თაკო ჩემი პირველი შვილიაო.

„სარკე“

**მარგო რობი**
*ჰოლივუდის მსახიობი*



იღბალი დიდ როლს თამაშობს, რადგან **საჭირო დროს საჭირო ადგილზე უნდა იყო.** წარმატების მისაღწევად ჰოლივუდში დიდი მსხვერპლი უნდა გაიღო.

„სარკე“

## ჟურნალისტის პო(სტ)ზიცია

# ადე, ხელი გაანძრიეთ!



აეგრე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე სოფლი დედაკაცები და ბერიკაცები, აეგრე გააბამდნენ ხოლმე მუსაიფსა, ხან იმ მთისას იტყოდნენ, ხან ამ მთისას, ხან ვის გადასწვდებოდნენ, ხან ვისა, მაგრამ ერთი კი იყო, ეგრე უსაქმურად არც ერთი არ იჯდა — ზოგი ბუმბული ვედრაი მაიდგამდა და საბალიშედ არჩევდა, ზოგი კიდე ხმელი ლობიოთი სავსე „ლახანკაი“ ჩაიდგამდა ფეხებშუა და ჩირჩნიდა. მორჩნებოდნენ თუ არა იმ დღის გეგმა-ვალდებულებასა, კმაყოფილად ჩაილაპარაკებდნენ: **იიიჰ, ითოვლოი, ქააა, ამზამთარ გიმალაიზე, დაფქული გვაქ, მწნილი ჩავდეთ და ლობიოც დავჩირჩნეთო.**

ესენი, სურათზე რო არიან ასახულები, იმათთან შედარებით ყალთაბანდები არიან. **შე კაი დედაკაცო თუ ბერიკაცო, მაინცა ზიხარ, მაინც ერთ ალაგს იფხან, მაინც ენა შემოგიდვია მხარზე, ან ბუმბული გაარჩიე საბალიშედ, ან ლობიო გაჩირჩნე სარჩოდ, ამზამთარ გიმალაიზე რო ჩამოთოვს, ემაგ ხანდაზმული თაღლითის დაპირებები უნდა ჭამოთ?**

1000-ლარიან პენსიას რო გპირდებათ, მართალი გგონიათ? ეგა, ხალხო, ტუალეტში რო შედის, თან უკან იყურება, ემანდ არაფერი გავაყოლოო, რა 1000-ლარიანი პენსია? **აბა, ერთი შედით მაგის ბანკში, თუ ერთი თეთრი გაპატიოთ, თუ ვადას ერთი წუთი გადააცილეთ, ეგრევე 50-ლარიან ჯარიმას აგაკრამთ, თქვენ კიდე სხედხართ და შეჰყურებთ პირდაფჩენილები.**

ან კიდე ისა... 200 ათასი სამუშაო ადგილი უნდა შევქმნა ეგრევეო. შუაში რო ჩაგისვამთ და უსმენთ, **რა 200 ათასი სამუშაო ადგილი უნდა შექმნას მაგან? დიდი-დიდი, ხალხს რო გამოჭყრის სახლებიდან, იქ დასჭირდეთ „პადელნიკებად“,** მაგრამ გატყობთ, იმ ასაკში ხართ, მაგ „სამსახურისკენ“ გული აღარ გაგიწევთ.

ჰოდა, რაკი ჰასაკი აღარ გიწყობთ ხელსა, მე მოგცემთ ერთ კაი რჩევას: **სამი თითი დაინერწყვიანეთ და ბუმბული გაარჩიეთ, ლობიო პირდაპირ გაჩირჩნეთ, ნერწყვი არ უნდა. ამით ორ კურდღელ დაიჭერამთ — ამზამთარ, როცა გიმალაიზე ჩამოთოვს, თავებ კაი ფუმფულა ბალიშებზე დადებთ და ლობიოც გექნებათ მეორე მოსვლამდე.**

თქვენ გგონიათ, ის დედაკაცები და ბერიკაცები სულელები იყვნენ, ყუდროზე რო შრომობდნენ მრავალწახნაგოვნად? როგორც უკვე მოგახსენეთ, იქ მარტო ჭორიკნობა არ მიმდინარეობდა, იქ საქვეყნო საქმეებზეცა მსჯელობდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, ლეონიდ ილიჩი რო წამააწვენდა ხოლმე მაზალო რაღაცას, იმაზეც ხმამაღლა იცინოდნენ. **დემოკრატია მაშინ იყო, თუ იყო, აბა, ეს რა ჩემი ფეხები დემოკრატიაა? ესა, შუაში რო ჩაგისვამთ და იძახის, ევროპიელი ჯეელი გახლავართო, არ დაუჯეროთ, ეგ სინამდვილეში „გეპეის“ კომკავშირის მდივანი იყო და ლენინის თეზისებ იზუთხამდა საგანგებოდ.** მაიცადეთ, თუ ადამიანი გადამკვდარი ბოლშევიკი იყო, ერთი უცებ საიდან გაევროპიელდა? ეგეთი რამეები საერთოდ ხდება? **ჰკითხეთ, მერაბ კოსტავას რო დასდევდი სკამის გადაჭრილი ფეხით, როგო იყო-თქო? ეგრევე წამოხტება და გაქცუნდება.**

ეჰ, კარგი დრო იყო, კარგი!

# გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია!




**რა არასამთავრობოები? საქართველოში ფულის საკეთებელი „ცეხები“ ჰქონიათ გახსნილი!**




როდესაც ორგანიზაციას არც ვებ-გვერდი აქვს, არც პროექტებს ასახელებს, არც დონორს ამჟღავნებს, არც წლიურ ანგარიშს აქვეყნებს, არც მისამართი აქვს მითითებული, ის **ბიძია მიხოს ქოხიც** კი არ არის და რასაკვირველია, წარმოადგენს ქვეყნის ასარევ გამოქვაბულსა და ფულის საკეთებელ დაზგას!

რომელი დონორი გადმორიცხავს აქ მაყუთს, თუ თვითონ ვერ ნახავს ხეირს? თუ თვითონ არ ექნება პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა რაიმე ბინძური ინტერესი?

არცერთი!

**გარდა იმისა, რომ უცხოელ თახსირებს, თავიანთი ჭკუით, ხელში უჭირავთ ქვეყნის მართვის ბერკეტები, გადმორიცხული თანხების დიდი წილი უკანვე მიაქვთ.**

აი, რატომ იყვნენ სააკაშვილის ზეობის ხანაში ხმაჩაწყვეტილები და რატომ აკრიახდნენ ახლა, როცა ბევრი მათი ავკაცობა უნდა გამომჟღავნდეს.

ჰკა მაგ შავი დედლებივით **გაკეთებულებს** მიხოს ცოცარი, რომლითაც ბავშვებს **აკეთებდა,** მაგათ რა **გამოაკეთებს,** ასე რომ, **გასაკეთებელი** ჯერ კიდევ ბევრია!

*გაგრძელება 26-ე გვერდზე*

# მო გელა ნდებით!



მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

დასაწყისი 25-ე გვერდზე

# 27 ოქტომბერს ქეიფობენ...

**გამსხვილდნენ,** ხალხო, **გაიბრიქნენ, შეერთდნენ, შეირწყმნენ,** ერთმანეთში შევიდნენ, ერთობა შექმნეს! არადა, მეგონა, **არ გამსხვილდებოდნენ, არ გაიბრიქებოდნენ, არ შეერთდებოდნენ, არ შეირწყმებოდნენ,** ერთმანეთში არ შევიდოდნენ, ერთობას არ შექმნიდნენ!

თუმცა, ეს მოხდა, საერთო მტერმა გაამსხვილა და გაბრიქა!

**ანა დოლიძემ** — ახლა ჩვენ ნადში მივდივართ გასათოხნადო, ნადიმი 26 ოქტომბერს იქნებაო, სუფრას 27-ში მივუსხდებით და უკეთეს სადღეგრძელოებს ვიტყვითო. **არადა, მახსოვს, ანა დოლიძე ხაზარაძეს მევახშეს ეძახდა, თან დააყოლებდა ხოლმე, ფუი, შენიო.**

**ბუა საბაძემ** — ჩვენ დღეს უნდა ვიყოთ უკეთესები, ვიდრე ვიყავით გუშინ და ხვალ უნდა ვიყოთ უკეთესები, ვიდრე ვართ დღეს, ამაზე დგას ევროპული ცივილიზაციაო. **კიდე ისაო, ბიძინა ივანიშვილმა რუსული სახელმწიფოს შექმნა დაგვიანონსა, სადაც მარტო ერთეულები გამდიდრდებიანო.**

ერთეულებიო!

არ უთქვამს, მათ შორის **მამუკა ხაზარაძე** და **ბადრი ჯაფარიძეო.**

ჰმ... იტყოდა და კაი ჩიტსაც დაიჭერდა ჰაერში.

**ჩიხრია ფიქრაძე** იჯდა გაცისკროვნებული, აშკარად ეტყობოდა, რომ ეგეც მომავლიდამ მოდის.









ისევ შემოუჭირა თავისებურად — სუ სამშობლოზე ილაპარაკა და სუ გულის ფიცარზე ირტყა ფუმფულა მჯიღი. **არა, კი ცხოვრობენ მაგისი მშობლები რუსეთში, მაგრამ მაინც ვერ იტანს მაგ ცივ ქვეყანას, მაინც ევროპა ურჩევნია. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასეა საჭირო.**

ყველა-ყველა, მაგრამ ამ კისერგასიებულ მომღერალ **უშიკიშვილს** იქ რა უნდა, ვითომ ნაცი არ არი? ვითომ ხაზარაძე ნაცებს ვერ იტანს?

მოკლედ, 27 ოქტომბერს ქეიფობენ... რავი, იძახიან — **ვიმარჯვებთ, მამუკას პრემიერ-მინისტრად ვნიშნავთ, ბადრის — ფინანსთა მინისტრად და ეგრევე ვქეიფობთო.**

მე კიდე მოუთმენლად ველოდები ამათ დამჟავებულ სახეებს!

**ანიკო ნაცვლიშვილმა**

## გასაოცრებელი საქართველოდან





**ჭუტლექსაანების** მიერ მოპოვებული „იმფორმაციის" თანახმად, რუსებმა ოკუპაციის კანონი დაარღვიეს, შეკვეთილში გადმოვიდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას რუსულ ენას ასწავლიან. ამ პროვოკაციულ საქმეს, არც მეტი, არც ნაკლები, პირადად **ევგენი პრიმაკოვი** ხელმძღვანელობს!

არ არის ჭუტლექსაანების მიერ მოპოვებული „იმფორმაცია" სრულყოფილი, არა, მაინც ვერ მუშაობს შავნოდარას „კამანდა" ხეირიანად!

შეკვეთილში რუსული ენის შესწავლას ხელმძღვანელობს არა მხოლოდ ევგენი პრიმაკოვი, არამედ მთელი პოლიტბიურო იქ არი ჩასული — **ლეონიდ ბრეჟნევი, ვიქტორ გრიშინი, ვლადიმირ შჩერბიცკი, მიხაილ სუსლოვი, ჰეიდარ ალიევი, დიმიტრი უსტინოვი** და სხვები. აღარაფერს ვამბობ **გორბაჩოვზე, ჩერნენკოსა** და **კირილენკოზე.**

☺

**თქვე ოხრებო!**

კაი, გასაგებია, არაფერი წაგიკითხავთ, არაფერი გაგიგიათ, აქ არ ხართ, კოლბაში გამოგიყვანეს და აზრზე ვერ მოსულხართ, მაგრამ თქვენ უმფროს **ავთო (ჭუტა) წერეთელს** მაინც ჰკითხეთ, ეგა და პრიმაკოვი ერთ წელიწადს არიან დაბადებულები! **შეიძლება არც ჭუტამ იცოდეს ბევრი რამე, მაგრამ ის მაინც ეცოდინება, რომ პრიმაკოვმა კაი ხნის წინათ წაიღო წერილი საიქიოში.**







დასაწყისი იხ. „ა-დ". 2024 წლის №29-30

# რა უნდა

*აკადემიკოს პავლე ინგოროყვას განმარტებით, „მე-12-მე-13 საუკუნეთა საქართველოს, რომელიც მთელ კავკასიას მოიცავდა, ეწოდება „აფხაზეთი", „ქუეყანა აფხაზეთისა". აფხაზეთი, როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი ტერმინი ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება. ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც განსაზღვრება — „მეფე აფხაზთა" მთელი დასავლეთ საქართველოს, ანუ „იმერეთის" აღმნიშვნელია, ხოლო „მეფე ქართველთა" — ქართლელების მეფეს ნიშნავს.*

ნათქვამია, დიდი ადამიანები დიდ შეცდომებს უშვებენო და სწორედ ასე დაემართა აკადემიკოს **სიმონ ჯანაშიასაც!** 1948 წელს მისი რედაქციით გამოცემულ საქართველოს ისტორიის იმ უნიკალურ სახელმძღვანელოში, რომელსაც თავის დროზე სტალინური პრემია მიანიჭეს, ხოლო მოგვიანებით **ნიკიტა ხრუშჩოვმა** და მისმა ანტიქართულმა ხროვამ ცეკას საგანგებო ცირკულარით აკრძალეს, შავით თეთრზე წერია, რომ **თითქოს მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში აბაზგების მთავარმა ლეონ მეორემ, რომლის წინაპრებიც მე-6 საუკუნის დამდეგიდან ეგრისის სამეფოდან გამოყოფილი იყვნენ და მხოლოდ ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდნენ, დაიპყრო მთელი დასავლეთ საქართველო, ვიდრე ლიხის მთამდე.** ცხადია, სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ **ლეონმა „აფხაზეთის მეფის" ტიტული** მიიღო და თავისი სამეფოს დედაქალაქად ქუთაისი აირჩია!

მოკლედ, დიდმა ქართველმა ისტორიკოსებმა საქართველოს დასაკლავი დანა თავიანთი ხელით გამოჩხრიკეს და კრემლის მიერ ყურით მოთრეულ **ხალხთა მეგობრობის** ცრუქაქუნა იდეებს აყოლილებმა, იმისათვის, რათა ვიღაცებისთვის ესიამოვნებინათ, აფსუებს ძვალი მიუგდეს — **მთელი დასავლეთ საქართველო თქვენ იყავით, აბაზგმა ლეონ მეორემ ეგრისის სამეფო დაიპყრო და დედაქალაქად ქუთაისიც მანვე გამოაცხადაო!**

სწორედ ეს გაუკუღმართებული და გაუპატიურებული ისტორია იყო იმის მიზეზი, რომ 1993 წლის 27 სექტემბრის მერე, როცა სოხუმი დაეცა, ქართველების სისხლით გალეშილი **ვლადისლავ არძინბა და მისი კბილებდაკრეჭილი ხროვა** ქუთაისისკენ იწევდნენ — აქაოდა, **ლეონ მეორეს** რეზიდენცია და დედაქალაქი სწორედ ქუთაისში იყო და ჩვენც იქ უნდა მოვირთხათ ფეხი, ქუთაისიც უნდა ავიღოთო!

ერთი სიტყვით, **დიდი ქართველი ისტორიკოსების მიერ დაშვებულ საბედისწერო შეცდომას თუ გავყვებით, რომელიც 1948 წელს გამოშვებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში დაიბეჭდა, მაშინ გამოდის, რომ მე-8 საუკუნის შუახანებში მთელი დასავლეთ საქართველო დაუპყრიათ არაქართველ აბაზგებსა და მათ მთავარს, მაგრამ მათ დასავლეთ საქართველოს ავტოქტონ მოსახლეობაზე — ქართებზე, მეგრელებზე, ლაზებზე, ჭანებსა და სვანებზე ვერავითარი გავლენა ვერ მოუხდენიათ და როგორც საღვთისმეტყველო, ისე სახელმწიფო ენად ქართული დარჩენილა.**

ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება!

მართალია, მე-11 საუკუნის 60-იან წლებში, კერძოდ 1066 წლის ჰასტინგსის ბრძოლაში, ნორმანდიის ჰერცოგმა **უილიამმა** უკანასკნელი ანგლოსაქსი მეფე **ჰაროლდ მეორე** სასტიკად დაამარცხა, მთელი ინგლისი დაიმორჩილა, ინგლისს მცირერიცხოვანი ნორმანების ბატონობა მოახვია თავს და შემდეგ, წლების განმავლობაში, დამპყრობელი ნორმანები დაპყრობილ და დამონებულ ინგლისელებს შეერწყნენ, მაგრამ ამ ფაქტის შესახებ შუა საუკუნეების ევროპის ისტორიის ქრონიკები ერთხმად ღაღადებენ.

**ზუსტად იგივე განმეორდა მონღოლების მიერ ჩინეთის დაპყრობის დროსაც, როცა ჩინგიზ-ხანის შვილიშვილმა ყუბილაი-ყაენმა 1280 წელს მთელი ჩინეთის ძირითადი ნაწილი დაიპყრო და საფუძველი ჩაუყარა იუანის მონღოლურ დინასტიას, რომელიც ქვეყანას 1368 წლამდე მართავდა.** მართალია, მონღოლები ჩინელებს, ბოლოს და ბოლოს, შეერწყნენ, მაგრამ, სანამ ხელისუფლებაში იყვნენ, ქვეყანაში ტერორისტული რეჟიმი დაამყარეს. ჩინელ მამაკაცს მონღოლები თავგადაპარსულ სიარულს აიძულებდნენ, რათა გრძელ თმებში იარაღი არ დაემალათ და მონღოლი მოხელეებისთვის სასიკვდილო საფრთხე არ შეექმნათ...

მსგავსი რამ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს მომხდარა.

**არც ქართულ, არც არაბულ, არც ბიზანტიურ და არც სომხურ წყაროებში არსად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მე-8 საუკუნის შუახანებში მეგრელები, ქართები, ლაზები, ჭანები და სვანები ვინმე უცხო ძალამ, არაქართველმა, არაქართულ ენაზე მოლაპარაკემ, ამ შემთხვევაში აბაზგიის მთავარმა ლეონ მეორემ დაიპყრო და დაიმონა.**

უფრო მეტიც, **თუ იმ ლოგიკას გავყვებით, რომ ერთმა მუჭა აბაზგებმა მთელი დასავლეთ საქართველო დაიპყრეს, მაშინ ავტომატურად ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ მათ მოახერხეს და ზემოხსენებული ქართული ტომების გარდა ასევე დაიმორჩილეს მურვან-ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში გადმოხვეწილი და დაფუძნებული ქართლელებიც, რომლებიც აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრების თანახმად, დღევანდელი იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე განსახლდნენ.**

ძალიან საეჭვოა, მთელი დასავლეთ საქართველოს დაპყრობის პოტენციალი ერთი მუჭა





**დიდმა ქართველმა ისტორიკოსებმა საქართველოს დასაკლავი დანა თავიანთი ხელით გამოჩხრიკეს!**

# იცოდეს ქართველმა აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?




აბაზგიის მთავარ **ლეონ მეორეს** ჰქონოდა. ისიც საეჭვოა, აღნიშნულის შესახებ არაფერი ეთქვა და ქართველების დაპყრობა-დამონების ფაქტი დაემალა „ქართლის ცხოვრებას“, რომელიც ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი უცხო ძალისა და მითუფრო მოძალადის გამოჩენაზე ყოველთვის ადეკვატურად და დროულად რეაგირებს... **აბაზგები და მათი მთავარი ლეონ მეორე** რომ ქართველებისთვის უცხონი და დამპყრობლები ყოფილიყვნენ, ქართულ ხალხურ სიმღერაში, ფოლკლორში, რომელიმე ქართულ ზღაპარსა და მითში ამის შესახებ მინიშნება მაინც იქნებოდა. **„ქართლის ცხოვრება“ ქართველთა დიად გამარჯვებებთან ერთად ჩვენს სამარცხვინო წარუმატებლობებსაც იტევს, მაგრამ არცერთ ქართველ ისტორიკოსს — ანონიმსა თუ ცნობილს, არ დაუწერია და არსად უთქვამს, რომ მე-8 საუკუნის შუახანებში ქართველები აბაზგებმა და მათმა მთავარმა დაიპყრესო!** სხვა თუ არაფერი, ქართულმა ხალხურმა პოეზიამ „ყივჩაღის ლექსი“ შემოგვინახა, რომელშიც **დავით აღმაშენებლის** მიერ 1118 წელს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში 40 ათასი ყივჩაღი ოჯახის ჩამოსახლებისა და ამ ჩამოსახლებასთან დაკავშირებული გართულებების ისტორია ბრწყინვალედ არის გადმოცემული, მაგრამ ლექსი მოძალადე „აბაზგზე“ არ არსებობს...

**ლეონ მეორე** არაქართველი რომ ყოფილიყო, ხოლო **აფშილები, აბაზგები, სანიგები და მისიმიანელები** — დღევანდელი აფხაზეთისა და კიდევ უფრო ჩრდილოეთ ტერიტორიების ისტორიული მკვიდრნი — არაქართული ტომები, მაშინ **სოხუმს, ქუთაისს, სურიონს, ვარდციხე-როდოპოლისს, ფაზისს, გიენოსს, პიტიუნტს, გონიო-აფსაროსსა და დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ქალაქებს „აქუას“** იმაზე 900 წლით ადრე დაარქმევდნენ, ვიდრე ამას მე-17 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული აფსუები იზამდნენ. ამიტომ ყოველმხრივ მისაღები და გამართლებულია აკადემიკოს **პავლე ინგოროყვას** მოსაზრება იმის შესახებ, რომ **აფშილებიც, აბაზგებიც, სანიგებიც და მისიმიანელებიც** ქართული ტომები იყვნენ, რომლებიც დანარჩენ ქართველებთან ერთად ბიზანტიელებს აუჯანყდნენ და მე-8 საუკუნის შუა წლებში **ლეონ მეორის** მეთაურობით მონობის უღელი გადაიგდეს!

> **ვინც სამეგრელოსა და მეგრელებს ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში არ მოიაზრებს და ამტკიცებს, რომ მეგრელები ქართველები არ არიან, ხოლო სამეგრელო საქართველო არ არის, ის ჩვენი დაუძინებელი მტერია და უნდა განადგურდეს!**

**ლეონ მეორე აფხაზთა მეფე იყო ქართველი, დედით ხაზართა ხაკანის შვილიშვილი, რომელმაც სწორედ ხაზარების დახმარებით ასროლინა კუდით ქვა ბიზანტიელებს.** ლეონმა ბერძნები დასავლეთ საქართველოდან განდევნა და გაბატონებული ბერძნული ენა ჩაანაცვლა არა ქართველთა სისხლით გამძღარი **არძინბას** ან **სომეხ ბაგრამიანელთა** ლიდერის ქართველთა მკვლელ **ბალუსტ ტრაპიზონიანის** მშობლიური ენით, არამედ ქართულით. დიდი ალბათობით, სწორედ **ლეონ მეორის** სახელს უნდა უკავშირდებოდეს აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნა ცენტრით ბიჭვინთაში, რომელმაც მე-16 საუკუნეში, თურქების მოძალების გამო, **ევდემონ ჩხეტიძის** კათალიკოსობის ჟამს, გელათში გადმოინაცვლა.

აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნით დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ბიზანტიელთა კლანჭებისგან გათავისუფლდა. ამიერიდან კონსტანტინოპოლს დაქვემდებარებული ლაზეთის სამიტროპოლიტო აფხაზეთის საკათალიკოსომ შეცვალა, რომელიც თავს **„ანდრია პირველწოდებულის ეკლესიას“** უწოდებდა. აფხაზეთის კათალიკოსები მეტყველებდნენ ქართულად, წირავდნენ და ღმერთს ადიდებდნენ ქართულად და მოქმედებდნენ და იღვწოდნენ საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

**აფსუათა ენაზე, რომელსაც ქართველებმა რატომღაც „აფხაზური“ დავარქვით, ჩვენ არ მოგვეპოვება არცერთი ფაქტი იმისა, რასაც ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ დაღესტანში, ვხვდებით, როცა ქართული ასომთავრულით ადგილობრივ ენაზე დაწერილია ღმრთისადმი სადიდებელი ტექსტი.** აფსუების ენაზე ქართული ანბანით შექმნილი ასეთი ტექსტი შუა საუკუნეებში არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ხალხი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არც ცხოვრობდა; ისინი საქართველოში მხოლოდ მაშინ ჩამოსახლდნენ, როცა მე-17 საუკუნეში მთელი დასავლეთ საქართველო ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა.




სოხუმის მახლობლად, 5 კილომეტრში, ბესლეთის ხიდზე, რომელიც მე-11 საუკუნეშია აგებული, მხოლოდ ქართული ასომთავრული წარწერა იკითხება — **„ქრისტე, მეუფეო ყოველთა... ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატი!“**

მეცნიერები დღემდე ბჭობენ, რომელი **ბაგრატია** ეს — ერთიანი საქართველოს პირველი მეფე **ბაგრატ მესამე,** თუ მისი შვილიშვილი — **ბაგრატ მეოთხე** — დავით აღმაშენებლის პაპა, რომლის დროსაც, 1057 წელს დიდმა **გიორგი მთაწმინდელმა** ბიზანტიაში ანტიოქიის **პატრიარქ თეოდოსი მესამის** წინაშე მტკიცედ დაიცვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ცბიერ და გულღრძო ბიზანტიელებს იქით შეუტია — მცხეთის ტახტი კი არ უნდა ექვემდებარებოდეს კონსტანტინოპოლს, პირიქით, კონსტანტინოპოლის პატრიარქი უნდა ემორჩილებოდეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქსო!

იმდენად მგზნებარე და არგუმენტირებული იყო **გიორგი მთაწმინდელის** სიტყვა, **პატრიარქმა თეოდოსიმ** კრება სასწრაფოდ დახურა და ბერძენი სასულიერო პირებით გადაჭედილ დარბაზს ღიმილით მიმართა — შეხედეთ ბერსა ამასა, თქვენი სარწმუნოება და ქვეყანა სწორედ ასე უნდა დაიცვათო!

დაბოლოს, უკანასკნელ ხანს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოქსფორდის მიკრობიოლოგიისა და ევოლუციის საზოგადოების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ამავე საზოგადოების ლაბორატორიაში დამუშავებული ქართველთა ერთი ჯგუფის, კერძოდ, სამეგრელოს მოსახლეობის, **დნმ**-ის ანალიზის შედეგები. ანალოგიური ნიმუშები ადრე აღებული იყო სვანებისგან, კახელებისგან, ქართლელებისგან, იმერლებისგან, რაჭველებისგან, აჭარლებისგან, ლეჩხუმელებისგან და ა.შ. **კვლევამ დაადგინა, რომ ყველა ამ ხალხს აქვს ერთი და იგივე ჰაპლო-ჯგუფი, ანუ ჩვენ ვართ ერთი ხალხი, ერთი სისხლი და ხორცი, ერთი ერი, რომელიც ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, მინიმუმ, ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მაინც ცხოვრობს.**

სამეგრელოში ჩატარებული კვლევა იმით არის საინტერესო, რომ ბრიტანელმა მეცნიერებმა ქართველი ეთნოგრაფების დახმარებით სამეგრელოს ოცდაათზე მეტ სოფელში 485 ქალისა და მამაკაცისაგან აიღეს **დნმ**-ის ნიმუშები და ოქსფორდის უნივერსიტეტში გაგზავნეს. კვლევამ დაადასტურა, რომ მეგრელები დღევანდელი სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, სულ მცირე, ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მაინც ცხოვრობენ, რადგან გამოკვლეულთა **დნმ** 100-პროცენტიანი სიზუსტით დაემთხვა სამეგრელოსა და აფხაზეთში ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამარხებში ნაპოვნი ადამიანების ნაშთების **დნმ**-ს.

ასე რომ, **მავანთა ნაბოდვარი იმის შესახებ, თითქოს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან მხოლოდ აფსუები ცხოვრობდნენ, რომლებიც მერე ქართულმა ტომებმა, კერძოდ, კოლხებმა შეავიწროვეს, ბრიტანელმა გენეტიკოსებმა გააცამტვერეს!**

ოქსფორდელების კვლევა იმით არის საინტერესო, რომ ის არათუ სამეგრელოს, არამედ დღევანდელი აფხაზეთის უძველეს მკვიდრ მოსახლეობად სწორედ ერთ-ერთ უძველეს ქართულ ტომს — **მეგრელებს** ასახელებს!

აქედან გამომდინარე, **ვინც სამეგრელოსა და მეგრელებს ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში არ მოიაზრებს და „ამტკიცებს“, რომ მეგრელები ქართველები არ არიან, ხოლო სამეგრელო საქართველო არ არის, ის ჩვენი დაუძინებელი მტერია და უნდა განადგურდეს!**

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

> **ნათქვამია — დიდი ადამიანები დიდ შეცდომებს უშვებენო და სწორედ ასე დაემართა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასაც!**



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი-ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# «ბუტეიკოს მეთოდით»

## არამარტო ასთმური შეტევის, არამედ უძილობის, ხვრინვის, სტრესისა და აპნოეს მკურნალობაც შეიძლება!



კონსტანტინე
ბუტეიკო

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ვერაგი სენის — ასთმისა და მისი გართულებების შესახებ გვესაუბრება და იმ მეთოდის ეფექტურობაზე გვაცნობს, რომლის გამოყენებითაც ასთმური შეტევის დროს სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფის გადარჩენაა შესაძლებელი:***

— ასთმა ვერაგი დაავადებაა, რომლის გამოც ყოველწლიურად დაახლოებით 400 ათასი ადამიანი იღუპება. განსაკუთრებით საგანგაშოა ის სტატისტიკა, რომ ამ უაღრესად საშიში სენის რეციდივები მატულობს ორიდან ცამეტ წლამდე ბავშვებში.

**— მაინც რა არის ასთმის შემთხვევათა ზრდის მიზეზი და საერთოდ, საიდან და როგორ ჩნდება ეს დაავადება?**

— დღეს, როცა გარემო ათასგვარი მავნე ნივთიერებით არის დაბინძურებული და, ძირითადად, ტყვიის შემცველ ჰაერს ვსუნთქავთ, ფილტვებში დიდი რაოდენობით გროვდება შლამები და ტოქსინები. ეს შხამები იწვევს ფილტვის ფუნქციების დარღვევას, ბრონქოსპაზმს, რომელიც ბრონქული ასთმის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. გარდა ამისა,

### ბავშვებში ასთმით დაავადებულთა მატებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დღეს დედები შვილებს უმეტეს შემთხვევაში საკეისრო კვეთით აჩენენ.

ამ გზით დაბადებული ბავშვების იმუნიტეტი, როგორც წესი, სუსტია, რადგან სასარგებლო ბაქტერიებთან შეხება დაბადებისთანავე არა აქვთ. ამასთანავე სოფელში დაბადებულ და გაზრდილ ბავშვებში ასთმის რისკი მინიმალურია. ეს გამოწვეულია არამხოლოდ იმით, რომ ქალაქთან შედარებით სუფთა ჰაერია, არამედ იმითაც, რომ **სოფლელ ბავშვებს თავიდანვე მჭიდრო კავშირი აქვთ შინაურ ცხოველებთან თუ ფრინველებთან.** ამ კონტაქტის შედეგად მათი იმუნიტეტი ვარჯიშდება და ასთმური შეტევებისადმი მდგრადი ხდება. როგორც წესი, ასთმა უმრავლეს შემთხვევაში ალერგიული ბუნებისაა. ბევრი, ვისაც ოჯახში ბავშვი ჰყავს, კატისა და ძაღლის ყოლას ერიდება იმ მოტივით, რომ ცხოველის ბეწვზე შესაძლოა, მგრძნობიარე აღმოჩნდეს და განუვითარდეს სხვადასხვა ალერგია, მათ შორის, ალერგიული ასთმა. **მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ, როცა ბავშვი პატარაობიდანვე ძაღლთან ან კატასთან ერთად იზრდება, მისი იმუნიტეტი ამ კონტაქტის შედეგად ძლიერდება და ასეთ ბავშვებს უფრო ნაკლებად ვნებენ არამარტო ასთმა, არამედ სხვადასხვა სახის ალერგიები და ვირუსები.** საერთოდ, ვიცოდეთ, რომ აბსოლუტურად სტერილური გარემო ბავშვის ჯანმრთელობისთვის უარესია.

**— მაინც რა ძირითადი ნიშნები ახასიათებს ასთმას და როდის მწვავდება ეს საშიში დაავადება?**

— ასთმა ფილტვის ქრონიკული ანთებითი დაავადებაა. იგი ბერძნული სიტყვაა და ქართულად **მძიმედ სუნთქვას** ნიშნავს. ასთმის ძირითადი ნიშნებია მსტვინავი სუნთქვა, ქოშინი, გულ-მკერდის არეში მოჭერილობის შეგრძნება და სპაზმური ხველა. ასთმით დაავადებული ადამიანის სუნთქვა გახშირებულია. **თუ ჯანმრთელი ადამიანი ერთი წუთის განმავლობაში ჰაერს ათ-თორმეტჯერ ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს, ასთმიანი ამას წუთში თხუთმეტ-ოცჯერ მაინც აკეთებს.** შესაბამისად, თუ ჯანმრთელი ადამიანი ერთ ჯერზე ნახევარ ლიტრ ჰაერს ჩაისუნთქავს, ასთმიანი ორჯერ მეტ ჰაერს მოიხმარს. ამრიგად, თუ ჩვეულებრივი ადამიანი ერთ წუთში 5-6 ლიტრ ჰაერს ჩაისუნთქავს, ასთმიანს იმავე დროში დაახლოებით 15-20 ლიტრი ჰაერი სჭირდება. სწორედ ამიტომაა, რომ ასთმური შეტევის დროს ყველა ცდილობს, ავადმყოფს რაც შეიძლება მეტი ჰაერი მიაწოდოს. მაგრამ ამ დაავადების ვერაგობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ დროს ასთმიანი ავადმყოფისათვის ზედმეტი ჰაერის მიწოდება უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო!



**— რატომ?**

— როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასთმიანი ავადმყოფი ჯანმრთელ ადამიანთან შედარებით გაცილებით მეტ ჟანგბადს ღებულობს. ამის მიუხედავად, ასთმიანის მდგომარეობა მაინც კრიტიკულია და უჟანგბადობისგან იხრჩობა. რა არის ამის მიზეზი? მეცნიერულად ამ საშიშ პროცესს ასეთი ახსნა აქვს: **გახშირებული სუნთქვის დროს ფილტვებში მეტი ჰაერი და შესაბამისად, მეტი ჟანგბადი ხვდება, მაგრამ ასეთი სუნთქვისას ნახშირორჟანგის კონცენტრაცია ორგანიზმში ეცემა. ნახშირორჟანგის გარეშე კი ჟანგბადი ვერანაირად ვერ აითვისება.** ამდენად,

### ასთმიან ადამიანს ნახშირორჟანგით მდიდარი ჰაერი უფრო სჭირდება, ვიდრე ჟანგბადით!

ასთმური შეტევის დროს ყოველთვის ბრონქების სპაზმის ფაქტის წინაშე ვდგავართ. რაც უფრო მცირეა ნახშირორჟანგი, მით უფრო ძლიერია სპაზმი. ნახშირორჟანგი ბრონქებს ადუნებს და სპაზმს ხსნის... მსგავსი მოვლენა ვითარდება ნერვული სტერსის დროს, როცა ადამიანი გახშირებულ სუნთქვას იწყებს და ჰაერის უკმარისობით იტანჯება. იგივე სურათი გვაქვს პანიკური შეტევის დროსაც.

**— სად არის გამოსავალი და როგორ უნდა ვუშველოთ ავადმყოფს, როცა არავითარი წამალი ხელთ არ გვაქვს, არც ექიმია სადმე და ადამიანი ასთმური შეტევისა და სპაზმის გამო იხრჩობა?**

— პირველ რიგში, ავადმყოფი უნდა დავამშვიდოთ, მერე დავსვათ სკამზე ან მოხერხებულ ადგილზე, შევუხსნათ საკინძე, მოვუშვათ ქამარი და ვთხოვოთ, ყოველგვარი პანიკის გარეშე, დაახლოებით 4-5 წამის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ცხვირით ნელ-ნელა ჩაისუნთქოს ჰაერი. **ავადმყოფმა ჩასუნთქული ჰაერი ფილტვებში ასევე 4-5 წამის განმავლობაში უნდა გააჩეროს და მერე ისევ ნელა, 4-5 წამის განმავლობაში ამოუშვას.** ეს პროცედურა უნდა განმეორდეს, ვიდრე ავადმყოფი თავს უკეთ არ იგრძნობს. უკეთესობა კი აუცილებლად იქნება, რადგან მსგავსი მეთოდის გამოყენების შედეგად ორგანიზმში ნახშირორჟანგის კონცენტრაცია გაიზრდება, რის გამოც სპაზმური მოვლენები მოიხსნება და ჟანგბადი შეუფერხებლად მიეწოდება თითოეულ უჯრედს. **აუცილებელია, რომ ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა მუცლის პრესის მეშვეობით მოხდეს, ანუ გულ-მკერდით კი არა, მუცლით უნდა ვისუნთქოთ.** ამ მეთოდს დიაფრაგმალური სუნთქვა ეწოდება, რომლის გასაკონტროლებლად ერთი ხელი გულ-მკერდზე უნდა დავიდოთ, ხოლო მეორე — მუცელზე — იქ, სადაც ნეკნები მთავრდება. გულ-მკერდზე დადებული ხელი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის დროს უძრავად უნდა იყოს, ხოლო მუცელზე დადებული ხელი სუნთქვის რიტმს უნდა მიყვებოდეს და მოძრაობდეს. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ დიაფრაგმას, რომელიც გულ-მკერდის ღრუს მუცლის ღრუსგან ჰყოფს, აინერვირებს ცდომილი ნერვი, რომელიც ამ დროს აქტიურდება. ცდომილი ნერვის გააქტიურების შედეგად სპაზმი იხსნება და ადამიანი მშვიდდება. მეთოდს, რომელიც აღვწერეთ, **„ბუტეიკოს მეთოდი“** ეწოდება. იგი **კონსტანტინე ბუტეიკომ** ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში შეიმუშავა და თუმცა, ამ მეთოდს ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, დღეს მთელ მსოფლიოშია აღიარებული, როგორც უებარი საშუალება ასთმური შეტევის დასაძლევად.

**— „ბუტეიკოს მეთოდი“ მხოლოდ ასთმური შეტევის დროს გამოიყენება?**

— „ბუტეიკოს მეთოდით“ არამარტო ასთმური შეტევის, არამედ უძილობის, პოლინოზის, ხვრინვის, სტრესისა და აპნოეს, ანუ ძილში სუნთქვის შეჩერების მკურნალობაც შეიძლება. ყველა ამ პროცესის დროს ორგანიზმში ნახშირორჟანგის კონცენტრაცია ნაკლებია და უჯრედის მიერ ჟანგბადის ათვისება ფერხდება. ეს მეთოდი ძალიან კარგია გულით დაავადებულთათვისაც, რადგან ასეთ დროს გულის კუნთში ჟანგბადის მიწოდება იზრდება.

აქვე მინდა შევეხო ერთ მავნებლობას, რომელსაც ჩვენს ბავშვობაში ფიზკულტურის გაკვეთილებზე ჰქონდა ადგილი. ალბათ, ყველას გვახსოვს, ფიზკულტურის მასწავლებლები მწკრივში დაყენებისას ხელებს მაღლა რომ გვაწევინებდნენ და გვიბრძანებდნენ, რამდენჯერმე ღრმად ჩაგვესუნთქა და ამოგვესუნთქა. ამით თითქოს ორგანიზმს მეტი ჟანგბადი მიეწოდებოდა, არადა, სინამდვილეში პირიქით ხდებოდა და არცთუ იშვიათად იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთ ბავშვს ვარჯიშის დროს ან მისი დამთავრების შემდეგ თავბრუ ეხვეოდა ან გული უწუხდებოდა.

ამ საშიშ მეთოდს ზოგიერთი დღესაც მიმართავს მაშინ, როცა ჯანმრთელობის საწინადარი სუფთა ჰაერის ნელი ჩასუნთქვა და ნელი ამოსუნთქვაა. უფრო მეტიც,

### სტრესის დროს, როცა სუნთქვა გახშირებულია, ძალიან კარგს ვიზამთ, თუ ე.წ. ცელოფნის პარკის გამოყენებით ვისუნთქებთ!

ასეთ დროს ჩვენ ნახშირორჟანგით გაჯერებულ ჰაერს მივიღებთ და რაც გინდა პარადოქსად მოგვეჩვენოს, სუნთქვა გაგვიადვილდება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ, როცა ბავშვი პატარაობიდანვე ძაღლთან ან კატასთან ერთად იზრდება, მისი იმუნიტეტი ამ კონტაქტის შედეგად ძლიერდება და ასეთ ბავშვებს უფრო ნაკლებად ვნებენ არამარტო ასთმა, არამედ სხვადასხვა სახის ალერგიები და ვირუსები!“**

# ზურაბ ქუმსიაშვილი:

# პომიდვრის შეძენისას ნიმუში აუცილებლად უნდა გავჭრათ შუაზე და ყურადღებით დავათვალიეროთ!

***პომიდორი საქართველოს ყველა კუთხეში პოპულარული საკვები პროდუქტია, რომელსაც სარგებლის გარდა ზიანის მოტანაც შეუძლია. რა სახით ჯობს პომიდორის მირთმევა, რატომ უნდა ვერიდოთ კანიანად ჭამას და შეძენის დროს რა მახასიათებლებს მივაქციოთ ყურადღება? ვესაუბრებით ექიმს, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორ ზურაბ ქუმსიაშვილს:***



— პომიდვრის სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. ის მე-16 საუკუნეში შემოვიდა ევროპაში და დიდი ხნის მანძილზე დეკორატიულ მცენარედ ითვლებოდა. პირველი წერილობითი ინფორმაცია პომიდორზე ჩნდება 1544 წელს, ხოლო პომიდვრისგან დამზადებული კერძის ყველაზე ადრეული რეცეპტი 1692 წლით თარიღდება. მსოფლიოში პომიდვრის 7500-მდე ჯიში არსებობს, რომლებიც ერთმანეთისგან ფერით, ფორმით, გემოვნური თვისებებით, არომატით, მიკროელემენტებისა და ვიტამინების შემცველობით განსხვავდებიან.

**ბოტანიკოსები თვლიან, რომ პომიდორი ხილია, კულინარების აზრით კი ბოსტნეულია.** არსებობს წითელი, ყვითელი, შავი, შედარებით მრგვალი და მოგრძო პომიდვრები. საქართველოში ყველაზე პოპულარული ჭოპორტული ჯიშის პომიდორი იყო, მაგრამ ბოლო წლებში უცხოეთიდან იმპორტირებულმა ჰიბრიდულმა და გენმოდიფიცირებულმა ჯიშებმა მოახდინა ადგილობრივი სახეობების თითქმის 100 პროცენტით შემცირება.

საქართველოს ბაზარი ადგილობრივი პომიდვრით ძირითადად მარნეულისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებიდან მარაგდება, თუმცა, ეს ხდება მხოლოდ მაისიდან ნოემბრამდე. დანარჩენი 6 თვის განმავლობაში საქართველოს ბაზარი იმპორტირებულ პომიდორს აქვს დაპყრობილი.

**— რა უპირატესობა აქვს უცხოეთიდან შემოტანილ პომიდორს?**

— გენმოდიფიცირებული და ჰიბრიდული ჯიშები ადვილად უძლებენ მკაცრ გარემო პირობებს, არიან უხვმოსავლიანი და გამოირჩევიან ვიზუალური ეფექტით. ჭოპორტის ჯიშის პომიდორი, ე.წ. **ჭოპორტულა** ყველაზე ცნობადი და მოთხოვნადია საქართველოში. ხასიათდება განსაკუთრებული გემოვნური თვისებებითა და არომატით. ამ ჯიშის შენარჩუნებისთვის ჭოპორტელი ფერმერები განსაკუთრებით ზრუნავდნენ, მაგრამ ჰიბრიდულმა და გენმოდიფიცირებულმა ჯიშებმა ბაზრიდან პრაქტიკულად გააქრო.

**— რა სარგებლობა მოაქვს პომიდორს?**

— პომიდორი შეიცავს 85-96 პროცენტ წყალს და 3,5-10,5 პროცენტ მშრალ ნივთიერებებს, რომელთა შორის არის ცილები (0,75-0,95 პროცენტი), ნახშირწყლები (1,7-6,4 პროცენტი), C ვიტამინი (15-40 მგ) და კალიუმი (316 მგ-მდე). ეს პროდუქტი ვიტამინების ნამდვილი საბადოა, შეიცავს: A, B1, B2, B6, B9, C, E, K, PP ვიტამინებს და ბეტა კაროტინს, ვაშლის, ლიმონისა და ღვინის ორგანულ მჟავებს. თანაც, დაბალკალორიულია — 100 გრამი — 23 კკალ.

პომიდორი შეიცავს ანტიოქსიდანტ **ლიკოპინს,** რომლის კონცენტრაცია საგრძნობლად იზრდება, თუ მას თერმულად დავამუშავებთ. ამ თვალსაზრისით ლიკოპინი ბევრია ტომატ-პასტაში ან მოთუშულ პომიდორში, რის გამოც იგი განსაკუთრებით სასარგებლოა ონკოლოგიური პაციენტებისთვის. პომიდორი ასევე სასარგებლოა ადამიანებისთვის, რომლებიც ჭარბი წონით ან დიაბეტით იტანჯებიან, ანუ მათთვის, ვისაც აქვს მოშლილი ნივთიერებათა ცვლის პროცესები. პომიდორი ხელს უწყობს საკვების მონელებას. მეტად მნიშვნელოვანია, რომ პომიდორი ჭარბად შეიცავს B ჯგუფის ვიტამინებს: B1, B2, B3, B6, B9-ს, ასევე ვიტამინ E-ს, რომელიც, თავის მხრივ, ანტიოქსიდანტია, ხოლო ორგანიზმში მისი დეფიციტი სისხლნაკლებობას იწვევს.

E ვიტამინი აადვილებს ქსოვილების რეგენერაციის პროცესს. პომიდორი ადამიანის ხასიათზეც დადებითად მოქმედებს, რადგან შეიცავს ორგანულ ნივთიერება **თირამინს,** რომელიც გარდაიქმნება ნეირომედიატორ **სეროტონინად — ბედნიერების ჰორმონად.** ორგანიზმში პომიდორი ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას. ეს ხდება მასში არსებული **ფლავონოიდების** მეშვეობით, რომლებსაც შეიცავს პომიდვრის თესლების ყვითელი გარსი. ფლავონოიდები — მცენარეული პოლიფენოლებია, რომლებიც ხელს უშლის სისხლის შედედებას და ერითროციტებს ელასტიკურობას მატებს. **მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ პომიდორი ხელს უწყობს მწეველებში ნიკოტინისა და ტოქსინების დაშლას და ფილტვებიდან მათ გამოდევნას.** ის ადამიანები, რომლებიც საკვებ რაციონში გაზრდიან პომიდვრის რაოდენობას, სწრაფად განთავისუფლდებიან არასასიამოვნო შეგრძნებებისგან, რომლებიც მოწევისთვის თავის დანებებას ახლავს. მედიცინაში, რიგ შემთხვევებში, პომიდვრის წვენი სამკურნალოდაც გამოიყენება, რადგან ამცირებს თრომბოზის, ასევე ვარიკოზის რისკებს, ებრძვის ნაწლავის გაუვალობას. პომიდვრით მკურნალობის უამრავი ხალხური რეცეპტი არსებობს. იგი კოსმეტიკაშიც წარმატებით გამოიყენება!



**— ვინ უნდა მოერიდოს პომიდვრით კვებას?**

— პომიდორი არ არის რეკომენდებული ისეთი ადამიანებისთვის, რომლებსაც ამ პროდუქტის მიმართ ალერგია გააჩნიათ. მისი მიღებისაგან თავი უნდა შეიკავონ ართრიტით, პოდაგრით, ნაღველ-კენჭოვანი და თირკმლების დაავადებებით სნეულმა პაციენტებმა. დიდი რაოდენობით პომიდვრის მიღება ნაღვლის ბუშტში არსებული კენჭის გაზრდას გამოიწვევს. არც პომიდვრის მარინადისა და კონსერვების გამოყენებაა რეკომენდებული, რადგან შესაძლოა, გამოიწვიოს კუჭისა და გულის დაავადებები.

**— პომიდვრით კვებას რა თავისებურებები ახასიათებს?**

— ნუ გაიკვირვებთ, მაგრამ **უნდა ერიდოთ პურთან ერთად პომიდვრის მირთმევას. ამ ორი პროდუქტის ჭამა მხოლოდ რამდენიმე საათის ინტერვალით შეიძლება, რადგან საკვების მომნელებელ სისტემაში გამოიყოფა სხვადასხვა კონკრეტული პროდუქტის გადასამუშავებლად განკუთვნილი ნივთიერება და ერთად ამ პროდუქტების მიღებისას მონელება გაძნელდება.** არ შეიძლება აგრეთვე, პომიდვრის მიღება ხორცთან, კვერცხთან და თევზთან კომბინაციაში. ცალ-ცალკე ყველა ამ პროდუქტის მიღების დროს ორგანიზმის საკვების მომნელებელ სისტემაში გამოიყოფა სხვადასხვა ნივთიერებები, რომლებიც კონკრეტული საკვები პროდუქტების გადასამუშავებლად არის განკუთვნილი და მათი ერთობლივად გამოყოფა აუარესებს საკვების მონელების პროცესს. სასურველია, პომიდვრის წვენი საკვების მიღებიდან ერთი საათის შემდეგ დავლიოთ. რადგან კალორიულობა დაბალია, პომიდვრის დიეტა სწრაფად აკარგვინებს ადამიანს ზედმეტ კილოგრამებს, შიმშილის შეგრძნებასაც ადვილად აქრობს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ პომიდვრის მიღება, თანაც, ზომიერი რაოდენობით — მაქსიმუმ, ორი დღის განმავლობაში შეიძლება. ძალიან სასარგებლო იქნება, თუ კვირაში ერთი დღე მხოლოდ პომიდვრის წვენზე გადავვილით, მაგრამ ამისათვის მაღაზიაში ნაყიდი წვენი არ ივარგებს, ის აუცილებლად ნატურალური უნდა იყოს! პომიდვრის შესანახად, რათა მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად მივირთვათ, საუკეთესო მეთოდია გაყინვა. თანაც, უკეთესი იქნება, თუ გავყინავთ კანის გარეშე.

**„უნდა ერიდოთ პურთან ერთად პომიდვრის მირთმევას. ამ ორი პროდუქტის ჭამა მხოლოდ რამდენიმე საათის ინტერვალით შეიძლება!“**

**— სად შევიძინოთ ხარისხიანი პომიდორი და როგორ შევარჩიოთ იგი?**

— უმჯობესია, პომიდორი შევიძინოთ ბაზარში, რადგან სუპერმარკეტებში შესაძლოა, არაქართული ან გენმოდიფიცირებული შემოგვასაღონ. ყველაზე დიდი პრობლემა ის გახლავთ, რომ რაკიღა თურქული პომიდორი გაცილებით იაფია, **ბაზარში მოვაჭრეებიც და სუპერმარკეტების მფლობელებიც, გაყიდვის წინ ქართულ და უცხოურ პროდუქტს ერთმანეთში ურევენ და ამით ნახულობენ მოგებას.** ბაზარში პომიდვრის შეძენისას ნიმუში აუცილებლად უნდა გავჭრათ შუაზე და დავათვალიეროთ. **მასში არ უნდა იყოს თეთრი ფერის ტიხრები ან მწვანე ფერის ბლანტი მასები.** თუ აღნიშნულ სურათს ვხედავთ, ეს მიუთითებს დიდი რაოდენობით შხამქიმიკატების არსებობაზე და პომიდვრის ნაადრევ, ხელოვნურად დამწიფებაზე. ასეთი პომიდორი ჯანმრთელობისთვის საშიშია. ძნელია, განვასხვავოთ ხარისხიანი პომიდორი უხარისხოსგან, მაგრამ უნდა ვერიდოთ თურქულ პროდუქტს, რადგან დიდი რაოდენობით შხამქიმიკატებს შეიცავს. **ხარისხიანი პომიდორი ფორმით არაერთნაირი და შედარებით რბილია. გაჭრისას მასში არ არის თეთრი ტიხრები და მწვანე შიგთავსი. აქვს დამახასიათებელი არომატი, რომელიც საკმაო მანძილზე ვრცელდება.** საქართველოში პომიდვრის მწარმოებლებიც მთლიანად გადავიდნენ უცხოეთიდან შემოტანილი ჰიბრიდული და გენმოდიფიცირებული პროდუქტის მოყვანაზე.



**— გენმოდიფიცირებული პროდუქტის ჩვეულებრივისგან გარჩევა შესაძლებელია?**

— გენმოდიფიცირებული პომიდორი ძალიან მავნებელია, რაც დადასტურებულია თეთრ თაგვებზე ჩატარებული ცდებით. არაგენმოდიფიცირებულისგან მისი გარჩევა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურ ლაბორატორიაში. ცნობილია ფაქტი, რომ ესპანელი **ხუან პედრო რამოსი** გარდაიცვალა პომიდვრის მიღებისგან, რომელშიც იყო თევზის გენი, პაციენტს კი, თურმე, თევზზე ჰქონია ალერგია!

გენმოდიფიცირებული პომიდვრები გამოირჩევა ერთნაირი ფორმებით, არის შედარებით მკვრივი, მათი გაჭრის დროს არ ირღვევა პომიდვრის ფორმები და წვენიც ნაკლებად გამოიყოფა. ასეთი პომიდორი დიდხანს ინახება და არ ეტანება მწერი. თითქმის ყველა მცენარეული საკვების გენმოდიფიცირება გახდა შესაძლებელი, ერთადერთი, რისი გენმოდიფიცირებაც ჯერჯერობით ვერ შეძლეს, წიწიბურა გახლავთ.

**— რა სახით მივირთვათ პომიდორი?**

— **სასურველია, პომიდორი ქერქგაცლილი მივირთვათ, რადგან ქერქს კუჭის წვენი ვერ შლის და შესაძლოა, ანთება ან წყლული გამოიწვიოს.** პომიდვრის ქერქი ასრულებს არასასურველი აპკის როლს, რომელიც კუჭს მჭიდროდ ეკვრის და არღვევს ურთულესი ქიმიური პროცესების ბალანსს. **პომიდორში არსებულ ვიტამინებს ორგანიზმი ადვილად აითვისებს, თუ პომიდორს მივირთმევთ ხარისხიან მცენარეულ ზეთთან ერთად, თერმული დამუშავების გარეშე.** კარგია, თუ პომიდორს მარილს არ მოვაყრით და ცივი გამოწურვის მეთოდით მიღებულ ზეითუნის ზეთს მოვასხამთ. სასარგებლოა ტაფაზე უცხიმოდ მოთუშული პომიდორიც და სახლის პირობებში ბლენდერით მომზადებული პომიდვრის ნატურალური წვენი. **უამრავი ვიტამინისა და მიკროელემენტების შემცველობის გამო პომიდორი განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისთვის.**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***




საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229–56–50
პედიატრიული კლინიკა: 032 223–85–80




# მიხეილ ცაგარელი:
# ზოდიაქოს ნიშნები და სტრესის დაძლევის გზები

*— სტრესისა და ზეწოლის პირობებში მერწყული რატომ იხსნის პასუხისმგებლობას ანდა როგორ იქცევა? იმისათვის, რომ ცხოვრება გაიმარტივოს, რა უნდა ისწავლოს? ზოდიაქოს ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე და ემოციური ნიშნის თევზების წარმომადგენელი სტრესისგან თავის დასაღწევად რას მიმართავს? უფრო მეტად, რას უნდა დაეყრდნოს? განმარტოებისას რა იქნება შესაძლებელი ანდა შემოქმედებითი სამუშაო რაში დაეხმარება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეთ სტრესს ჩვენს საკმაოდ დაძაბულ, რთულ, არასტაბილურ ყოფასა და დროში. ამასთან დაკავშირებით რას ურჩევთ ცვალებადი გუნება-განწყობის, სიახლეებისა და რეფორმების მოყვარულ მერწყულის ნიშნით დაბადებულს?**

— **11. მერწყული გონებამახვილი, გამჭრიახი და თამამია, ამიტომ, როდესაც რაიმეს განიზრახავს, არ შეჩერდება მანამ, სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს.** ის არასოდეს არ ორჭოფობს და საკუთარ მოსაზრებასა და ქმედითუნარიანობაში მუდამ დარწმუნებულია. **მერწყული** თავისი ბუნებით დამოუკიდებელია და უპრობლემოდ იკვალავს ცხოვრებისეულ გზას. უამრავი იდეა აწუხებს და საკმარისი ენერგიაც გააჩნია მათი განხორციელებისათვის, მაგრამ სიტუაცია როგორც კი იძაბება, მაშინვე უკან იხევს და სამუშაო ადგილს ტოვებს, რადგან იგი ზეწოლისა და სტრესის პირობებში სუსტდება, მერყევი ხდება და პასუხისმგებლობას იხსნის. ასეთ დროს შესაძლოა, მან ყველას ზურგი შეაქციოს, სატელეფონო ზარებს არ უპასუხოს, ურთიერთობაზე უარი თქვას და ბუნების წიაღში სასეირნოდ წავიდეს. იმის გამო, რომ ზოდიაქოს **ამ ნიშნის წარმომადგენელი არ არის თანამიმდევრული და ძნელია მისი მოქმედებების წინასწარ გათვლა, არავინ უწყის, შემდეგ წამს რას მოიმოქმედებს.** მის დასაწყნარებლად ზოგჯერ საკმარისია რამდენიმე საათი, ზოგჯერ კი რამდენიმე დღეც. **იმისათვის, რომ მერწყულის ნიშნით დაბადებულმა გაიმარტივოს თავისი ცხოვრება და გვერდი აუაროს სტრესულ სიტუაციებს, საჭიროა, დინებას მიჰყვეს, პრობლემების „გატარება“, გარკვეულწილად, იგნორირება ისწავლოს და არ უნდა ჩათვალოს, რომ დრო მისი მტერია.**

**— იდუმალებით მოსილ, ინტუიციურ, ფანტაზიების მოყვარულ თევზების ნიშნით დაბადებულს რას ურჩევთ, როგორ დაამარცხოს სტრესი ანდა როგორ აირიდოს თავიდან?**

— **12. თევზები ზოდიაქოს ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე, ემოციური, სულიერებისკენ მიმართული და ინტუიციური ნიშანია.** ის გარშემო მყოფების ემოციებს ადვილად შეიგრძნობს, რაც ხშირად მასში განცდებს, დარდასა და დეპრესიულობას იწვევს, თუმცა, მას ასევე ძლიერად აქვს განვითარებული ფანტაზიის უნარი და სტრესისგან თავის დასაღწევად მიმართავს თავისივე გამოგონილ სამყაროს. **სამწუხაროდ, ამ ნიშნის წარმომადგენელი საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს ნაკლებად ენდობა და ითრგუნავს თავს ფარული შიშებითა და კომპლექსებით.** მაშინ, როდესაც აუცილებელია სხვასთან გულახდილი საუბარი და საკუთარი თავის, უნარების, ემოციებისა და სურვილების დაუფარავად წარმოჩენა, ის, უბრალოდ, იმალება და საპასუხო რეაქციას სხვებისგან ელის, რასაც, უმეტესწილად, ვერ იღებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ **თევზები** საკმაოდ კარგად ინარჩუნებენ კონფიდენციალურობას. ამიტომ, როგორც კი სიტუაცია სტრესული ხდება, მაშინვე საკუთარი თავის და ფანტაზიების სამყაროში ექცევა, იკეტება და სტრესისგან გათავისუფლებულ მომავალზე ოცნებობს. ემოციურ თევზებს, ხშირად ასეთ სიტუაციაში ცრემლები სდის და ტირის, მაგრამ ადვილად იხსნის დაძაბულობას ხელოვნების ფართო სპექტრის დახმარებით. **სასურველია, რომ ამ ნიშნის წარმომადგენელი უფრო მეტად დაეყრდნოს საკუთარ თავს, ნიჭს, უნარსა და შესაძლებლობებს.** განმარტოებისას კი შესაძლებელი იქნება საკუთარ გრძნობებში ჩაღრმავება, პირადი პრიორიტეტების დანახვა და ჭეშმარიტი სურვილების გაანალიზება. **შემოქმედებითი სამუშაო მისთვის არამხოლოდ სასარგებლო და მომგებიანი იქნება, არამედ დაეხმარება დაძაბული გარემო პირობების დავიწყებასა და შინაგანი თავისუფლების მოპოვებაში.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 22-28 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
კარგი დროა ახალი საქმიანობის დასაწყებად, მაგრამ მეგობრების დახმარების იმედი ნუ გექნებათ. არ დაარღვიოთ კანონი, რათა არ დაანგრიოთ წლების მანძილზე ნაშენები ურთიერთობები და საქმეები. ემოციების გაკონტროლება საშუალებას მოგცემთ, შეინარჩუნოთ ფინანსური და მატერიალური მდგომარეობა. ოჯახში და საყვარელ ადამიანთან სიტუაციის დაძაბვისას ეცადეთ, ტაქტიანად განმუხტოთ სიტუაცია. მოგზაურობა სასიკეთოა როგორც ჯანმრთელობისთვის, ისე საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებისათვის.

**კურო (21.04-20.05)**
საქმეებში შეფერხებები დაუკავშირდება დაგვიანებებს, შეცდომებსა და გაუგებრობებს. ეს კარგი დროა ძველი საქმეების დასასრულებლად, ადრინდელი ვალებისგან გასათავისუფლებლად, სასწავლებელში აღსადგენად ან მიტოვებული სწავლის გასაგრძელებლად. მოგზაურობისას ყურადღებით იყავით საბუთების, ტვირთისა და ფულის მიმართ. ნუ ენდობით უცნობ ადამიანებს და გაუაზრებლად ნუ გარისკავთ. რომანტიკულ ურთიერთობებს ნუ გააბამთ უცნობებთან.

**ტყუპი (21.05-22.06)**
რთული, მაგრამ შედეგიანი დროა. სიტუაციის გასაკონტროლებლად დაგჭირდებათ მთელი თქვენი ენერგია და შემართება. საკუთარი ძალაუფლების გასაძლიერებლად არაფერს არ შეუშინდებით. ემოციების გაკონტროლებაში დაგეხმარებათ პრაგმატული აზროვნების უნარი. ეს დრო კარგია ხანმოკლე მოგზაურობისთვის, ახალი სასიყვარულო კავშირის დამყარებისთვის. შეიძლება სწრაფად გამოიცვალოთ არამარტო ინტერესები, არამედ საურთიერთო წრეც. ასევე შეიძლება სხვა ქალაქში ან ქვეყანაში გადასვლაზეც დაფიქრდეთ.

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
ზედმეტად თავდაჯერებული ნუ იქნებით, რათა არ დაგეკარგოთ კარიერაში წინსვლის ჟინი. სამსახურში წარმატებებზე იქნება დამოკიდებული თქვენი ფინანსური მდგომარეობა. გაიზრდება მოგზაურობების, კონტაქტების რაოდენობა. გადაუდებელი საქმეები დაუკავშირდება ოჯახს, ახალ შენაძენებს ან რემონტს. პირად ურთიერთობებში გაუგებრობები დროულად გაარკვიეთ. არ დაარღვიოთ კანონი და წესრიგში გქონდეთ საბუთები. მოგზაურობა გადადეთ და ეცადეთ, დაისვენოთ ოჯახის წევრების წრეში.

**ლომი (23.07-23.08)**
გაიზრდება გადაადგილებების და მოგზაურობების რაოდენობა და მეტ დროს გაატარებთ ხალხთან ურთიერთობაში. მეგობრები გიბიძგებენ ახალი პროექტების ხორცშესხმისაკენ. შემოსავალს ჩვეული ხერხით მიიღებთ და შეძლებთ ზოგიერთი სურვილის ასრულებას. შესაძლოა, თქვენს წრეში მდიდარი და გავლენიანი ადამიანები მომრავლდნენ, რაც თქვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას გაააქტიურებს. სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობებში თავშეკავებული იყავით და მოერიდეთ ინტრიგებს.

**ქალწული (24.08-23.09)**
თავდაჯერებული და შრომისუნარიანი იქნებით, მაგრამ იმპულსური მოქმედებები და ავანტიურისტული განწყობა საქმიან, საქორწინო ურთიერთობებში საგრძნობ პრობლემებს შეგიქმნით. ნუ გამოეკიდებით სწრაფ მოგებას და ფული ეკონომიურად ხარჯეთ. შეამცირეთ გადაადგილებებისა და მოგზაურობების რაოდენობა და მეტი ყურადღება დაუთმეთ საკუთარ გარეგნობას. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად გააკონტროლეთ საკვების ვარგისიანობა.

22-28 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
ამაღლებული განწყობა ჩანაფიქრების სწრაფად და უპრობლემოდ განხორციელებაში დაგეხმარებათ. მატერიალური საკითხების გადაწყვეტისას ადვილად დაამყარებთ კონტაქტს კომერციულად საინტერესო ადამიანებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი დაკვირვება და სიდინჯე გმართებთ. პირად და საოჯახო ცხოვრებაში მოერიდეთ ტყუილს და ფარულ საქმიანობას, რათა არ შეგექმნათ დიდი სირთულეები. გზებზე გადაადგილებისას ეცადეთ, არ მოადუნოთ ყურადღება.

**ღრიანკალი (23.10-22.11)**
კარიერაში წინსვლისთვის ბევრი შრომა დაგჭირდებათ, მაგრამ ეცადეთ, ზედმეტად არ გადაღალოთ გონება. პარტნიორებთან ერთად შესაძლოა, სერიოზული წინააღმდეგობების გადალახვა მოგიხდეთ. იმპულსურად მოქმედებისას შეიძლება დამოკიდებული გახდეთ გარემოებებზე. საქმეები სწრაფ მოგებას ვერ მოგცემთ, ამიტომ ხანგრძლივ პროექტებზე გაამახვილეთ ყურადღება. მოგზაურობა ჯობს, გადადოთ, რათა თავი აარიდოთ ხიფათს. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობასა და სწორ კვებას.

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
თქვენ საკმაოდ ენერგიული და აქტიური იქნებით. მიუხედავად ამისა, შინაგანი კომფორტის გარეშე ბევრ ცხოვრებისეულ სფეროში შეიძლება შეგექმნათ პრობლემა. ამიტომ იზრუნეთ ურთიერთობების ჰარმონიზაციისა და სახლში მშვიდ გარემოზე. ყურადღებით მოეკიდეთ მიღებულ ინფორმაციას და გადაამოწმეთ იურიდიული და ფინანსური საბუთები. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. შორეული მოგზაურობა ჯობს, დროებით გადადოთ.

**თხის რქა (22.12-19.01)**
რთული პერიოდია, რომლის დროსაც სასურველია, არ გადაიღალოთ და მეტი ყურადღება მიაქციოთ ჯანმრთელობას. მიუხედავად საქმეების სიუხვისა და სირთულისა, თქვენ მშვენიერ განწყობაზე იქნებით, რაც დაგეხმარებათ მოვალეობების შესრულებაში, ვალებისაგან გათავისუფლებასა და ფინანსური მდგომარეობის დასტაბილურებაში. საქორწინო და სასიყვარულო სფეროში ბევრი რამ იქნება ორაზროვანი. შორეული მოგზაურობა რეკომენდებული არაა.

**მერწყული (20.01-18.02)**
საქმეში წინსვლისთვის გამოიყენეთ ძველი კავშირები. შემოსავლის გასაზრდელად ყურადღებით გადაამოწმეთ მიღებული ინფორმაცია, თუმცა, უმიზეზოდ ნურავის წაუყენებთ პრეტენზიებს. შესაძლოა, სამსახურში შეიცვალოს ხელმძღვანელობა ან გაგიჩნდეთ ახალი გავლენიანი მფარველები. სასიყვარულო-საოჯახო სფეროში მოსალოდნელია მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანი მოვლენები. ეს კარგი დროა მოგზაურობისა და სანაცნობო წრის გაფართოებისათვის.

**თევზები (19.02-20.03)**
ურთიერთობებში მეტად ენდეთ ინტუიციასა და წინათგრძნობას. ამგვარად შეძლებთ სხვის მიერ დაშვებული შეცდომების თქვენ სასიკეთოდ გამოყენებას და სიტუაციის სწრაფად დარეგულირებას. მიზნების მისაღწევად ნუ გამოიყენებთ ახალ მეთოდებს და ნუ დაარღვევთ კანონს. დამატებითი ფინანსური მოგების მიღება ადვილი არ იქნება. საყვარელ ადამიანთან, ოჯახის წევრებთან და ბავშვებთან ურთიერთობისას ეცადეთ, შეარჩიოთ აუცილებელი სიტყვები და კამათის გარეშე გადაწყვიტოთ რთული საკითხები.




## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 23, 24, 25 და 28 ივლისი

**6 ივლისი – ახალმთვარეობა, პიკი – 02.59 საათზე;**
**21 ივლისი – სავსემთვარეობა, პიკი – 14.20 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 22 ივლისი, ორშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (11.16 საათზე) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.46 საათზე, ჩადის 19.29 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 20.37 საათზე, ჩადის 23 ივლისს 05.23 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.05 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები: მზის** გადანაცვლება **ლომის** ზოდიაქოში გააძლიერებს ადამიანებში ენერგიულობას, ოპტიმიზმს, კომუნიკაბელურობას, ორგანიზატორულ და ლიდერულ თვისებებს, კეთილშობილებას და ასევე პრეტენზიულობას, სულსწრაფობას, სიზარმაცეს, უყაირათობას, სიჯიუტეს, დიქტატორობისკენ მიდრეკილებას. დღეს მოერიდეთ ხალხის მასაში ყოფნას, გადაღლას, ემოციები აკონტროლეთ. შესაძლებელია სპონტანურად მოქმედება და რთული საკითხის მოულოდნელად გადაჭრა. არ არის სასურველი ფორიაქი, ბევრი ლაპარაკი, დიდხანს ფეხზე დგომა. კარგი დღეა სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, რეკლამა-განცხადებებისთვის, რეფორმატორული საქმიანობისთვის, ელექტრო, აირდანადგარების, კომპიუტერის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 23 ივლისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.47 საათზე, ჩადის 19.28 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.19) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 21.06 საათზე, ჩადის 24 ივლისს 06.43 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 23.14 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.59 საათიდან 17.24 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** შესაძლებელია საკუთარ ქმედებებში კარგისა და ცუდის დანახვა. შედეგიანი იქნება გულ-სისხლძარღვთა მკურნალობა. არ არის სასურველი ფორიაქი, ბევრი ლაპარაკი, ნერვიულობა, საიდუმლოს გამხელა. კარგი დღეა სახლის მშენებლობისა და რემონტისთვის, ელექტრო, აირ და კომპიუტერული სისტემის მოწყობილობების შესაძენად, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად, რეკლამა-განცხადებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები, ტერფები. **ქვები:** ალექსანდრიტი, ცირკონი, აკვამარინი, ამაზონიტი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 24 ივლისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.27 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 21.31 საათზე, ჩადის 25 ივლისს 08.02 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 23.22 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, ქველმოქმედებისთვის, სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად, კულინარიული საქმიანობისთვის, ფოტოგრაფიისთვის, ამულეტების შესაძენად. მეგობრული შეხვედრებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის. არ არის სასურველი ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმიანობა, ანალიზების ჩაბარება, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება ან გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 25 ივლისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.49 საათზე, ჩადის 19.26 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.48) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 21.54 საათზე, ჩადის 26 ივლისს 09.18 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 23.28 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.38 საათიდან 18.53 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთო დღეა სულიერ მოძღვართან ურთიერთობისთვის, ეზოთერიული საკითხების განხილვისთვის, შემოქმედებისთვის. კარგი დღეა ქორწინებისთვის, ქველმოქმედებისთვის, კონტრაქტის დასადებად, მოგზაურობისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, სპონსორის საძიებლად. არ არის სასურველი საიდუმლო საქმიანობა, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების, ალკოჰოლის მიღება, ექოსკოპია და ანალიზების ჩაბარება. გააკონტროლეთ საკვებისა და სასმლის ხარისხი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 26 ივლისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.50 საათზე, ჩადის 19.25 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 22.17 საათზე, ჩადის 27 ივლისს 10.34 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 23.35 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **ქალწულის** ზოდიაქოში (15 აგვისტომდე), რაც გააძლიერებს პრაგმატულად აზროვნებას, გონებამახვილობას, ორგანიზებულობას, დისციპლინას, შეუპოვრობას, შრომისმოყვარეობას და ასევე სიჯიუტეს, წვრილმანთა ჩაძიებას. კარგი დღეა აქტიურობისთვის, სპორტული ღონისძიებებისა და ვარჯიშისთვის, მოგზაურობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, მჭრელი საგნებისა და იარაღის შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ფიზიკურ-ემოციური გადაღლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 27 ივლისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.51 საათზე, ჩადის 19.24 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.29) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 22.42 საათზე, ჩადის 28 ივლისს 11.49 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 23.43 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.16 საათიდან 21.24 საათამდე. **ტენდენციები:** სამართლიანობის, სიკეთის დაცვის დღეა. შედეგიანი იქნება ყელის, ენდოკრინული სისტემის, თირკმლების მკურნალობა. მოერიდეთ ფიზიკურ-ემოციურ გადაღლასა და მხედველობის გადატვირთვას. აკონტროლეთ აგრესიულობა, კამათისკენ მიდრეკილება. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის და ვარჯიშისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების, მჭრელი საგნების შესაძენად. არ არის სასურველი საბანკო-საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები, ყელი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, აქატი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 28 ივლისი , კვირა

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 04.52 საათზე, ჩადის 19.23 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 23.09 საათზე, ჩადის 29 ივლისს 13.04 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 23.54 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 06.54 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხელი შეეწყობა კონტაქტებს, ახალი შთაბეჭდილებების მიღებას. **ნუ განმარტოვდებით!** სასიკეთოა სახლის დალაგება, ლოცვა, უსარგებლო ნივთებისგან გათავისუფლება. პირადი ურთიერთობისას მაღალია ეჭვიანობის, უნდობლობის ალბათობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, სამშენებლო მასალების, უძრავი ქონების შესაძენად, ვაჭრობისთვის, მგზავრობისთვის. არ არის სასურველი სულსწრაფობა, სარისკო ქმედება. მოერიდეთ პროვოკაციებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

**22 ივლისი. ორშაბათი.** მღვდელმოწამისა ბაგრატისა, ტავრომენიელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა კირილესი, ჰორტინელი ეპისკოპოსისა; ღირსმოწამეთა: პატერმოთისა, კოპრესი და მოწამისა ალექსანდრესი; თეოდორესი, ედესელი ეპისკოპოსისა.

✝ **23 ივლისი. სამშაბათი.** 45-თა მოწამეთა, სომხეთის ნიკოპოლისს წამებულთა: ლეონტისა, მავრიკიოსისა, დანიელისა, ანტონისა, ალექსანდრესი, იანიკიტესი, სისინიოსისა, მენევსისა, ბირილადესი და სხვათა; მოწამისა აპოლონისა; მოწამეთა ვიანორესი და სილოანესი; ღირსთა ეგვიპტელ მეუდაბნოეთა, ცეცხლითა და კვამლით მომწყდართა; ღირსისა მამისა ჩვენისა ანტონი მღვიმელისა, კიეველისა.

✝ **24 ივლისი. ოთხშაბათი. ხსენება დიდმოწამე ევფემია ყოვლადქებულის სასწაულისა, რაჟამს იგი ქალკიდონისა კრებამან დაწერეს სარწმუნოება, რომლითაც განმტკიცდა მართლმადიდებლობა;** მოწამისა კინდეოზ ხუცისა; მოციქულთა სწორისა ოლღასი, წმიდა ნათლისღებით ელენესი.

✝ **25 ივლისი. ხუთშაბათი. ღირსთა მამათა ჩვენთა იოანესი — ღირსი ეფთვიმეს მამისა და გაბრიელისა, ათონელთა;** მოწამეთა პროკლესი და ილარისა; ღირსისა მიქაელ მალეელისა; მოწამისა ღოლინდუხტი აღმსარებელისა, რომელსა ეწოდა მარიამ; **დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „სამხელიანი“.**

✝ **26 ივლისი. პარასკევი. კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა.** ღირსისა სტეფანე საბაიტელისა; ივლიანესი, კენომანიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა სერაპიონისა; მოწამისა მარკიანესი.

✝ **27 ივლისი. შაბათი.** მოციქულისა აკვილასი, 70-თაგანისა; მოწამისა იუსტი რომაელისა, მხედრისა; ღირსისა ელიოზ მონაზონისა; ღირსისა ონისიმე სასწაულმოქმედისა; იოსებისა, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა, თეოდორე სტუდიელის ძმისა; **ღირსისა ნიკოდიმოს მთაწმიდელისა.**

✝ **28 ივლისი. კვირა.** მოწამეთა: **კვირიკესი და დედისა მისისა ივლიტასი;** მოწამისა ავუდიმოსი; მოციქულთა სწორისა ვლადიმერისა, წმიდა ნათლისღებით ბასილისა.



**28 ივლისი - ხსენება მოწამეთა კვირიკესი და დედისა მისისა ივლიტასი**




მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.



ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,

მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ესპერანტო; 8. ქარხანა; 12. თიანეთი; 13. ავტონომია; 14. ლექტორი; 15. რუსთავი; 16. ანომალია; 21. კაოლინი; 22. სარიდანი; 26. ტრაგედია; 27. ჩიკაგო; 30. კასტრაცია; 31. ფილაქანი; 35. დამანა; 37. ნიადაგი; 39. დელტაპლანი; 41. პომპა; 43. მონტანა; 44. ანაბარი; 48. ლანცა; 50. ტრავმა; 52. კოლორადო; 53. ტონიაცი; 54. კარაბინი; 57. მინესოტა; 58. აკრიბია; 59. ტერაკოტა; 60. ტიტიკაკა; 61. ბილიკი.

შვეულად: 1. ელადა; 2. პატიო; 3. რანდა; 4. ნემსი; 5. ოთარ; 6. ფაუსტი; 7. დეკადა; 8. ქილიკი; 9. რექტორი; 10. აგოგიკა; 11. აკიჰიტო; 17. ნერგი; 18. მაგია; 19. ლიდია; 20. ასაკი; 23. როსინი; 24. დარბაზობა; 25. ნაცია; 27. ჩადი; 28. კიმპო; 29. გან; 31. ფედრა; 32. ლელია; 33. ქვათა; 34. ნოლტი; 36. არახამია; 38. გრამატიკა; 40. ნეი; 41. პალანტინი; 42. მანდარინი; 45. ნეოლითი; 46. ბროკერი; 47. რეალობა; 49. ტოკატა; 50. ტერორი; 51. ვაი; 55. ბეკო; 56. ნატო.

**მალარიალინონიუსინათლობადალიდანიასადაფიონი**
**ლალიონიქიაჩელინილოსიონილისტიმულინესტატორი**

ციებ-ცხელება | წმინდა ბაპტისტი | ბრმა | ტოლი, სწორი | ევროპის სახელმწიფო | ზოგიერთი მოლუსკის ზედა ფენა | ქალაქი რაჭაში

ხერხემლის ძვალი | ირანის ფულის ერთეული | ასტრონომიული ხელსაწყოს დამატებითი სკალა | მონათვლასთან დაკავშირებული წვეულება | ფრანგი მომღერალი ქალი | ტბა მოზამბიკში | განთიადი



თარაზულად: 1. ერთ-ერთი ხელოვნური ენა; 8. სამრეწველო საწარმო; 12. რაიონი მცხეთა-მთიანეთში; 13. ქვეყნის, მხარის უფლება, ჰქონდეს საკუთარი მართვა-გამგეობა; 14. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი; 15. საქართველოს მეტალურგების ქალაქი; 16. ნორმიდან გადახრა; 21. თეთრი თიხა; 22. ტარიელის მამა („ვეფხისტყაოსანი“); 26. დრამატული ნაწარმოების სახეობა; 27. ქალაქი აშშ-ში; 30. დასაჭურისება; 31. ქვის ფილების ტროტუარი; 35. სპარსულიდან ნათარგმნი „ქილილა და...“; 37. დედამიწის ქერქის ზედა შრე; 39. მარტივი სასპორტო საფრენი აპარატი; 41. ტუმბო; 43. აშშ-ის შტატი; 44. ბანკში შენახული თანხა; 48. ამერიკელი საოპერო მომღერალი მარიო ...; 50. სხეულის დაზიანება გარეგანი ზემოქმედებით; 52. აშშ-ის შტატი; 53. იტალიელი მსახიობი მამაკაცი; 54. ერთგვარი მოკლეღულიანი თოფი; 57. აშშ-ის შტატი; 58. დიდი სიზუსტე; 59. გამომწვარი, ფერადი თიხა; 60. ტბა ვენესუელაში; 61. საცალფეხო გზა.

შვეულად: 1. საბერძნეთის ძველი სახელი; 2. შიგნითა პატარა ეზო იტალიაში; 3. გრძელი შალაშინი; 4. მკერავის იარაღი; 5. მსახიობი ... კობერიძე; 6. გოეთეს დრამა; 7. დროის ათდღიანი მონაკვეთი; 8. ხუმარა, ოხუნჯი; 9. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი; 10. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს ტემპის მცირედ შეცვლა; 11. იაპონიის ყოფილი იმპერატორი; 17. დასარგავი ნორჩი მცენარე; 18. ჯადოქრობა, მისნობა; 19. უძველესი სახელმწიფო მცირე აზიაში; 20. წლოვანება; 23. იტალიელი კომპოზიტორი; 24. რაუტი, საზეიმო წვეულება; 25. ერი (მოძვ.); 27. აფრიკის სახელმწიფო; 28. აეროპორტი სეულში; 29. ქართული გ-ს სახელი; 31. ჟ. რასინის დრამა; 32. ჟ. სანდის რომანი; 33. ი. ჭავჭავაძე — „... ღალადი“; 34. ამერიკელი მსახიობი ნიკ ...; 36. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 38. ენათმეცნიერების ნაწილი; 40. ნაპოლეონის მარშალი; 41. ქალის მხრებზე წამოსასხამი ბეწვი; 42. ციტრუსი; 45. ახალი ქვის ხანა; 46. შუამავალი ვაჭრობაში; 47. სინამდვილე, ნამდვილად არსებული რამ; 49. ჩქარი, რიტმული ტემპის ვირტუოზული პიესა (მუს.); 50. პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორება; 51. ალ. გრიბოედოვი — „... ჭკუისაგან“; 55. თურქული ტექნიკის ფირმა; 56. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

არსენ მამულაიშვილის ფსევდონიმი | „გვადი ბიგვას“ ავტორი | მდინარე აფრიკაში | NBA-ს ექსკალათბურთელი | ბიძგი რაიმე მოქმედებისაკენ | ესპანელი ფეხბურთელი | ნადირის თათი

წითელი ძვირფასი ქვა | ფრჩხილის ბუდის ანთება | იტალიელი მოქანდაკე | საპარფიუმერიო სითხე | უნგრელი კომპოზიტორი | საქარგავი ძაფი | ელმანქანის ძრავის უძრავი ნაწილი

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2024 წლის 22 – 28 ივლისი №31 (1549)

გამოდის ორშაბათობით

მეჹიაჰოჩჰოჩაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

2 009882 637296

